პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- გერმანელ მემადაროთა გაფიცვა წარმატებით მთავრდება.
- ბუდაპეშტში დაასაფლავეს უნგრეთის წითელი არმიის ყოფ. შტაბის უფროსი შტრომფელდი.
- 26 მუშის პროცესი რუმინეთში.
- კებლეში განაგრძობს სიმშილობას.
- „ჯავშნოსან პოტიომკინი“-ს ჩვენება რიგაში.
- ხმები ვილნოს ოლქის გაყოფის შესახებ პოლონეთ - ლიტვას შორის.
- ჟენევაში გაიხსნა კონფერენცია თავისუფალი ვაჭრობ[illegible] შესახებ.
- მოსკოვში დაიხურა მუშა და გლეხ-ქალთა ყრილობა.

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 237 (1982)

ისტორიული დოკუმენტი

საკავშირო ცაკის მანიფესტი ერთი უბრწყინვალესი დოკუმენტთაგანია მშრომელი კაცობრიობის ისტორიაში და უდიდესი ნაბიჯია წინ სოციალიზმის გამარჯვების გზაზე საბჭოთა კავშირში. მანიფესტი გამოიცა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის წინ, და ამას თავისი ღრმა აზრი აქვს. ჩვენი პროლეტარიატი თავის დიქტატურის ათი წლის თავზე თავის მიღწევების და მიზნების საჯარო დემონსტრაციას ახდენს.

ოქტომბრის დღესასწაულისათვის ჩვენი მშრომელი მასსა გაცხოველებით ემზადება. მასთან ერთად ემზადება მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი, რომელიც დელეგაციებს აგზავნის ზეიმში მონაწილეობის მისაღებათ, საბჭოთა პროლეტარიატისათვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად. როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც მასსები ახდენენ იმის შემოწმებას, თუ რა იყო ამ ათი წლის წინეთ, რა არის ეხლა საბჭოთა კავშირში და ბურჟუაზიულ სამყაროში და რაა საჭირო სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირში და კაპიტალის დასამხობად დანარჩენ მსოფლიოში.

მანიფესტი ყველა ამაზე საუკეთესო პასუხს იძლევა. საერთაშორისო რეაქციის ქვაკუთხედი, უმიწაწყლო, მემამულეთა კლანჭებში მომწყვდეული გლეხობა, ექსპლოატატორების უღელ ქვეშ მგმინავი მუშათა კლასი, ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას მოკლებული მასსები და პოლიციის მათრახის რეჟიმი, დევნილი და აბუჩად აგდებული „ინოროდცები“ — აი, რა ახასიათებდა ყოფილ რუსეთის მეფის იმპერიას.

მსოფლიო რევოლიუციის ცენტრი, ყოველგვარ ეკონომიურ და პოლიტიკური მონობისაგან განთავისუფლებული მუშათა კლასი, გლეხობა და ერები, კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობის მაგივრად მშრომელთა ნამდვილი მმართველობა — აი, რას წარმოადგენს საბჭოთა კავშირი.

ეს მონაპოვარნი აურაცხელი მსხვერპლი დაჯდა. მსოფლიოს ყველა იმპერიალისტური ძალები და შინაური კონტრრევოლიუცია დაწყებული მეფის გენერლებით და „სოციალისტ“ მენშევიკ-ესერებით გათავებული, გაერთიანდენ განთავისუფლებულ შრომის რესპუბლიკის მოსასპობად. ინტერვენციამ და სამოქალაქო ბრძოლამ სულ მოშალეს ომის პროცესში ისედაც დანგრეული სახალხო მეურნეობა. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა მშრომელ გლეხობის დახმარებით, მიუხედავად აუწერელი გაჭირვებისა, სიმშილისა, სიცივისა, სამხედრო მასალების სიმცირისა, თავგანწირული შეტევით შესძლო მტრების გასრესა და შედარებითი მშვიდობიანი პირობების მოპოვება აღმშენებლობითი მუშაობისათვის.

მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ მას არა მარტო შეუძლია თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის დამხობა, არა მარტო შეუძლია ძალა - უფლების შენარჩუნება, არამედ მას არა ნაკლები უნარი და ძალა შესწევს მეურნეობის აღსადგენად, დადებითი შემოქმედებითი მუშაობის საწარმოებლად. განუწყვეტელი გმირული შრომით ეკონომიურად და კულტურულად გაპარტახებული ქვეყანა მან სწრაფად ააღორძინა. ომის წინანდელი დონე უკან დავსტოვეთ და გაშლილი ფრონტით ხელი მოვკიდეთ მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნას ახალ საფუძველზე. და აქ დამახასიათებელი მარტო ის როდია, რომ ჩვენი სამეურნეო განვითარების ტემპი შეუდარებლად აღემატება კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარების ტემპს: უფრო ხაზგასასმელი ის არის, რომ ჩვენ სწორედ სოციალისტურ მეურნეობას ვაშენებთ; კერძო კაპიტალის როლი როგორც მრეწველობაში, ისე ვაჭრობაში სულ უფრო მცირდება და ადგილს უთმობს მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორს; ჩვენ მტკიცედ და სწრაფად მივემართებით სოციალიზმის განხორციელების გზაზე. ამასთან ცხადია, მეტად ამაღლდა მშრომელ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონე.

ყველა ამან შექმნა წინასწარი პირობები იმ უდიდესი ნაბიჯების გადასადგმელად, რომლებიც საკავშირო ცაკის მანიფესტმა გვამცნო. პირველი მათ შორის უეჭველად არის გადაწყვეტილება 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ. ეს ახალი ფურცელია კაცობრიობის ცხოვრებაში, ფურცელი, რომლის გადაშლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია. მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში თვით 8 საათის სამუშაო დღეს აუქმებენ და შემოაქვთ 9, 10 და 11 საათის სამუშაო დღე, მაშინ, როცა კაპიტალისტები რაც უფრო აძლიერებენ მუშების ექსპლოატაციას, ჩვენში ამ დროს პრაქტიკულად ისმება საკითხი სამუშაო დღის შემცირების შესახებ, რა თქმა უნდა, ხელფასის შეუმცირებლად. აქ სავსებით აშკარავდება პროლეტარიატის დიქტატურის ხასიათი, ჩვენი მრეწველობის სოციალისტური შინაარსი და გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობანი. ამ აქტის უაღრესი მნიშვნელობა ცხადია,—როგორც საბჭოთა კავშირის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მისი ფიზიკური გაჯანსაღებისა და კულტურული დონის აწევისათვის, ისე საერთაშორისო პროლეტარიატის გარევოლიუციონერებისათვის.

უდიდესია აგრეთვე მნიშვნელობა მანიფესტის იმ ადგილების, რომლებიც გლეხობას ეხება. მშრომელი გლეხობა იმ თავიდანვე საბჭოთა პოლიტიკის ცენტრშია მოქცეული. სოფლად სიღარიბის აღმოფხვრა და მშრომელ გლეხის კავშირის განმტკიცება მუშათა კლასთან,—აქეთკენაა ჩვენი ყურადღება მიქცეული. ამ მიმართულებით ბევრი რამაა გაკეთებული. გლეხობის 25 პროცენტის გარდა დამატებით კიდევ ათი პროცენტის განთავისუფლება სას.-სამ. გადასახადისაგან, ღარიბ მეურნეობათა და საშუალო გლეხობის ხელმოკლე მეურნეობათა მიწათმოწყობა სახელმწიფოს ხარჯზე, სოციალურ უზრუნველყოფის გავრცელება სოფელზე და მრავალი სხვა, რაც მანიფესტშია გათვალისწინებული, კიდევ ახალი და უაღრესი მნიშვნელობის ღონისძიებებია, რომელნიც ამ მიზანს ემსახურებიან.

ჩვენ ვიცით, რომ საკავშირო ცაკის მანიფესტს უდიდესი მტრობით შეხვდებიან ბურჟუაზია და სოციალ - დემოკრატია ყველა ქვეყნებში. და ეს გასაგებია: ეს მანიფესტი ხომ მძლავრი რევოლიუციონური ფაქტორი იქნება, რომელიც საერთაშორისო პროლეტარიატს გაუორკეცებს კაპიტალის დაპყრობის და ძალა-უფლების თავის ხელში აღების მისწრაფებას; ეს მანიფესტი ხომ საბჭოთა კავშირის შემდგომი განმტკიცების საწინდარია. მსოფლიო კაპიტალი, რომელსაც აფრთხობს ჩვენი სამეურნეო ზრდა რაც მის ბატონობას ძირს უთხრის, ემზადება ჩვენზე თავდასხმისათვის. საბჭოთა მშრომელები უფრო გააძლიერებენ ქვეყნის თავდაცვას. მათ მხარეზე შრომის ერთად-ერთი რესპუბლიკის დასაცავად, უფრო აქტიურად გამოვა საერთაშორისო პროლეტარიატი. ამავე დროს, ჩვენი სიძლიერის საფუძველი, რა თქმა უნდა, არის უფრო ენერგიით მუშაობა იმ სიძნელეთა გადასალახავად, რომლებიც წამოჭრილია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გზაზე. ცაკის მანიფესტი ამ მხრივ ახალ ძალ-ღონეს შემატებს მუშათა კლასს.

შვიდი საათის სამუშაო დღე

იმ დროს, როდესაც დასავლეთში, უძველეს და უმდიდრეს კაპიტალისტურ ქვეყნებში თანდათან უფრო მითიური ხდება რვა საათის სამუშაო დღეც, რომელსაც თანდათან სდევნის ცხრა საათის სამუშაო დღე, იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთში ესკადრების, დესანტების, დახვრეტებისა და დარბევების საშუალებით მსოფლიო იმპერიალიზმი ამაგრებს და იცავს თავის „უფლებას“, რომ აწარმოოს კოლონიალური მუშების ექსპლოატაცია 14—18 საათით დღე და ღამეში,—ამ დროს, ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ცაკის მანიფესტით ცხადდება, რომ უახლოეს წლებში ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო მრეწველობა უნდა გადავიდეს 7 საათის სამუშაო დღეზე. უაღრესად ნათლად ირკვევა განვითარების ორი გენერალური ხაზი. კაპიტალიზმი სცდილობს აგოს და განამტკიცოს თავისი სტაბილიზაცია გააფთრებული შეტევით მუშათა კლასზე, მის საცხოვრებელ დონის დაწევით და მის ნერვებისა და კუნთებისაგან დამატებითი ზედმეტი ღირებულების გამოწურვით. ის სცდილობს ომის შემდეგ დროინდელ კრიზისის ქაობიდან თავის დაღწევას, რისთვისაც ათეული წლებით სწევს უკან მსოფლიოს პროლეტარიატს და სცდილობს მის დაშინებას იმის მუქარით, რომ მრეწველობასა და კაპიტალებს გადაიტანს უფრო იაფ და უფრო ხანგრძლივ შრომის ქვეყნებში. საბჭოთა კავშირი აშენებს და ამაგრებს თავის სტაბილიზაციას მუშათა კლასის მატერიალურ და კულტურული დონის ამაღლებაზე, მისი აქტივობის და შეგნების თანდა-თან ზრდაზე და მის თანდათან უფრო ჩაბმაზე წარმოების ორგანიზაციისა და რაციონალიზაციისათვის წარმოებულ მუშაობაში. ბურჟუაზია ვერ ხედავს სხვა გამოსავალს გარდა თავზე ხელაღებულ შეტევისა მუშებზე და მათი დაქვეითებისა მოლაპარაკე მანქანების მდგომარეობამდე. პროლეტარულ სახელმწიფოსათვის მიუღებელია და უარყოფილი ყოველივე სხვა გზა, გარდა მუშათა კლასის ყოველმხრივი, ტექნიკური, კულტურული და პოლიტიკური ზრდისა, იმ კლასის ზრდისა, რომელიც არა მარტო მუშაობს, არამედ სახელმწიფოსაც მართავს; პროლეტარულ სახელმწიფოს მიზანია გააუმჯობესოს მუშათა კლასის მდგომარეობა, იმ კლასის, რომელიც არის ბატონი, დიქტატორი და ჰეგემონი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი განგაში და ყეფით შეხვდება მანიფესტს ბურჟუაზიული და განსაკუთრებით სოციალ - დემოკრატიული პრესა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ გრინები, მაკდონალდები, ჰილფერდინგები და ბაუები არ დაიზარებენ ცილისწამებისა და სიცრუის ჰანგების მომართვას, რათა მიაფუჩეჩონ და დაამცირონ საერთაშორისო პროლეტარიატის შეგნებაში ამ მანიფესტის მნიშვნელობა. თუმცა სრულებითაც არ ვამცირებთ ათეულ მილიონ ეგზემპლიარ იმპერიალისტურ და სოციალ - დემოკრატიულ გაზეთების გამხრწნელ მნიშვნელობას, მაგრამ დარწმუნებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამას ისინი ვერ შესძლებენ.

შვიდი საათის სამუშაო დღეზე თანდათან გადასვლის აღიარება, რაც თვალნათლივ, უდიდესი სიცხადით უმტკიცებს ჩამორჩენილ მუშასაც კი, თუ რა განუვალი უფსკრული ძევს პროლეტარიატის დიქტატურასა და ბურჟუაზიის დიქტატურას შორის, თანდათან უფრო ძლიერ გაარევოლიუციონერებს მუშათა მსოფლიო მოძრაობას.

საკმაოდ არის თუ არა აწონილ-დაწონილი და მომზადებული საკითხი შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ? ამ მხრივ მანიფესტი ხომ არ არის „მოულოდნელი“? ხომ არ იფარება მის უკან რაიმე „ფარული აზრები“, „შინაპარტიული მანევრები“ ან და „დემაგოგიური ანგარიშები“? თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზე, რომ ამგვარი ხმები გაისმის და გაისმება ჩვენი ქვეყნის შიგნით, კიდევ მეტი ჩვენი საკუთარი პარტიის შიგნით ოპოზიციის მხრივ. მაგრამ, მანიფესტი „მოულოდნელი“ იქნება მხოლოდ იმ ხალხისთვის, რომლებიც სრულიად მოსწყდნენ ცოცხალ რეალურ მუშაობას და სოციალიზმის მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკას, რომლებიც სრულიად ჩამოშორდნენ პარტიას და მუშათა კლასს. ჩვენ აღარ შევჩერდებით იმაზე, რომ საკითხი სამუშაო დღის შემცირების შესახებ უკვე რამდენიმე თვის წინად იყო წამოყენებული ჩვენს ეკონომიურ პრესაში (მაგალითად, იხილ. „გეგმიანი მეურნეობის“ მაისის ნომერი), აღარ შევჩერდებით, აგრეთვე, იმაზე, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიური პერსპექტიული გეგმა უკვე ითვალისწინებდა მუშა - ხელფასა და უმუშევრობის მოძრაობის ორ ვარიანტს — ერთი, რომელიც ემყარებოდა 8 საათის სამუშაო დღის შენარჩუნებას, ხოლო მეორე — 8 საათის სამუშაო დღის შემცირებას. მთავარი და გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ მანიფესტი წარმოადგენს პარტიის მიერ დასახული პროგრამის, მთელი მისი პოლიტიკური გეზის აუცილებელ ლოღიკურ დასკვნას, და ის შინაგანად შეეფარდება მთელ ეკონომიურ კურსს.

ეგრედ წოდებულ „მუშათა საკითხში“ რანაირადაც ფართე არ იყო ოპოზიციის ქანაობისა და ხეტიალის დიაპაზონი, ოპოზიციის, რომელიც 1923 წელში ტროცკის პირით მოითხოვდა „სასტიკ კონცენტრაციას“, ე. ი. პრაქტიკულად რომ ვილაპარაკოთ, ისეთი გიგანტების დახურვას, როგორიცაა „კრასნი პუტილოვეცი“, ხოლო 1926 — 27 წელში იგივე ოპოზიცია, თითქოს არაფერიო, სცდილობდა პოლიტიკური კაპიტალის მოხვეჭას უხეში და უსინიდისო დემაგოგიით სამუშაო ხელფასის საკითხის გარშემო; რანაირადაც ფართე არ იყო მისი მერყეობის დიაპაზონი — მაინც იყო ერთი საკითხი, რომელიც მუდამ რჩებოდა მხედველობის გარეშე და რომელსაც არ ეხებოდა ოპოზიცია არც ერთ თავის მრავალრიცხოვან ვრცელ ნაწერებში.

ეს საკითხი ჯერ კიდევ მარქსმა წამოაყენა, როდესაც ის სწერდა, რომ პროლეტარიატმა სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში დაუღალავად უნდა იმუშაოს თავისი თავის გარდაქმნაზე. იგივე საკითხი წამოაყენა ლენინმაც, როდესაც ის სწერდა და ლაპარაკობდა შეუსუსტებელი კვალიფიციური სწავლების აუცილებლობისა, ჩვენი ობლომოვშჩინის, უკულტურობის დაძლევისა და შრომისადმი ახალი დამოკიდებულების, ახალი წესების შექმნის აუცილებლობის შესახებ. დაბოლოს ამ საკითხს ჩვენი პარტია დიდმნიშვნელოვან ადგილს უთმობს თავის ბრძოლაში სოციალიზმისათვის.

ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის რიცხვობრივი და თვისობრივი ზრდა, მისი ორგანიზაციული და ტექნიკური პროგრესი, — ყველაფერი ეს ბევრადაა დამოკიდებული მთლიანად მთელი მუშათა კლასის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. როგორ აღწევდა კაპიტალიზმი მუშების შრომითი კვალიფიკაციის ამაღლებას? ამას ის აღწევდა იმით, რომ ის თითებს ამტვრევინებდა მუშებს და გადაგვარების გზაზე აყენებდა მთელ თაობებს, აიძულებდა მათ ბავშვობიდანვე 14 — 16 საათის განმავლობაში მუშაობას და ამნაირად წვრთნიდა მათ ისე, როგორც ეს მას ესაჭიროებოდა.

ცხადია, რომ ეს გზა ჩვენთვის აბსოლიუტურად მიუღებელია. მუშათა კლასის შრომის კვალიფიკაციის ამაღლებაში პროლეტარული სახელმწიფო და მისი სოციალისტური მრეწველობა იყენებენ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მეთოდებს. ჩვენში ლაპარაკიც კი არ შეიძლება სამუშაო დღის გაგრძელებაზე. პირიქით, ჩვენ დავადექით მისი შემდეგი შემცირების გზას. ჩვენ უკვე ვემზადებით 7 საათის მუშაობაზე გადასვლისათვის.

მაგრამ ეს 7 საათი იქნება უფრო რაციონალური, უფრო მწყობრი და,, მაშასადამე, უფრო ნაყოფიერი შრომის საათები. შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლამ უნდა შეგვაჩვიოს ყოველი წამის გაფრთხილებას, დროს საუცდენლობას, და ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრას წყეული ობლომოვისებური ფსიქოლოგია, რომ თითქოს საქმე არსად არ გაიქცევა. შვიდი საათის სამუშაო დღემ ახალი სული, ახალი ძალა უნდა შთაბეროს ჩვენს ბრძოლას რაციონალიზაციისათვის და უფრო მეტად უფრო მძლავრად და უფრო ღრმად უნდა ჩააბას მასში აქტიური მუშაკნი და მუშათა ფართე მასსები.

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა გამოიღებს უდიდეს ეკონომიურ ნაყოფს, რომლის მთლიანად გათვალისწინებაც ეხლა შეუძლებელია. მთელ რიგ დარგებში ის გაზრდის მომუშავე წყებათა რიცხვს, საგრძნობლად შეამცირებს უმუშევრობას და ჩვენს მეურნეობაში გამოიწვევს ძირითადი კაპიტალის ინტენსიურ გამოყენებას და თანხების საერთო ბრუნვის აჩქარებას. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საქმის მეორე მხარეს. ეს გადასვლა დიდ როლს ითამაშებს მუშათა კლასის აღზრდაში, გიგანტიური ნაბიჯით წაიყვანს მის კულტურულ ზრდას, და მას დროს და საშუალებას მისცემს მუშათა კლასს იბრძოლოს მომჭირნეობისა, რაციონალიზაციისა და ჩვენს წარმოებებში საქმის რიგიანად დაყენებისათვის, იბრძოლოს ბიუროკრატიზმის, დაუდევრობის და თავაშვებულობის წინააღმდეგ, იბრძოლოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოციალიზმისათვის.

„პრავდა“, 18 ოქტომბერი.

ენ-სი-შანის და ფინ-იუი-სიანის ჯარები უკან იხევენ

ერთა ლიგას განზრახული აქვს საბჭ. კავშ. მიწვევა განიარაღების კომისიაში

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ბრწყინვალე გამარჯვება კომუნალურ არჩევნებში

შეტევა პეკინზე დამარცხდა

მუკდენელების ოპერაციები

პეკინი, 17 ოქტ. ჩინეთის პრესა ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთის ჯარებმა დაიკავეს კალგანი. მტკიცდება აგრეთვე ხან-ცუნ-ჩანის ჯარების მიერ კვეიდის დაკავება ლუნხაის რკ. გზაზე. მესამედ განმეორდა ცნობა შიციაჩუანის დაკავების შესახებ.

გარდა ამისა იუწყებიან, რომ მუკდენის ჯარებმა დაიკავეს რკ. გზის სადგური ჩოჩოუ, რომელიც მდებარეობს 60 კილომეტრის მანძილზე პეკინის სამხრეთით (ადს).

ხეიხეს ოქრო

პეკინი, 17 ოქტ. იაპონიის პრესის ცნობით, ინგლისის კაპიტალისტების ერთ ჯგუფსა და პეკინის მთავრობას შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება ხეიხეს რაიონის ოქროს მადნების დამუშავების შესახებ. ხსენებული მადნები მდებარეობენ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვართან, ბლაგოვეშჩენსკის მახლობლათ (ადს).

ფინ-იუი-სიანის უკან დახევა

პეკინი, 17 ოქტ. კვეიდის რაიონში შანდუნის ჯარებმა ტყვეთ ჩაიგდეს და ცინანფუში გაგზავნეს ფინ-იუი-სიანის ჯარების უფროსი ლუნხაის ფრონტზე გენ. ჩენ-ცინ-ჩანი. მტკიცდება ცნობა შანდუნის ჯარების მიერ კვეიდის დაკავების შესახებ. იუწყებიან აგრეთვე, რომ ფინ-იუი-სიანის ჯარები, რომელთაც უტევს შანდუნ-ჩჟილიის ჯარების გაერთიანებული ძალები, იხევენ კაიფინისაკენ. ჩოჩოუდან ჩამოსული ლტოლვილები ადასტურებენ, რომ ჩოჩოუ, რომელსაც ყუმბარებს უშენდენ მუკდენის და შანსის ჯარები, სრულებით დანგრეულია (ადს).

ვილნოს ბედი

კოვნო, 17 ოქტომბერი. სარწმუნო წყაროებიდან გამომდინარე ხმების მიხედვით, ახლო მომავალში მოსალოდნელია ვილნოს საკითხის გადაჭრა ან ვილნოსთვის ავტონომიის მიცემის ან და ვილნოს ოლქის გაყოფით პოლონეთსა და ლიტვას შორის (ადს).

ამხ. რაკოვსკის გამგზავრება

პარიზიდან

პარიზი, 17 ოქტ. 16 ოქტომბერს საღამოთი რაკოვსკი გაემგზავრა მოსკოვში (ადს).

ოსმალეთის სახ. პარტიის ყრილობა

ანგორა, 17 ოქტომბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „სახალხო პარტიის ყრილობაზე მუსტაფა-ქემალმა 16 ოქტომბერს განაგრძო სიტყვა. პრეზიდენტმა ილაპარაკა დილის 10-დან საღამოს 7 ნახ. საათამდე პარტიის მეორე ყრილობის და მისი გადაწყვეტილებების შესახებ. ის შეეხო აგრეთვე თავის მიწერ-მოწერას ალი-რიზა-ფაშის მთავრობასთან, რომელიც შესდგა სტამბოლში 1919 წელს, და აღნიშნა, რომ მან წამოაყენა მოთხოვნილება, რათა მოწვეულ ყოფილიყო ანატოლიაში დეპუტატთა პალატა, რომელიც იმყოფებოდა სტამბოლში და რომელიც შემდეგ დათხოვნილ იქნა მოკავშირეების მიერ“. (ადს)

საბჭოთა კავშირს იწვევენ

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში

ბერლინი, 17 ოქტ. „კელნიშე ცეიტუნგ“-ის ჟენეველი კორესპონდენტი სარწმუნო წყაროებიდან იუწყება:

„განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მომავალ სესიასთან დაკავშირებით, რომელიც დანიშნულია 29 ნოემბრისათვის, ერთა ლიგის წრეებში საჭიროდ სთვლიან ეცნობოს საბჭოთა კავშირს, რომ შვეიცარია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოწესრიგების გამო, არავითარი დაბრკოლება აღარ ეღობება საბჭოთა კავშირის მონაწილეობას კომისიაში. (თავის დროზე საბჭოთა მთავრობამ უარი სთქვა კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე, ვინაიდან შვეიცარიას ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული საბჭოთა კავშირის მიერ). საბჭოთა კავშირის კომისიაში ჩაბმის გეგმებთან დაკავშირებით იბადება ეჭვი—იტყვის თუ არა უარს საბჭოთა კავშირი კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე? მოსალოდნელია, რომ ჟენევიდან წინადადებას მისცემენ საბჭოთა კავშირს მონაწილეობა მიიღოს მოსამზადებელ კომისიის მუშაობაში, მაგრამ ფორმალური მიწვევა არ იქნება გაგზავნილი“ (ადს).

მემადაროეთა გაფიცვა გერმანიაში

ბერლინი, 17 ოქტ. დემოკრატიული პრესა პასუხისმგებლობას მემადაროეთა გაფიცვისათვის აკისრებს მთავრობას: პრესა აცხადებს: შესაძლო იყო გაფიცვის თავიდან აცილება, რომ შრომის სამინისტროს თავის დროზე სავალდებულოდ გამოეცხადებია სამედიატორო განაჩენი, რომელიც ითვალისწინებდა სამუშაო ხელფასის გადიდებას საშუალოდ 3.5 პროცენტით. „ფორვერტს“-ი ცნობს, რომ გაფიცვის გამოცხადებაში დამნაშავეა მთავრობა. კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ მოუწოდებს შეიქმნას ერთიანი რევოლიუციონური ფრონტი სამედიატორო სასამართლოს პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ვინაიდან ეს სასამართლოები მწარმოებელთა ინტერესებს იცავენ.

კომუნისტები სცდილობენ გაფიცვა გავრცელდეს წარმოების სხვა დარგებზედაც, კერძოთ ქიმიურ მრეწველობაზე და რკინის გზებზე; კომუნისტები მოითხოვენ, რომ სამომხმარებლო კოოპერატივებმა, რომელნიც ძლიერ განვითარებული არიან შუა გერმანიაში, გაუწიონ დახმარება გაფიცულებს. ვეისენფელსში, ცეისში და ალტენბურგში, სადაც კოოპერატივების სათავეში დგანან კომუნისტები, გაფიცულებს უკვე აძლევენ დახმარებას. რეფორმისტულ პროფკავშირთა ბელადები სცდილობენ, რომ გაფიცვის ფარგლები რაც შეიძლება შეავიწროვონ (ადს).

გლეხების აჯანყება ინდოეთში

ლონდონი, 17 ოქტომბერი. როგორც „დეილი ჰერალდი“ იუწყება, ბიჟოლიის (ინდოეთი) მაჰარაჯამ თავის ოლქში გამოაცხადა სამხედრო წესები, ხოლო ზოგიერთ რაიონებსა და სოფლებში—საალყო წესებიც კი. **გლეხებმა თავის მხრით გამოაცხადეს გაფიცვა, შესწყვიტეს მინდვრების დამუშავება და საიჯარო გადასახადის გადახდა,** რომელსაც მაჰარაჯა მოითხოვდა, განეკლალას და კანხაელალის გლეხთა ლიდერები დაპატიმრებული და ციხეში მოთავსებული არიან. სკოლები დაცარიელებულია, რადგან მშობლებმა პროტესტის ნიშნად მაჰარაჯას მოქმედების წინააღმდეგ სახლებში წაიყვანეს თავიანთი ბავშვები (ადს).

კონფერენცია თავისუფალ ვაჭრობის შესახებ

ბერლინი, 17 ოქტომბერი. 17 ოქტომბერს ჟენევაში გაიხსნა კონფერენცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კონვენციის პროექტი სხვადასხვა ქვეყნებში ექსპორტ-იმპორტისათვის შემოღებულ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე შეერთებული შტატებიც. კონფერენციის სხდომის გახსნის დროს, თავმჯდომარე კოლინმა განაცხადა, რომ კონფერენციის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადგენილების გატარება, და რომ დადგა მომენტი, როდესაც „უნდა გადაიდგას სერიოზული ნაბიჯი სრული სავაჭრო თავისუფლების განხორციელებისაკენ.

ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტების გამარჯვება

პრაღა, 17 ოქტომბ. 16 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის 6.780 საქალაქო და სასოფლო ადგილში ჩატარდა კომუნალური არჩევნები. არჩევნების შედეგები მოწმობენ კომუნისტური პარტიის გამარჯვებას სასოფლო ადგილებში. ამასთან ერთად არჩევნების შედეგებიდან სჩანს, რომ მუშების კლასობრივად შეგნებული ფენები ემხრობიან კომუნისტებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნისტების გამარჯვება ჩეხოსლოვაკიის გერმანულ ნაწილებში. მთელ რიგ ადგილებში კომუნისტებმა მიიღეს ხმების საერთო რიცხვის 30 პროც. წარსულ არჩევნებთან შედარებით. კომუნალურ არჩევნებში პრაღაში კომუნისტებმა მიიღეს 17 მანდატი, სოციალ - დემოკრატებმა 12, ნაციონალ - სოციალისტებმა — 28. პრაღის მუნიციპალურ საბჭოში ასი ადგილიდან სოციალისტურ პარტიებს ექნებათ 54 ადგილი, წინანდელ 51-ის მაგიერ. პროპორციონალური საარჩევნო სისტემის თავისებურობის გამო კომუნისტური მანდატების რიცხვი 19-დან დავიდა 17-დე, მიუხედავათ იმისა, რომ კომუნისტებმა, წარსულ არჩევნებთან შედარებით, მიიღეს ხმების უფრო მეტი რიცხვი. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, მარტო კომუნისტებმა და სოციალ - დემოკრატებმა მოიპოვეს ხმების ახალი რიცხვი. კომუნისტებმა მიიღეს 70.700 ხმა, ხოლო საპარლამენტო არჩევნებზე — 66.800. ყველაზე მეტად დაკარგეს ნაციონალ - სოციალისტებმა, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებზე მიღებულ 104.300 ხმის მაგიერ მიიღეს—46.500 ხმა (ადს).

კებლეში სიმშილობას განაგრძობს

პრაღა, 17 ოქტომბერი. კებლეში, რომელიც განაგრძობს სიმშილობას, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. კებლეშის დამცველმა წარმოადგინა რუმინეთის სასამართლოს ოქმები, საიდანაც სჩანს, რომ კებლეშს ბრალდება მხოლოდ პოლიტიკურ დანაშაული, როგორც გამოქვეყნებული იყო, რუმინეთის მთავრობა მოითხოვს კებლეშის გაცემას იმ საბაბით, რომ თითქოს მას ბრალდება ყალბი ჩეკების დამზადება.

ფაშისტების „სამართალი“

რომი, 17 ოქტომბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება: „საგანგებო ტრიბუნალმა გაარჩია ათი კომუნისტის საქმე, რომელთაც ბრალდებათ მასსების წაქეზება აჯანყებისა და სახელმწიფო ძალაუფლების დამხობისაკენ—შეიარაღებული გამოსვლების გზით. ტრიბუნალმა, ბრალდებულთა დაუსწრებლად, მიუსაჯა ზრეკოს 17 წლის ციხე, მულინელის და ინნამორატის—14 წლის ციხე. თვითეულ მათგანს, დანარჩენებს—ციხე სხვადასხვა (5—8 წლამდე) ვადით.

ესტონეთის პასუხი ლიტვის მემორანდუმზე

რეველი, 17 ოქტომბერი. გამოქვეყნებულია ესტონეთის პასუხი ლატვიის მემორანდუმზე საბაჟო უნიის საკითხის გარშემო. პასუხში ნათქვამია, რომ საბაჟო უნია შეუთავსებელია ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დადგენილებებთან და აცხადებს, რომ ლატვიის მემორანდუმში არ არის მოცემული საშუალებები „შექმნილ დაბრკოლებების დასაძლევად“.

საფრანგეთ-ამერიკის დამოკიდებულება

პარიზი 17 ოქტომბერი. საფრანგეთის გაზეთების ცნობით, საფრანგეთის მთავრობის მიერ შეერთებული შტატების მთავრობისათვის გაგზავნილმა უკანასკნელმა საპასუხო ნოტამ საბაჟო ტარიფების საკითხების გარშემო, მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ვაშინგტონში. ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ორივე მთავრობის შეხედულებები ძალიან უახლოვდებიან ერთი მეორეს და ამიტომ საბოლოო შეთანხმება ახლო მომავლის საქმეა.

თავისუფალი არჩევნები

პილსუდსკის სამფლობელოში

ვარშავა, 17 ოქტომბ. ჩენსტოხოვსა, ველოცლავკასა და ბრესტ - კუიავსკში ჩატარდა კომუნალური არჩევნები. სამივე ქალაქში გაუქმებულია მუშათა მემარცხენე ფრთის (ლევიცაა) საარჩევნო სიები (ადს).

საკავშირო ცაკის საიუბილეო სესია

16 ოქტომბრის დილის სხდომა

კულტურული მშენებლობის 10 წელი

ამხ. ა. ლუნაჩარსკის მოხსენება

ლენინგრადი, 18 ოქტ. 16 ოქტომბრის დილის სხდომაზე ცაკის სესიამ მოისმინა ამხ. **ლუნაჩარსკის** მოხსენება კულტურულ აღმშენებლობის შესახებ 10 წლის განმავლობაში.

„წლიდან-წლამდე—ამბობს ამხ. ლუნაჩარსკი—იზრდება მასსების ენტუზიაზმი და მისწრაფება განათლებისაკენ, იზრდება მტკიცე მატერიალური საფუძველი მის განსახორციელებლათ. კავშირის მოსახლეობას პირველ ყოვლისა სწყურია საყოველთაო ელემენტარული განათლების მიღება. ხალხის მისწრაფება განათლებისაკენ—ეს არის მრავალ მილიონ მუშების და გლეხების მოძრაობა.

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების მიხედვით შეგვიძლია აღვნიშნოთ ჩვენი ქვეყნის უდაო გამარჯვება წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში. 1920 წელს საბჭოთა რუსეთის ევროპიულ ნაწილში ათას მოსახლეზე მოდიოდა 355 წერა-კითხვის მცოდნე ორივე სქესისა. ამ ჟამად ათას კაცზე მოდის 445 წერა-კითხვის მცოდნე. უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი გაიზარდა 28-29 პროცენტით.

შემდეგ ამხ. ლუნაჩარსკის მოჰყავს ძირითადი ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სახალხო განათლების მატერიალურ ბაზისს მთელს საბჭოთა კავშირში.

„1913 წელს სახალხო განათლებაზე გადადებულ თანხის რაოდენობა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტით უდრიდა 276 მილიონ მანეთს, 1914 წელს სკოლების საერთო რიცხვი ცოტათი აღემატებოდა 104.000, 1926-27 წელს ჩვენ გვქონდა 108.000 სკოლა, ე. ი. 3,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1914 წელს. მოსწავლეთა რაოდენობა 1914 წელს უდრიდა 7,2 მილიონს, ხოლო უკანასკნელ პერიოდში ჩვენ პირველ საფეხურის სკოლებში გვყავდა 9,9 მილიონი მოწაფე.

ჩვენ სკოლებში სწავლობს ბავშთა მოსახლეობის 65-70 პროცენტი. საბჭოთა ხელისუფლებას მიზნად დასახული აქვს სკოლების ქსელის იმგვარად განვითარება, რომ 1933 წლისათვის სკოლებში გაერთიანებულ იქნეს სასკოლო ჰასაკის ბავშთა მთელი მოსახლეობა. შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ამოცანა შესრულებულ იქნება წარმატებით.

ჩვენ სკოლებში მეცადინეობის დაყენების საქმე მოსწონთ ყველა უცხოელ პედაგოგებს და მეცნიერებს, რომელნიც ჩამოდიან საბჭოთა კავშირში. იმ უცხოელების აზრი, რომელნიც თავისი მსოფლმხედველობით შორს არიან კომუნიზმისაგან, მოწმობს, რომ საბჭოთა სკოლა განათლების უდიდესი ლაბორატორიაა მსოფლიოში.

სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის საქმე საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შესამჩნევად წავიდა წინ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბავშო მოედნების ქსელის ზრდა უკანასკნელ წლებში: 1500-დან 1924-25 წელს ისინი აღწევენ 4.000-მდე 1926-27 წელს. საბავშო მოედნებში ამ ჟამად ირიცხება 200.000 ბავში.

რაც შეეხება მაღალი ტიპის სკოლებს —ამ ჟამად ასეთ სკოლებში გაერთიანებულ ბავშთა რაოდენობა 40 პროცენტით აღემატება ომამდე არსებულ რიცხვს.

საბჭოთა კავშირში მაღალი ტიპის სკოლის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს გლეხური ახალგაზრდობის სკოლა. 1924-25 წელს ასეთ სკოლების რიცხვი უდრიდა 229-ს, მოსწავლეთა რიცხვი 20.000-ს. 1926-27 წელს სკოლების რიცხვი—686, ხოლო მოსწავლეთა—650.000.

მაღალი ტიპის სკოლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლა. 1923-24 წელს საბჭოთა კავშირში იყო 799 ასეთი სკოლა, 1926-27 წელს—1.068. მოსწავლეთა რიცხვი ამ პერიოდის განმავლობაში 60.000-დან 110.000 კაცამდე გაიზარდა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანები პროფესიონალურ განათლებას მთელი ჩვენი კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაწილედ ხდის. ტეხნიკუმების ქსელის და მასში მოსწავლეთა რიცხვის ზრდა მეტად თვალსაჩინოა. 1920-21 წლიდან 1926-27 წლამდე ტეხნიკუმთა რიცხვი 585-დან 1.017-მდე გაიზარდა, მოსწავლეთა რიცხვი—70.000-დან 180.000-მდე. სოციალური შემადგენლობის მიხედვით ტეხნიკუმებში მუშები და გლეხები შეადგენენ 50 პროცენტს“.

გადადის რა უმაღლეს სასწავლებლებზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უმაღლეს სასწავლებლების შემადგენლობაში სჭარბობენ მუშები და გლეხები.

„ჩვენ გვაქვს—ამბობს მომხსენებელი—მთელი რიგი ცნობებისა, რომლებიც მოწმობენ სტუდენტობის კვალიფიკაციის შეურყეველ ზრდის შესახებ. ჩვენი ამოცანაა არა უმაღლეს სასწავლებლების რიცხვის გადიდება, არამედ მეცადინეობის საქმის გაუმჯობესება. უმაღლეს სასწავლებლების არსებული ქსელი აერთიანებს 160.000 სტუდენტს, ე. ი. უფრო მეტს, ვინემ ომამდე.

განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოები—განაგრძობს ამხ. ლუნაჩარსკი, აწარმოებენ სერიოზულ მუშაობას პოლიტიკურ განათლების დარგში. უწინარეს ყოვლისა აქ უნდა დავასახელოთ ბრძოლა სრულ ასაკოვან მოსახლეობის წერა-კითხვის ცოდნისათვის. ლიკპუნქტების რიცხვი 1921 წ. შეადგენდა 41 ათასს. ამჟამად კი ეს რიცხვი გაიზარდა თითქმის 47.000-მდე. მათში მოსწავლეთა რიცხვი 1 მილიონიდან გაიზარდა 1,5 მილიონამდე. გასულ 7 წლის განმავლობაში წერა-კითხვა შეისწავლა 7 მილიონმა წერა-კითხვის უცოდინარმა მოსახლეობამ.

ამის პარალელურად ვითარდება მუშათა უნივერსიტეტების ქსელი. მცირე როლს არ თამაშობს 22.000 ქოხ-სამკითხველო, რომლებიც ჩვენ გვაქვს. კულტურულ განვითარების საქმეში ქალაქებში დიდ როლს თამაშობენ მუშათა კლუბები. უკანასკნელ დროს პოლიტგანათლების საქმემ მძლავრი მოკავშირე ჰპოვა რადიოს სახით. ამჟამად ქალაქების უდიდეს ნაწილში რადიო მოიპოვება თითქმის ყოველ სახლში. აგებულია და მუშაობს 47 გადამცემი რადიომაუწყებელი სადგური, რომლებსაც უსმენს თითქმის მეოთხედი ნაწილი მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობისა. ფრიად მნიშვნელოვნად განვითარდა აგრეთვე კინოც. ამასთანავე შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენი კინოებიდან თანდათან იდევნება უცხოეთის სურათები. უეჭველია ჩვენი წარმოების სურათების მხატვრულ და იდეოლოგიურ სიმტკიცის ზრდა.

ჩვენი ქვეყნის კულტურულ ზრდას ნათლად მოწმობს ცნობები ჩვენი პრესის შესახებ. გაზეთების საერთო რიცხვი უდრის 556, ტირაჟი აღწევს 8 მილიონ ცალს და მნიშვნელოვნად აჭარბებს ომის წინა ხანებში გამოშვებულ გაზეთების რიცხვს“.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს მეცნიერების მდგომარეობას და აღნიშნავს მის უდიდეს ღირებულებას სოციალისტურ მშენებლობის საქმეში. მომხსენებელი განსაკუთრებით ჩერდება მარქსიზმის ზრდაზე ჩვენს მეცნიერებაში. ამ დარგში აღსანიშნავია დიდი მარქსისტების შრომების გამოცემის ზრდა და საერთო მარქსისტული ლიტერატურის და ჟურნალისტიკის განვითარება, მეორეს მხრივ მთელ რიგ გამოჩენილ მეცნიერთა და სამეცნიერო დაწესებულებათა დაახლოება მარქსისტულ თვალსაზრისის საფუძვლებთან.

ამ ხნის განმავლობაში ფართოდ განვითარდა საკავშირო სამეცნიერო აკადემიის მუშაობა. მუშაობის ინტენსივობის ერთ-ერთ უმთავრეს მაჩვენებელს წარმოადგენს მის მიერ გამოცემულ თხზულებათა რაოდენობის ზრდა, რომელიც 1926 წელში უდრიდა 132-ს წინაამდეგ 27-სა 1916 წელში.

მხატვრობის დარგში ჩვენ გვაქვს ერთის მხრივ მხატვრულ ნაწარმოებთა საერთო ზრდა, მეორეს მხრივ კი—მათი მნიშვნელოვანი გადმოხრა ჩვენი იდეოლოგიისაკენ. იქმნება წმინდა პროლეტარული ლიტერატურა, თეატრებმა დაიკავეს უეჭველად პირველი ადგილი მსოფლიოში, ჩვენი ახალგაზრდა მემუსიკენი იპყრობენ პირველ ადგილებს და უკანასკნელ მსოფლიო შეჯიბრებებში ღებულობენ ოქროს მედლებს და საუკეთესო შეფასებას.

ოქტომბრის რევოლიუციამ გამოაცხადა რუსეთის ყველა ეროვნულ უმცირესობათა ენების და კილოკავების სრული თანასწორუფლებიანობა. ამჟამად ჩამორჩენილ ეროვნებებში სკოლების ქსელი უფრო გაფართოებულია და იქ სწარმოებს დიდი მუშაობა ეროვნულ ლიტერატურის გამოსაცემად.

მხოლოდ ეროვნულ უმცირესობათა სრული კულტურული განვითარებისა და ეროვნულ კულტურის განვითარების პირობებში ყველა ეროვნებათა თანასწორობის საფუძველზე, ჩვენ შეგვეძლება შევქმნათ ადამიანთა საზოგადოების უფრო ჰარმონიული ფორმები“.

დასასრულ ამხ. ლუნაჩარსკი ლაპარაკობს ჩვენი კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უდიდეს ბერკეტის—ჩვენი კომკავშირის შესახებ. მისი ზრდა ამავე დროს გამოხატავს მთელი საბჭოთა კავშირის დიდ კულტურულ ზრდას. ამ თაობას მოსდევს ახალგაზრდა თაობა, რომელიც შეკავშირებულია პიონერთა ორგანიზაციებში. იზრდება შესანიშნავი თანაშემწე, რომელსაც ჩვენ სრულიად უშიშრად ხელიდან ხელში გადავცემთ ადამიანის ახალი ცხოვრების მშენებლობის ამ დიდ საქმეს.

დასავლეთ-ევროპის ქვეყნების მთელი კულტურული განვითარება შეფარდებულია ეგოისტურ ინტერესების დაკმაყოფილებასთან, მაშინ, როდესაც ჩვენი კულტურა ისახავს საყოველთაო მსოფლიო მიზანს—მთელი კაცობრიობის ცხოვრების აღორძინებასა და გაუმჯობესებას. ამ განსხვავებას ჩვენ განსაკუთრებით ნათლად ვგრძნობთ საზღვარგარეთ ყოფნის შემდეგ. როდესაც მდიდარ საზღვარგარეთიდან ბრუნდები ჩვენს ღარიბ საბჭოთა კავშირში, განიცდი უდიდეს სიხარულს: შრომის სიხარულს, სიხარულს ჩვენი საქმის გამო ჩვენს ქვეყანაში“.

სესია მხურვალე ოვაციას უმართავს ამხ. ლუნაჩარსკის (ადს).

კამათი ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საკავშირო ცაკის სესიის 18 ოქტომბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გარშემო საბჭოთა კავშირში ათი წლის მანძილზე ჩატარებული კულტურული მუშაობის შესახებ.

ამხ. სლავინსკი (ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცაკა) შეეხო რა მიღწევებს მხატვრული მუშაობის დარგში, აღნიშნა, რომ ხელოვნების პროფმუშაკნი უკმაყოფილო არიან თავისი მუშაობით.

„ჩვენ,—განაცხადა სლავინსკიმ,—უკმაყოფილო ვართ რეპერტუარით, მხატვრული კრიტიკის ღირსებით, ხელოვნების დარგში ადმინისტრატიული მუშაობის ღირსებით და სამხატვრო წარმოებათა ეკონომიური მდგომარეობით. ცოტად თუ ბევრად რიგიანი დამოკიდებულებაა თეატრისა და კინოსადმი. მუსიკალურ კულტურას და სახვითი ხელოვნებას მეტად უმნიშვნელო ყურადღება ექცევა. სამხატვრო საქმის ამ დარგებს უნდა მიექცეთ მეტი ყურადღება“.

პოკროვსკი (რ. ს. ფ. ს. რ: განათ: სახ: კომისარის მოადგილე) შეეხო უმთავრესად ახალ სამეცნიერო შემცვლელ თაობის მომზადების საკითხს და აღნიშნა, რომ ამ მხრივ უნდა დავეწიოთ გერმანიას და ამერიკას.

„ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია,— განაცხადა ამხ. პოკროვსკიმ,—ნიშნავს მანქანების დამზადებისა და ახლის გამოგონების შესწავლას. ვინაიდან ძალიან ცვდება ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა. თანამედროვე პირობებში ომის ბედი, წყდება უმთავრესად მეცნიერთა კაბინეტებში და სამეცნიერო ლაბორატორიებში, მაშასადამე ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია სამეცნიერო მუშაკთა საკმაო კადრის ყოლა. ჩვენ ყოველწლიურად უნდა გამოუშვათ 700 კაცი ახალი სამეცნიერო მუშაკი, რისთვისაც საჭიროა, 2. 800 სტიპენდია მაინც; გვაქვს კი 1,600 მკვიდრი სამეცნიერო საძირკვლის გარეშე ზედმეტია ლაპარაკი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე. ჩვენ გეგმიანი წესით უნდა ვაწარმოვოთ სამეცნიერო თაობის მომზადება“.

გოსმატულინი (ბაშკირეთის ავტონომიური ს. ს. რესპუბლიკა) შეჩერდა სახალხო განათლების მიღწევებზე ბაშკირეთში, სადაც ოქტომბრის რევოლიუციამდე არ არსებობდა ეროვნული და კულტურული თვითგამორკვევა.

სენიუშკინმა (მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცაკა) დაასურათა ფართე მუშაობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

მთელ რიგ სხვა ამხანაგების გამოსვლის შემდეგ, საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **სკრიპნიკი.** ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გამო არჩეულია კომისია 21 ამხანაგის შეადგენლობით და ამხ. პეტროვსკის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა რეზოლიუციის შემუშავება და დასამტკიცებლად სესიისათვის მისი წარდგენა. ამასთან ერთად ამხ. რიაზანოვის მოხსენების გამო სესიამ მიიღო სპეციალური რეზოლიუცია, რომელშიც ავალებს მთავრობას განაგრძოს მუშაობა რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიის შესწავლის დარგში, რისთვისაც გაიღოს სპეციალური თანხები. საღამოს სხდომაზე სესია მოისმენს ამხ. კუიბიშევის მოხსენებას საბჭოთა კავშირის სამეურნეო შენებლობის შედეგების შესახებ (ადს).

რას ამბობენ ცაკის მანიფესტის შესახებ

ამხ. კალინინი

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **კალინინმა** საბჭოთა კავშირის ცაკის მანიფესტის შესახებ განაცხადა, რომ ეს მანიფესტი ეკუთვნის იმ დოკუმენტების რიცხვს, რომელნიც შევლენ მუშათა მოძრაობის მსოფლიოს ისტორიის უმთავრეს ძეგლთა რიცხვში. მანიფესტმა წამოაყენა მთელი რიგი ახალი სერიოზული პრობლემები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტას უდიდესი შედეგები უნდა მოჰყვეს.

ამხ. კალინინმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა მანიფესტის ცალკე მუხლებს და სთქვა:

„ყველასათვის ცხადია, რომ მანიფესტს, გარდა შინაური მნიშვნელობისა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო კაპიტალი ეხლა შეტევას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ, ადიდებს სამუშაო დღეს. დასავლეთში მუშები მუშაობენ 9-დან 11 საათამდე. ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში კი ჩვენ შევსძელით რვა საათის სამუშაო დღის გატარება და დავისახეთ ამოცანა, რომ ახლო მომავალში განვახორციელოთ შვიდი საათის სამუშაო დღე. უეჭველია, რომ ცნობა ამ მანიფესტის შესახებ კიდევ უფრო მეტად დარაზმავს საერთაშორისო პროლეტარიატს საბჭოთა კავშირის ირგვლივ და გააძლიერებს საბჭოთა კავშირის დაცვის ფრონტს თავდასხმისაგან, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებენ“.

ამხ. ლუნაჩარსკი

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარმა ამხ. **ლუნაჩარსკიმ** ცაკის მანიფესტის შესახებ განაცხადა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს 15 მილ. მან. გადადებას სასკოლო აღმშენებლობისათვის სოფლად და საფაბრიკო-საქარხნო რაიონებში.

„უეჭველია,—სთქვა ამხ. ლუნაჩარსკიმ,—რომ ამ აღმშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ძირითადი საძირკვლის ჩაყრა, ე. ი. საყოველთაო სწავლების განხორციელება დანიშნული ვადისათვის—1932 წლისათვის. ამავე დროს, უმთავრესი დაბრკოლება ამ გზაზე არის სკოლების საკმაო რაოდენობით აგების უდიდესი სიძნელე, მათი შეკეთება და მოწყობა. ცაკის მიერ გადადებული დიდი თანხა სწორედ ამ დაბრკოლების წინააღმდეგ არის მიმართული“.

ამხ. კრილენკო

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში რესპუბლიკის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ ამხ. **კრილენკომ** ცაკის მიერ გამოქვეყნებული მანიფესტის შესახებ განაცხადა:

„არ არსებობს ისეთი სახელმწიფო მსოფლიოში, რომელიც ისე ხშირად სარგებლობდეს ამნისტიით, როგორც საბჭოთა კავშირი. ყველა შემთხვევებში, როცა არის შესაძლებლობა იმისა, რომ არ იქნას მიღებული მკაცრი რეპრესიული ზომები დამნაშავეთა მიმართ, საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის იყენებს ამნისტიას. ეხლა ძნელია ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ფორმებში იქნება ჩამოყალიბებული საბოლოო საკანონმდებლო აქტი ამნისტიის შესახებ და რამდენად შერბილდება რეპრესიები დამნაშავეთა ცალკე კატეგორიებისათვის. მაგრამ ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ მანიფესტის სწორი კატეგორიული ტექსტი დამნაშავეთა ფართო წრეებს ანიჭებს ამნისტიას. პირველ რიგში და უმთავრესად სასჯელის შერბილება შეეხება ღარიბებს, ვინაიდან არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისინი იქნებიან საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი და საზოგადოებრივი წყობილების შეგნებული დეზორგანიზატორები.

ზედმეტია ლაპარაკი იმ მოტივების შესახებ, თუ რატომ არ ვრცელდება ამნისტია ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიების აქტიურ მოღვაწეებზე, გამფლანგველებზე და მექრთამეებზე. ამჟამად, საერთაშორისო მდგომარეობის გართულების პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია ხელი შეუწყოთ ჩვენი სასტიკი მტრების სურვილების განხორციელებას და მათი კადრების გადიდებას იმ პირებით, რომელნიც ამჟამად სასამართლოს ორგანოების ხელში იმყოფებიან. გამფლანგველები და მექრთამეები ყველაზე უფრო დიდი დეზორგანიზატორები არიან საზოგადოებრივ მშენებლობის იმ მუშაობისა, რომელსაც უკვე ათი წელია აწარმოებს მუშათა კლასი. მე ვფიქრობ, რომ ყოველი მუშა და გლეხი სავსებით მოიწონებს ამ გადაწყვეტილებას“. (ადს)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკელ ჟურნალისტების საუბარი

„აზნავთის“ თავმჯდომარის მოადგილე ამხ. რუმიანცევთან

ბაქო, 18 ოქტომბერი. ბაქოში ჩამოვიდნენ „იუნაიტედ პრესს“-ის ბერლინელი კორესპონდენტი ქუ და „ნიუ-იორკ ნოიშენ“-ის კორესპონდენტი ფიშერი. კორესპონდენტები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ იმ მიზნით, რომ გაეცნონ ჩვენი ნავთის მეურნეობას იმ კამპანიასთან დაკავშირებით, რომელსაც აწარმოებენ საბჭოთა ნავთის ყოფილი პატრონები დეტერდინგის დახმარებით. კორესპონდენტები იყვნენ მოსკოვში, ნავთის სინდიკატში, შემდეგ გროზნოში, სადაც გაეცნენ „გროზნავთის“ სარეწაოებსა და ქარხნებს; გუშინ მათ დაათვალიერეს აზნავთის ქარხნები და სარეწაოები, საღამოთი კორესპონდენტები მიიღო აზნავთის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. რუმიანცევმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა უცხოეთიდან.

კორესპონდენტები აძლევდნენ შეკითხვებს, რომლებზედაც ამხ. რუმიანცევი უპასუხებდა.

კითხვა: როგორია ნავთის ნამდვილი თვითღირებულება? მართალია თუ არა, რომ თქვენი ექსპორტები საზარალოა, როგორც ამას დეტერდინგი და თქვენდამი მტრულად განწყობილი პრესა ამტკიცებს?

პასუხი: იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი ნავთის თვითღირებულება ნამდვილად ომის წინადროინდელზე უფრო დაბალია, საკმარისია თუნდაც ის რაციონალიზაცია, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ ბაქოს სარეწაოებზე გასაბჭოების შემდეგ. ასე, მაგალ., სათბობ მასალისათვის ყოფილი მეპატრონეები ხარჯავდნენ ნავთის მთელი ამოღების 15 პროც., აზნავთი კი მხოლოდ 4,5 პროც. ხარჯავს. ომამდე ნავთიდან მხოლოდ ნახევარ პროცენტ ბენზინს იღებდნენ, ეხლა კი 6 პროც. ვიღებთ. ჭების წინანდელი წესით ბურღვა იყო ნელი და მასთან ძვირადაც ჯდებოდა, ამჟამად კი მთელი ბურღვის 93 პროც. გაუმჯობესებული წესით სწარმოებს; ჭა-ბურღილის მილის დიამეტრი წინად 48 დიუმს აღწევდა, ეხლა კი—8—12 დიუმს და სხ.

კითხვა: როგორია თქვენი სატრანსპორტო შესაძლებლობანი? უზრუნველყოფენ თუ არა ისინი ექსპორტს შემდგომი ზრდის პერიოდში?

პასუხი: ნავთსადენი და ნავთსაქაჩი ქარხნები, რომლებიც ამჟამად შენდება ბათომში, სავსებით უზრუნველყოფენ ექსპორტს ხუთ წლიანი გეგმის მიხედვით. ექსპორტის შემდგომი ზრდის დროს ჩვენ პირველი ნავთსადენის პარალელურად გავიყვანთ მეორე ნავთსადენს.

კითხვა: როგორია თქვენი ნავთის რეზურსები? თქვენდამი მტრულად განწყობილ უცხოეთის პრესის ცნობებით, ისინი ილევა.

პასუხი: ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ნავთის მარაგი უფრო დიდია, ვიდრე ამერიკის. ამჟამად ჩვენი ნავთის რეალური მარაგი 85 მილიარდი ფუთით არის ნაანგარიშევი. ჩვენი ექსპერტების აზრით, აზნავთის საერთო მარაგი 65 მილიარდ ფუთს უდრის. ჩვენ გაძლიერებული ტემპით ვაწარმოებთ ახალ კვლევა-ძიებებს, რომლებიც მეტად საიმედო შედეგებს გვაძლევენ—ჩვენ ნავთის სულ ახალ-ახალი რაიონები გვემატება. ჩვენში იშვიათია ჭაბურღილი, რომლის ექსპლოატაციასაც არ ვაწარმოებდეთ. ამერიკაში კი ამჟამად გამდიდრების მიზნით (ხოლო წინად ჩვენი ნავთის ძველი მეპატრონეების დროს) ნავთის ბუდეების ველური ექსპლოატაციას აქვს ადგილი. ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს ჩვენ მეტად ფრთხილად ვეპყრობით და თვითეულ ჭა-ბურღილს ვიყენებთ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვუშვებთ, რომ ერთი წვეთი წყალი ჩავიდეს ნავთის ფენებში (ჩვენ ჭებს ვაცემენტებთ), რასაც სრულიად არა აქვს ადგილი ამერიკის მრეწველობაში.

ფიშერი. ამერიკაშიაც ზოგიერთ ადგილებში ჭებს აცემენტებენ.

რუმიანცევი. მართალია, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩვენ ეს შემოვიღეთ.

კითხვა: ვის აძლევთ თქვენ დაკვეთებს მოწყობილობაზე?

პასუხი: ჩვენ დაკვეთებს ვაძლევთ იმათ, ვინც უფრო ხელსაყრელ პირობებს გვიდგენს მთავრესად, გერმანიას, ამერიკას და ინგლისს. ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკაში რამდენადმე შეიცვალა შეხედულება ჩვენ დაკვეთებზე და ჩვენ იძულებული გავხდით მივმართოთ სხვა ქვეყნებისათვის. ერთ-ერთი მსხვილი დაკვეთა ნავთსადენის მილებზე ეს-ეს არის გადავეცით გერმანულ ფირმას—ოტტო ვოლფს, გერმანიაში დაუკვეთეთ აგრეთვე ბათომის პირველი ნავთის პროდუქტების გადასამუშავებელ ქარხნის მოწყობილობა—ორივე დაკვეთა 20 მილ. მან. 6 წლის კრედიტის პირობით. ამერიკელებმა ეს დაკვეთები დაჰკარგეს. საკითხი დანარჩენ დაკვეთების შესახებ მოლაპარაკების სტადიაშია. გვაქვს წინადადებები კრედიტის მეტად ხელსაყრელი პირობებით სხვადასხვა ქვეყნების მხრით, მათ შორის ამერიკის მრეწველების მხრითაც, რომლებიც ბოლოს მოვიდნენ გონს.

დასასრულ რუმიანცევმა განაცხადა: „ჩვენ ჩვენი ღირსების შელახვად მიგვაჩნია დეტერდინგთან პოლემიკის გამართვა, მის ცილისწამებაზე ჩვენ უპასუხებთ ჩვენი მრეწველობის ზრდით. დეტერდინგი ჩვენ გვისაყვედურებს „მოპარული“ ნავთის გაყიდვას. იმისათვის, რომ დარწმუნდეთ, თუ ვის შეიძლება წაუყენოთ ბრალდება მოპარულ ნავთით ვაჭრობაში, მე თქვენ გირჩევთ ნახოთ დეტერდინგის ყოფ. მუშების ბინები და ჩვენი მუშათა ბინები. თქვენ მაშინ დაინახავთ, თუ ვის ხარჯზე იძენდა მილიონებს დეტერდინგი. გირჩევთ აგრეთვე მონახოთ უცხოეთში ბაქოს ყოფ. ნავთის მრეწველი ასადულაევი და მისი აქრები და შეეკითხოთ—რამდენს აძლევს მათ დეტერდინგი მათი ჭორებისათვის საბჭოთა ნავთის შესახებ. პარიზში ყოფნის დროს მე გავიგე ბურჟუაზიული პრესისა და მის მიერ წარმოებულ დეტერდინგისებური კამპანიის ნამდვილი ფასი. პირადათ მე მომმართეს საფრანგეთის მსხვილი გაზეთების წარმომადგენლებმა წინადადებით დამეწყო საპასუხო კამპანია, მხოლოდ იმ პირობით, თუ ფული მზად იქნებოდა. ეხლა ყოფილ მესაკუთრეთა ჯგუფმა ასადულაევის მეთაურობით „მიჰყიდა“ დეტერდინგს ბაქოს რამდენიმე ათასი დესეტინა ნავთიანი მიწის ნაკვეთები. მთელი „გროზნავთი“ რამდენიმე ხნის წინად „გამჰყიდა“ თერგის ოლქის ყოფილმა ატამანმა და სხ. ჩვენში ეს მხოლოდ ზიზღსა და სიცილს იწვევს“.

ნავთის წუმპეში

მექრთამე მინისტრი

ვაშინგტონი, 17 ოქტომბერი. 17 ოქტომბერს დაიწყო მსხვილ ნავთის მრეწველის გარი სინკლერის და შეერთებულ შტატების ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრის ფოლის საქმის გარჩევა. პირველს ბრალდება ქრთამის მიცემა, ხოლო მეორეს აღება იმ მიზნით, რომ სინკლერს შეერთებულ შტატების მთავრობისაგან მიეღო ნავთის კონცესია.

წარსულ წელს გაირჩა ნავთის მრეწველის დოგენის და ფოლის ასეთივე საქმე. მაშინ ისინი გამართლეს. (ადს)

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს - აირესი, 17 ოქტომბ. კაპაბლანკა ალიოხინის მატჩის მე-16 პარტია მე-24 სვლაზე დასრულდა უშედეგოდ (ადს).

თეთრი ტერორი

ავსტრიაში

ვენა, 17 ოქტ. საოლქო სასამართლომ ვენაში კიდევ სამი განაჩენი გამოიტანა ივლისის აჯანყების მონაწილეთა საქმეზე. ბრალდებულ ფრანც ჩერვენკს (მუშა-ხელოსანი), რომელიც 16 ივლისს დაპატიმრეს პოლიციასთან შეტაკების დროს, მიუსაჯეს საკატორღო ციხეში დაპატიმრება 15 თვის ვადით. მუშა-ხელოსნებს პაცელტს და რიხტერს დაპატიმრება მიუსაჯეს იმის გამო, რომ ისინი მოსახლეობას აქეზებდნენ ჩაფრების წინააღმდეგ (ადს).

მუშა და გლეხ-ქალთა ყრილობა

კამათი ამხ. სემაშკოს მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. მუშა და გლეხ ქალთა საკავშირო ყრილობაზე 16 ოქტომბერს გრძელდებოდა კამათი ამხ. სემაშკოს მოხსენების გარშემო.

ორატორების სიტყვებში ხშირად მეორდებოდა ჩივილი საექიმო პერსონალის ნაკლებობაზე და საექიმო პუნქტის სიშორეზე ურალში აღმოსავლეთ რესპუბლიკებში და სხვა ადგილებში.

დელეგაციების აზრით, ადგილებზე მოწყობილ უნდა იქნეს პირველი საექიმო დახმარების მოკლევადიანი კურსები.

უცხოელ დელეგატ - ქალთა გამოსვლა

კამათი შეწყვეტილ იქნა უცხოელ დელეგატ ქალთა გამოსვლის გამო.

საფრანგეთის დელეგატ - ქალმა დიუშენმა ყრილობას ღრმესი მადლობა გადასცა გულითადი და მეგობრული მიღებისათვის საბჭოთა კავშირში.

„საფრანგეთში — განაცხადა მან — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იკრიფება შავი ღრუბლები, მაგრამ საფრანგეთის ქალთა უდიდესი მასა მზად არის მთელი თავისი ძალ-ღონით ხელი შეუშალოს თქვენს წინააღმდეგ ომის დაწყებას“.

ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელმა დიკონმა განაცხადა, რომ ქალების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში გაცილებით უფრო კარგია, ვიდრე ინგლისში.

გერმანიის დელეგატ - ქალმა კრაუზემ დაახასიათა ბერლინის და ჰამბურგის დელეგატ-ქალთა მუშაობა და აღნიშნა, რომ მუშა და გლეხ - ქალთა მუშაობამ უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე.

საბოლოო სიტყვაში ამხ. სემაშკომ პასუხი გასცა დელეგატ - ქალების მრავალრიცხოვან კითხვებზე.

ცაკის მანიფესტი

ამხ. ლუნაჩარსკის და სემაშკოს მოხსენებების გარშემო რეზოლიუციების მიღების შემდეგ, ამხ. ნიურინამ წაიკითხა ცაკის მანიფესტი. ერთხმად მიღებულ იქნა მთავრობისადმი მიმართვა, რომელშიაც ყრილობა მადლობას გამოსთქვამს ისეთი მანიფესტის გამოქვეყნებისათვის, რომელიც სავსებით შეეფერება საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხ - ქალთა ინტერესებს. მიმართვა მთავრობას პირდება სრულ დახმარებას დასახულ ღონისძიებათა გატარებაში.

ყრილობის დახურვა

ყრილობის დახურვის წინ ამხ. არტიუხინამ ჯამი გაუკეთა შვიდი დღის მუშაობას, რომელმაც გამოამჟღავნა მუშა და გლეხ - ქალთა უდიდესი აქტივობა. ყრილობამ აღნიშნა მიღწევები ქალთა განთავისუფლების და მართვა-გამგეობაში მონაწილეობის საქმეში და დასახა მუშა და გლეხ - ქალთა ამოცანები მომავლისათვის.

უცხოელ ქალთა დელეგაციების განცხადება

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა უცხოელ ქალთა იმ დელეგატების განცხადება, რომელნიც მონაწილეობდნენ ყრილობის მუშაობაში. განცხადებაში ნათქვამია:

„ჩვენ დასავლეთ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშა - ქალთა დელეგატები, უპარტიონი, სოციალ - დემოკრატი და კომუნისტი ქალები, რომელნიც აღფრთოვანებაში მოგვიყვანა საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხ - ქალთა დიდ ყრილობაზე ნახულმა და გაგონილმა, ერთხმად გამოვსთქვამთ ჩვენს აღტაცებას საბჭოთა კავშირის მიღწევების წინაშე 10 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ქალთა განთავისუფლების საქმეში. ჩვენ სრულ სოლიდარობას უცხადებთ საბჭოთა კავშირის მშრომელთ მათ გიგანტურ ბრძოლაში და მზადა ვართ გადავსცეთ სიმართლე მათი მიღწევების შესახებ მშრომელ დებს ჩვენს სამშობლოში. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ის ცოდნა და გამოცდილება, შეგნება და დამოკიდებულება, რომელიც დელეგატ - ქალებმა გამოამჟღავნეს ყრილობაზე, არის თვითმმართველობის იმ მარტივი ფორმების ნაყოფი, რომელიც შექმნა ლენინმა საბჭოების სახელწოდებით და რომელიც სოციალისტური აღმშენებლობის ნამდვილ კერას წარმოადგენს. ყველაფერი ეს გვავალებს ჩვენ შეუძლებლად გავხადოთ ჩვენ მთავრობათა საინტერვენციო გეგმების განხორციელება, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოთ ჩვენი ქვეყნების ჩათრევას ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობისათვის ხელის შეშლის ცდას. ჩვენ არ დაუშვებთ ქალთა მილიტარიზაციას ახალი ომისათვის და ყველა ქვეყნების რევოლიუციონურ მასებთან ერთად განვაგრძობთ ბრძოლას დასავლეთის მშრომელ - ქალთა განსათავისუფლებლად“. (ადს).

ბ. პატეკის შთაბეჭდილებანი

ამიერ-კავკასიაში მოგზაურობიდან

გუშინ ბაქოდან თბილისში დაბრუნდა პოლონეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში ბ. პატეკი, რომელმაც მიიღო ჩვენი თანამშრომელი და გაუზიარა მას შთაბეჭდილებანი თავისი მოგზაურობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

— ჩემი შთაბეჭდილებანი—განაცხადა ბ. პატეკმა—მრავალმხრივი და თვალსაჩინოა, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინოა შემდეგი: რა ლამაზი და უხვიც არ უნდა იყოს ამ ჟამად ამიერ-კავკასია, იგი მაყურებლის თვალის წინ სჩანს, როგორც დიდი შესაძლებლობის ქვეყანა. მაგალითისთვის საკმაოა დავასახელო თქვენი კურორტები: თქვენს აგარაკებს და კლიმატიურ სადგურებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ არა მარტო ადგილობრივ ავადმყოფებს, არამედ მოიზიდონ მრავალი ათასი უცხოელი მოქალაქეები, რომელნიც თქვენს აგარაკებზე მიღებულ ჯანმრთელობის ნაცვლად მოიტანენ უცხოეთის ვალიუტას. ამ საშუალებით შეძენილი ვალიუტა იქნება წმინდა შემოსავალი, რომელიც შეიძლება მოხმარდეს თქვენი კურორტების და კლიმატიური სადგურების შემდგომ გაუმჯობესებას და ტურიზმის განვითარებას.

ამიერ-კავკასიაში მოგზაურობის დროს მე გამაკვირვა აგრეთვე გამოუყენებელი მიწის სივრცემ, რომელიც სარწყავი სისტემის მოწყობის შემდეგ, უეჭველია, გადაიქცევა ბამბის, თამბაქოს და მთელ რიგ ძვირფას კულტურათა ნაყოფიერ პლანტაციებათ.

თქვენ გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებთ ამიერ-კავკასიის ბუნებისგან უხვად დაჯილდოებულ წყლის ენერგიის—„თეთრი ნახშირის“ გამოსაყენებლად, და ვხედავ, რომ ამ მუშაობას უკვე გამოულია ყვავილი, ხოლო ნაყოფი ახლო მომავლის საქმეა. თქვენ მალე დარწმუნდებით, თუ რა სარგებლობას მოუტანს თქვენ ქვეყანას ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა.

ამიერ-კავკასია უხვია სპილენძის, შავი-ქვის, რკინის, თუთიის, ტყვიის, ქვა-ნახშირის მადნებით და იშვიათი ჯიშის ტყეებით. ყველა ამ სიმდიდრეების ექსპლოატაცია შეიძლება დიდის წარმატებით, მაგრამ როგორც სჩანს, უგზოობა ხელს უშლის და აძვირებს მათ გამოყენებას. ამიტომ თქვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ კითხვას ჩემის აზრით, წარმოადგენს არსებულ სარკინიგზო ქსელის, გზატკეცილების გაფართოება და ავტო-ტრანსპორტის განვითარება.

თქვენი ნავთის სარეწაოების შეუწყვეტელი ტეხნიკური გაუმჯობესება და ახალი წყაროების დამუშავება, უეჭველია, თანდათან გაადიდებს ამიერ-კავკასიის ძირითად საექსპორტო საქონლის — ნავთისა და მის პროდუქტების ექსპორტს. ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ისეთი პროდუქტები, როგორიც არის: თამბაქო, ღვინო, თევზი, ხიზალალა და სხვა, რომლებიც თანდათან გადაიქცევიან მთავარ საექსპორტო საქონლად.

როგორც პირველი საუბრის დროს აღვნიშნე, ამიერ-კავკასიას და პოლონეთს შორის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ ვაჭრობის საკითხების მოგვარებას. დღეს მე მინდა კიდევ ხაზი გაუსვა, რომ არსებობს ყველა პირობები იმისათვის, რომ დაიწყოს ამიერ-კავკასიის და პოლონეთს შორის იმ პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა, რომელიც ერთ მხრივ მოეპოვება და მეორე კი მათ დიდ ნაკლებობას განიცდის. ამიერ-კავკასიასთან ვაჭრობის საკითხს უკავშირდება საკითხი, პოლონური საქონლის აღმოსავლეთისაკენ ამიერ-კავკასიის გზით გატანის და პირიქით აქაური საქონლის პოლონეთის გზით დასავლეთ ქვეყანაში გაზიდვის შესახებ.

იმ საუბრებით, რომელიც მე მქონდა ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკებთან მე დავრწმუნდი, რომ მათში ვპოვებ ჭეშმარიტ თანამშრომელთ ჩვენს საერთო საქმეში და მეც, ჩემს თავს ბედნიერად ჩავსთვლი, თუ ჩემი პირადი დახმარებით ხელს შევუწყობ ამ საერთო საქმეს.

ვსტოვებ რა თქვენს მშვენიერ ქვეყანას, მე არაფერს ვიტყვი, თუ როგორი შთაბეჭდილება დახმარებით ხელს შევუწყობ ამ საერთო საქმეს. კავკასიის სილამაზე არა ერთ და ორ უნიჭიერეს პოეტს აქვს აწერილი, მაგრამ, ჩემის აზრით, ამიერ-კავკასიის ბუნების სილამაზე აღემატება იმას, რაც მე მის შესახებ ლიტერატურაში წამიკითხავს.

დღეს ბ. პატეკი მიემგზავრება ბათომში, საიდანაც ყირიმის გზით დაბრუნდება მოსკოვში.

პარტიული ცხოვრება

უკრაინის კ. პ. (ბ) ცეკა ოპოზიციის შესახებ

ხარკოვი, 18 ოქტომბერი. უკრაინის კომპარტიის (ბ.) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა, მოისმინა რა ამხ. კაგანოვიჩის ცნობა შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს ცენტრალურ კომიტეტის მიერ მიღებულ ზომებს ოპოზიციის წინააღმდეგ; პლენუმი სავსებით იწონებს აგრეთვე არალეგალურ სტამბის მომწყობთა—პრეობრაჟენსკის, სერებრიაკოვის და შაროვის გარიცხვას პარტიიდან.

უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი სცნობს, რომ მე-15 ყრილობაზე უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეეფერება ტროცკისტული ოპოზიციის გამთიშავი მუშაობა საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში ყოფნას. პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რათა მომავალში გააძლიერონ მუშაობა ოპოზიციის ანტიპარტიული, ანტილენინური ფიზიონომიის გამოსამჟღავნებლად და არ მისცენ შესაძლებლობა ოპოზიციას, რომ პარტიის წინაშე მდგომი ძირითადი საკითხების საქმიანი განხილვისათვის მოწვეული კრებები გამოიყენონ ფრაქციული გამთიშავი მუშაობისათვის.

პლენუმი მოუწოდებს მთელ პარტიას მჭიდროდ დაირაზმოს ლენინური ცეკას ირგვლივ და ერთსულოვნად ჩაატაროს ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა. პლენუმი გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ პარტია მე-15 ყრილობაზე კიდევ უფრო მეტად შემჭიდროვდება და გაძლიერდება. (ადს).

ბაქოს პარტაქტივი ოპოზიციის მუშაობის შესახებ

ბაქო, 18 ოქტომბერი. შესდგა ბაქოს ორგანიზაციის პარტაქტივის კრება. აქტივმა მოისმინა აზ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენება ბაქოს ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის შესახებ და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ოპოზიციამ გააფართოვა ფრაქციული მუშაობა, არსებითად გადავიდა ახალი, მეორე პარტიის შექმნაზე, რისთვისაც მიმართა ფარული, არალეგალური მუშაობის მეთოდებს. თუ შარშან, თავის გამოსვლების დროს, ოპოზიცია ლენინის პარტიის პრინციპებთან შეუთავსებლად სთვლიდა ფრაქციულ მუშაობას (ოპოზიციის განცხადება 1926 წ. 16 ოქტომბერს), სამაგიეროდ წელს ოპოზიცია ფარული მუშაობისათვის ბაქოში ჩამოსულ სარქისის სახით აკეთებს „ახალ აღმოჩენას“ და უსინდისოდ ცილს სწამებს ლენინს, თითქოს მას ესწავლებინოს, რომ „არა ყოველთვის და არა ყოველ პირობებშია მავნე პარტიის ფრაქციული მუშაობა“ (სარქისის განცხადება), ბაქოს ორგანიზაციის აქტივი მთლიანად და სავსებით უერთდება ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიისა და კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებას კომინტერნის აღმასკომის შემადგენლობიდან ამხ. ტროცკისა და ვუიოვიჩის გარიცხვის შესახებ; საკ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას პარტიის რიგებიდან პრეობრაჟენსკის, სერებრიაკოვის და შაროვის გაძევების შესახებ; საკ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას პარტიის რიგებიდან ვუიოვიჩის, როგორც გაუსწორებელ ფრაქციონერის, გარიცხვის შესახებ რომელმაც უარჰყო ლენინის ცეკას გადაწყვეტილება მისი, ვორონეჟში სამუშაოდ გაგზავნის შესახებ; აზერბ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას პარტიის რიგებიდან სარქისის, როგორც ფარული კრებების და ფრაქციული მუშაობის ინიციატორის და ხელმძღვანელის, გაძევების შესახებ; სარქისის, რომელმაც ბოროტად გამოიყენა საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას ნდობა და ულიანოვსკის ორგანიზაციის, მაგიერ, სადაც ის მიავლინა საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკამ, თავი ამოყო ბაქოში. ბაქოს ორგანიზაციის აქტივი მიმართავს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას განცხადებით იმის შესახებ, რომ მან უკანასკნელად მოუწოდოს წესრიგისაკენ გაუსწორებელ ფრაქციონერებს, რომლებიც სცდილობენ შექმნან თავისი ტროცკისტული პარტია, ოპოზიციის და მთელი მისი ანტიპარტიული მუშაობის ბელადებს და ხელმძღვანელთ—ტროცკის და ზინოვიევს და უკანასკნელად გააფრთხილოს ისინი, რომ შემდეგში ჯიუტობა და დეზორგანიზატორული მუშაობა დააყენებს მათ პარტიის რიგების გარეთ.“

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად.

თბილისის ორგანიზაციის სარაიონო კონფერენციები

ლენრაიონის მე-8-ე პარტკონფერენცია

მეოთხე სხდომა

უპარტიო მუშათა დელეგაცია

გუშინ, საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რაიკომის მოხსენების გარშემო. კამათის დაწყების წინ კონფერენციას ეწვია მთავარ სახელოსნოს უპარტიო მუშათა დელეგაცია 15 კაცის შემადგენლობით. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ტარიკაშვილი: რომელმაც სთქვა, რომ უპარტიო მუშები იქნებიან პარტიასთან ყოველგვარ სიძნელეებთან ბრძოლაში და აქტიურად იმუშავებენ სოციალისტურ სახელმწიფოს შენების საქმეში.

ლენინურ პარტიაში, სთქვა მან, დღეს ადგილი აქვს უთანხმოებას, მაგრამ ც. კ., რომელიც თავის მუშაობას წარმართავს მუშათა კლასის ინტერესების დაცვისაკენ და სწორი გზით გვიძღვება წინ, შესძლებს ბოლო მოუღოს ყოველგვარ ანტილენინურ გადახრებს.

კამათის გაგრძელება

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ჟოლუდევმა, ფედოტოვმა, ვარლამოვმა, ქარელიძემ, მუნტიკოვმა და გოგიგლეჯაშვილმა. ამხ. ჟოლუდევმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამხედრო სკოლაში თავს იყრის უმთავრესად გლეხურ ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა და მათზე საჭიროა პროლეტარული გავლენის გაძლიერება, ამისათვის კი საჭიროა დაახლოვება საქალაქო ორგანიზაციებისა, სამხედრო ნაწილებთან. დანარჩენი ამხანაგები ეხებოდნენ წარმოების საკითხებს.

ამხ. ფანცულაიამ დასასრულ გასცა პასუხი გამოსულ მოკამათეებს. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენ არავითარ ზეგავლენასა და შევიწროვებას არ ვახდენთო და სიყალბეა ის ხმები, ვითომ ოპოზიციონერებს სამუშაოდან ხსნიდენ. რაც შეეხება ფრაქციონულ მუშაობას ამ შემთხვევაში პარტია უკვე ხელმძღვანელობს მეათე ყრილობის დადგენილებებით. რაიკომის მოხსენების ირგვლივ გამოსულ სხვა ამხანაგები ეხებოდნენ საწარმოო და სხვა დროულ საკითხებს. ოპოზიცია იმის მაგივრად, რომ რამე ეთქვა წარმოებაზე ან და პრაქტიკულ მუშაობაზე, სდუმდა, სცდილობდა მხოლოდ ოპოზიციონურ აბდა-უბდის დაცვას, რასაც კრება ერთსულოვანი პროტესტით ხვდება.

ამხ. ფანცულაიას საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ რაიკომის მუშაობის შესახებ, ერთხმად, ერთის წინააღმდეგ, მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი რაიკომის პოლიტიკურ ხაზს სთვლის სწორად და დამაკმაყოფილებლად. ამასთანავე გამოყოფილი იქნა კომისია, რომელსაც დაევალა პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება.

ამხ. ივანოვის მოხსენება

შემდეგ კონფერენციის მიერ მოსმენილ იქნა ამხ. ივანოვის მოხსენება რკინის გზების მდგომარეობის შესახებ.

რადგანაც ჩვენი პროდუქცია იზრდება და საბჭოთა კავშირი მაგრდება ეკონომიურად და პოლიტიკურად, ამიტომ ტრანსპორტს ხელისუფლების მიერ ექცევა სერიოზული ყურადღება. ამისათვის მომავალ საბიუჯეტო წელში ჩვენი ხარჯები გაცილებით მეტი იქნება შეტანილი. ჩვენ ეკონომიურ ზრდასთან, განაცხადა მან—გვესაჭიროება მოქნილი აპარატი, რომ მომავალში უფრო გავაღონიეროთ ტრანსპორტი, რომელიც ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს.

თუ რამდენად შევძელით ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანათა შესრულება, ამას გვიჩვენებს შემდეგი ციფრები. მაგ. გ. წ. მგზავრთა გადაყვანა ომამდე არსებულ დონესთან შედარებით გაიზარდა 15 პროც. 1927 წელში კი აბსოლიუტურ ციფრებში ვხედავთ: თუ 1913 წელში გადაყვანილი იყო 7 მილიონი მგზავრი 1927 გადაყვანილია 9 მილიონი. ამასთანავე საგრძნობლად გაიზარდა ორთქმავლების საშუალო შეკეთება. იგი აღწევს 313 პროც.

ამხ. ივანოვი შემდეგ ეხება მეურნეობის ზრდას და მოჰყავს შემდეგი ციფრები: რკინის გზების ბიუჯეტების შესახებ 1913 წელი იყო 22 მილ. 1925 წ. 36 მილ., 1926 წ. 51 მილ., 1927 წ. 58 მილ.

ჩვენი მუშაობის ერთ დიდ ნაკლს წარმოადგენს რკ. გზებზე მომხდარი შემთხვევები. თუმცა უკანასკნელ ხანებში ასეთების რიცხვმა საგრძნობლად იკლო. მაგ. თუ 26 წელში მოხდა 1033 შემთხვევა—27 წელში—858. აქედან აგენტების დანაშაულით 26 წელში 679 27 წელში —524.

აქედან ნათელია, რომ დროზე მიღებულ ზომების საშუალებით ასეთი შემთხვევები მცირდება. მუშათა საბინაო საკითხის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ გამოცდილებით სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა და უახლოეს ხანებში შევძლებთ მუშების გამოყვანას სარდაფებიდან. შემდეგ მომხსენებელი გადავიდა მუშათა ხელფასზე, და აღნიშნა, რომ იგი გაცილებით წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერებას. მაგ. მთავარ სახელოსნოში პროდუქციის ზრდა უდრის 5 პროც. და ხელფასი 38 პროც. მომავალში კი ჩვენს უმთავრეს ამოცანას უნდა შეადგენდეს შრომის ნაყოფიერების ზრდა და ბრძოლა აპარატის განმარტივება რაციონალიზაციისაკენ.

ამხ. ივანოვის მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიხურა საღამოს სხდომა.

არსრაიონის მე-9-ე პარტკონფერენცია

ამხ. მზარეულაშვილის მოხსენება

გუშინ საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა არსრაიკომის ანგარიში. მოხსენება გააკეთა არსრაიკომის მდივანმა ამხ. მზარეულაშვილმა *) მისი მოხსენება გაგრძელდა ორ საათს და შეეხებოდა მუშაობის ყველა დარგებს. თავის მოხსენება ამხ. მზარეულაშვილმა დაჰყო ორ ნაწილად: რაიონის ეკონომიური მდგომარეობა და შინაპარტიული მდგომარეობა.

ამხ. მზარეულაშვილი ეხება შინაპარტიულ საკითხებს და მიუთითებს იმ მიღწევებზე, რომელიც პრაქტიკულ მუშაობაში ახასიათებს ორგანიზაციას და რომელიც აღნიშნული იყო დღეს. ეს მიღწევები უსათუოდ პარტიული მასის პოლიტიკის აქტივობის ზრდის და შინა-პარტიულ დემოკრატიის საფუძვლებიდან გამომდინარეობს.

დასასრულს მან სთქვა, რომ პარტიის მთლიანობა ერთი საუკეთესო თავდებია სოციალიზმის გასამარჯვებლად ერთ ქვეყანაში.

რაიონული ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად შეუერთდა ცეკას და უმაღლეს პარტორგანოთა გადაწყვეტილებებს ზოგიერთ მერყევ ბოლშევიკთა გამოკლებით, მჭიდროთ არის დარაზმული ლენინურ ცეკას გარშემო და მტკიცედ იცავს პარტიის მთლიანობას. უკანასკნელი სიტყვები ორატორისა იფარება ხანგრძლივი ტაშით. მზარეულაშვილის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. იზხაკოვის თანამოხსენება კომკავშირის რაიკომის მუშაობის შესახებ. ამასთანავე კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის ანგარიში, რითაც დახურა მეორე სხდომა. დღეს გაიხსნება კამათი რაიკომის მოხსენების გარშემო.

---

*) უფრო ვრცელი ანგარიში არსრაიონის მუშაობის შესახებ იხ. „კომ.“ № 234.

მე-3-ე რაიონის პარტკონფერენცია

კონფერენციის გახსნა

გუშინ გაიხსნა მესამე რაიონის პარტკონფერენცია. კონფერენციას ხსნის ამხ. ტერ-ვართანოვი. კონფერენციამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, კალინინი, მოლოტოვი, ტომსკი, ვოროშილოვი, რუძუტაკი, ორჯონიკიძე, მიქოიანი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ნაზარეტიანი, ელიავა, ქართველიშვილი და ლუკაშინი. საქმიან პრეზიდიუმში: კახოიანი, ასატურ პაპახიანი, ლომთათიძე სიმონ, კარაკოზოვი, გრიგორიანი არშაკ, ტერ-ვართანოვი ასატურ, კახიანი მიხა, იუსუფოვი, ლოლობერიძე, ხოდკოვი, ავაკოვი, ასრიბეკოვი, სტურუა ვანო, ხვანიძე, გოზალოვი, ფირალოვი, ლევანდოვსკი, ნემირზელი, ბეკზადიანი, ყურულოვი, ალიტაკეზადე, კონჩაკი, ჩოდრიშვილი, გრიგორიანი, ხაჩკიანი, შალამიანი, ნიკუბიძე, მამინტოვი, ენუქიძე ლევან, ბურდოვი, კვირაია, სლავიანსკი.

სამდივნოში—ადამიან გაიკ, ვანციან, კანდარელი, ალახვერდოვი, ხვედელიძე, ხაჩატუროვი, ივანოვი. სამანდატო კომისიაში— ულუხანოვ, ალიხანოვი, შანიძე, გელაშვილი, მელიკოვი, ორემაშვილი, ხვიტარიძე.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. ლოლობერიძის მოხსენება შინა-პარტიულ მდგომარეობის შესახებ.

ამხ. ლოლობერიძის მოხსენება

მე-14 ყრილობიდან დაწყებული, ამბობს ამხ. ლოლობერიძე, ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციები შინაპარტიულ მდგომარეობას დიდ ყურადღებას უთმობენ. ოპოზიცია, რომელიც დღითი-დღე შორდება პარტიას, დღეს მივიდა იმ ლოღიკურ დასკვნამდე, რომელიც ყველა თქვენგანისთვის ნათელია. გაერთიანებულ ოპოზიციის სათავეში ამხ. ტროცკი მოექცა. ახალ ოპოზიციაში ახალი მხოლოდ ის არის, რომ ოპოზიციონერებთა ჯგუფში ტროცკის შეურიგებელი მტრები ამხ. ზინოვიევი და კამენევია.

ახალ ოპოზიციაში ახალია კიდევ ის, რომ არას დროს ასე უხეშად, ასე უტიფრად ჩვენს პარტიაში არ ჰქონია ადგილი პარტიის წესდების ამგვარ დარღვევას. ამჟამადაც საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების დაკავშირებით ახალი ოპოზიცია ჩამოყალიბდა, რომლის იდეოლოგი იგივე ტროცკია. დღეს ჩვენი ძირითადი სამეურნეო სიძნელენი გამოიხატება ერთის მხრივ სოციალისტურ მშენებლობის გაძლიერებაში, მეორე მხრივ საგარეო პოლიტიკის გართულებაში, როგორიცაა ინგლის-საბჭოთა დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა და სხვა. მიუხედავად ამ სიძნელეებისა ჩვენ მაქსიმალური ენერგიის დახარჯვით თანდათანობით ვძლევთ ყველა ამ დაბრკოლებებს.

ოპოზიციის მოქმედება მისი ფრაქციული მუშაობა ობიექტიურად გზას უკაფავს კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების საქმიანობას. თავის დროზე პარტიის მე-15 კონფერენციამ შესაფერისი მსჯავრი დასდო ოპოზიციას, როგორც სოციალ-დემოკრატიულ გადახრას. ახალი ოპოზიცია პარტიას უყენებს ბრალდებებს რეჟიმის სიმკაცრის შესახებ. ისინი კითხულობენ, რატომ პარტია მათ მიმართ ლოიალურ პოლიტიკას არ აწარმოებს?

და მართლაც, თუ პარტიას ბრალდებებს წავუყენებთ, ეს მხოლოდ იმაში, რომ პარტიამ დიდი ლოიალობა გამოიჩინა ოპოზიციის მიმართ, რითაც უსაზღვროთ გაათამამა უკანასკნელი. ოპოზიციამ ბევრჯერ მისცა დაპირებანი და თავისი პატიოსანი სიტყვა პარტიას, მაგრამ ვიდრე ქაღალდზე დაწერილ მელანი გაშრებოდა, ოპოზიცია მას უკვე არღვევდა.

ოპოზიციას ორი გზა დარჩა: ან შეეწყვიტა ფრაქციული მუშაობა, ან შემდგარიყო მეორე პარტიის შექმნის გზაზე. საუბედუროთ ცეკას უკანასკნელ პლენუმის შემდეგ ისინი მეორე გზას დაადგნენ. აშკარაა, როდესაც ისინი პარტიას შორდებიან ყველა პრინციპიალურ საკითხებში აქვთ თავიანთი პლატფორმა და ალბათ ფრაქციული „წესდებაც“. ფაქტიურად ეს მეორე პარტიის ჩამოყალიბების ცდა არის. ამის მაჩვენებელია არალეგალური სტამბის მოწყობა და პარტიის საიდუმლო დოკუმენტების გავრცელება.

როდესაც ოპოზიცია ამდენ სისაძაგლემდე მადის, აქვს თუ არა პარტიას უფლება ის შეაჩეროს და უთხრას: საით მიდიხართ? დიახ აქვს. და დრო არის პარტიამ შესაფერისი პასუხი გასცეს მათ ფრაქციულ თავაწყვეტილ მუშაობას.

შემდეგ ამხ. ლოლობერიძე დაწვრილებით ჩერდება ადგილობრივ ოპოზიციის „მოღვაწეობაზე“ და ამბობს: ჯერ კიდევ წინეთ უკლონისტები მთელ რიგ საკითხებში და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხში პარტიას დაშორდა. პარტიამ მას შესაფერისი მსჯავრი დასდო, როგორც ნაციონალურ გადახრას. გუშინდელ უკლონისტებს დღეს მიემატენ სხვადასხვა უკმაყოფილო ელემენტები, რომლებიც აწარმოებენ ფრაქციულ მუშაობას. დასასრულ მომხსენებელი ამბობს, ოპოზიცია მთელი თავისი ენერგიით სცდილობს შეარყიოს ჩვენი პარტიის მონოლიტური მთლიანობა, მაგრამ ჩვენ დავსძლევთ ყოველგვარ ოპოზიციებს და რევოლიუციის ამობოქრებული ტალღა ბურჟუაზიულ ქვეყნებამდის მიაღწევს.

კ ა მ ა თ ი

ამხ. ლოლობერიძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვირაპმა, ხატკოვმა, აკირტავამ, ხაჩატუროვმა, ხუდოკ სააკოვმა, ყურულოვმა და ზოიძემ (წით. არმია) მიუხედავად ოპოზიციონერთა ჭორებისა და ცილისწამებისა პარტიის მიმართ, თითქოს პარტია არ აძლევს საშუალებას ოპოზიციონერებს გამოსთქვან თავისი აზრი, მესამე რაიონის კონფერენციამ საშუალება მისცა გამოსულიყვნენ გასტროლიორებს: ამხ. ვირაპი, და აკირტავა. კონფერენციას სურდა მოესმინა ეს „ბელადები“. მათ სხვა ორატორებზე მეტი დრო მიეცათ სალაპარაკოთ, რომლის განმავლობაში ჩვეულებრივად მყვირალა ფრაზებით დაჩქმალეს ის, რასაც კონკრეტიულად მათგან პარტიული მასა მოითხოვდა. ილაპარაკეს ჩინეთის რევოლიუციის საკითხებზე. ილაპარაკეს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ. ამ ზოგადმა, გაცვეთილ ფრაზების რახა-რუხმა თავი მოაბეზრა კონფერენციას. კამათში მონაწილე მუშებმა შესაფერისი პასუხი გასცეს გზააბნეულ ადგილობრივ ოპოზიციის წარმომადგენლებს. ყველა ერთხმად მოითხოვდა მკაცრ ზომების მიღებას—„კმარა ამდენი ლოიალობა პარტიის მხრივ, დროა მოუღოთ ბოლო მათ ფრაქციულ მუშაობას“—ამბობდნენ მუშები. ამხ. ყურულაშვილი შეეხო ამხ. აკირტავას და ვირაპის გამოსვლებს. ვინ არიან ოპოზიციონერები? სთქვა მან. უმეტეს ნაწილად ისინი, რომლებიც ფრაქციულ მუშაობას აწარმოებენ. ისინი უკმაყოფილო ელემენტებია, რომლებიც ნაწყენი არიან. ეს უდევს საფუძვლად მათ ფრაქციულ მუშაობას.

ამხ. აკირტავა ამ რვა თვის წინად ცეკას ხაზს ატარებდა, და კარგადაც ატარებდა. სწორედ ამხ. აკირტავა იყო, რომ შესაფერისი პასუხი გასცა არსებულ დისკუსიის დროს ბათომში საგასტროლოთ წასულ ამხ. ოკუჯავას და კალანდაძეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც პარტიამ ამხ. აკირტავა ბათომის საოლქო კომიტეტიდან ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში გადმოიყვანა სამუშაოდ, იგი ნაწყენი დარჩა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომელმაც ის ფრაქციულ მუშაობის გზაზე შეაყენა.

კამათში ჩაწერილი იყო 35 ამხანაგი. დაგვიანების გამო კონფერენციამ კამათი გადაიტანა დღეისათვის. მეორე სხდომა გაიხსნება დღეს საღამოს ხუთ საათზე.

მორიგ შემოწმების წინ

მე-4 რაიონის მომავალ კონფერენციის გამო

— პარტიის სამეურნეო დირექტივები ცხოვრებაში ტარდება. —ბრძოლა საბჭოთა სამეურნეო აპარატის გაუმჯობესებისათვის. — პარტიაში მიღებულია 111 მუშა. — 1.200 კაცი აქტივში. — უჯრედების მუშაობის გაცხოველება. — 2.019 კაცი უპარტიო აქტივში. — გაუმჯობესდა სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა. — კომკავშირის ორგანიზაცია იდეურად ჯანმრთელია.

სამეურნეო მუშაობა

ორგანიზაციის სამეურნეო მუშაობის მთავარი ამოცანები იყო ცეკას დირექტივების ცხოვრებაში გატარება რაციონალიზაციის, ფასების დაკლების, შრომის ნაყოფიერების აწევის და სხვ. შესახებ. და რაიკომიც აღნიშნულ ამოცანებს აყენებდა უჯრედების პრაქტიკულ სამეურნეო მუშაობის ცენტრში. რაიკომი იხილავდა სამეურნეო ორგანოების მოხსენებებს და ამ მოხსენებებში წამოყენებულ ამოცანებს უფარდებდა თავის პრაქტიკულ დირექტივებს. ასეთ პარტიულ მუშაობის შედეგად მოყვა ის, რომ მეათე პარტკონფერენციის მოწვევისათვის მთლიანად იქნა განხორციელებული პარტიის დირექტივა ფასების (10 პროცენტით) შემცირების შესახებ. მატერიალურ შესაძლებლობათა ფარგლებში ტარდება ცხოვრებაში ღონისძიებანი მიმართული წარმოების რაციონალიზაციისაკენ (თამბ. ფაბრიკა, პოლიგრაფტრესტი და სხვა). შრომის ნაყოფიერებაც ნელა, მაგრამ ურყევათ ვითარდება.

საბჭოთა - სამეურნეო აპარატის გაუმჯობესება

პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდნენ საკითხები საბჭოთა-სამეურნეო აპარატის გაუმჯობესების შესახებ. პრაქტიკული ღონისძიებანი ამ დარგში მიზნად ისახავდენ აპარატის რაციონალიზაციას და მის შემადგენლობის გაუმჯობესებას. ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება იწვევდა და დღესაც იწვევს აპარატის ზოგიერთი ნაწილების წინააღმდეგობას. მაგრამ მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, აპარატის თვისებრივი შემადგენლობა ბევრათ გაუმჯობესდა. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ გამოკვლეულ დაწესებულებათა ჯგუფში (31 დაწესებულება), აპარატის შემადგენლობაში მუშურ - გლეხური ფენი გაიზარდა 2,2 პროც. და შეადგენს ამჟამად აპარატის მთელი შემადგენლობის 49,7 პროცენტს, უცხო ელემენტების ფენი შემცირდა 2.2 პროც., გადიდდა პარტიულების რიცხვი 5,8 პროცენტით (17 პროცენტის მაგიერ 22,8 პროცენტი), დაწინაურებულების კადრი 0,6 პროცენტიდან გადიდებულია 1,5 პროცენტამდე.

ეს ცნობები, მიუხედავად იმისა, რომ ეხებიან დაწესებულებათა ჯგუფს, დამახასიათებელია აგრეთვე საბჭოთა - სამეურნეო აპარატის მთელ სისტემისათვის.

შტატების შემცირება, რომელიც ამჟამად ტარდება დაწესებულებებში მჭიდროთ არის დაკავშირებული ამ დაწესებულებათა მუშაობის რაციონალიზაციასთან და ფუნქციების გადასინჯვა, რაციონალური სისტემის შემოღება, შრომის მოწესრიგება და სხვა, წარმოადგენენ იმ ღრმა პროცესის ცალკე მხარეებს, რომლებიც მიზნად ისახავს აპარატის გაუმჯობესებას. პარტიული უჯრედების უმრავლესობა კი სათანადო ხელმძღვანელობას უწევს მთელ ამ მუშაობას.

ორგანიზაციის შემადგენლობა

რაიკომის პარტიულ - ორგანიზაციულ მუშაობის მთავარ საკითხს წარმოადგენდა ორგანიზაციის შემადგენლობის და მისი ზრდის მოწესრიგება. ორგანიზაციის შემადგენლობის გაუარესების პროცესი, რაც გრძელდებოდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ხოლო დროს ვნელი ორი წლის განმავლობაში, ბოლო დროს შეჩერდა. 1926 წლის ოქტომბერში მუშები პარტიულ ორგანიზაციის რიგებში შეადგენდენ 44,2 პროც. პარტიული აღწერის შემდეგ მუშები შეადგენს უკვე 42 პროც., პარტაღწერის შემდეგ-კი პარტკონფერენციის მოწვევამდე მუშების რიცხვი ორგანიზაციაში შეადგენდა მხოლოდ 41, 1 პროც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შემადგენლობის გაუარესება ხდება არა მიღებულთა ხარჯზე, არამედ გამოწვეულია ორგანიზაციის წევრთა მოძრაობით (ჩამოსვლა და გასვლა).

აღნიშნულ ხნის განმავლობაში მიღებულთა შემადგენლობის თვისება - კი შედარებით მაღალი იყო. მიღებული იქნა 184 კაცი, მუშები აქედან შეადგენენ 111 კაცს, ანუ 60 პროც. მიღებულთა შემადგენლობის თვისება ორგანიზაციის შემადგენლობის თვისებაზე უფრო მაღალია და ამ გარემოებას გავლენაც უნდა მოეხდინა ორგანიზაციის შემადგენლობაზე. ამასთან ერთად მოძრაობა ორგანიზაციაში გამოიხატება შემდეგ ციფრებში: ჩამოსულია მუშა 320 კაცი, გასულია 449 კაცი, მოსამსახურე ჩამოსულია 642, გასულია 432, გლეხები ჩამოსულია 97, გასულია 189 კაცი. ამრიგად ამ მოძრაობას შედეგად მოჰყავს ის, რომ ორგანიზაციაში მუშების ჯგუფი შემცირდა, ხოლო მოსამსახურეთა ჯგუფი გაიზარდა 224 კაცით. ორგანიზაციის მოძრაობის ცუდმა თვისებამ შთანთქა მიღების მაღალი თვისება. მოძრაობის მოწესრიგება და მიღების თვისების გაუმჯობესება მომავალში სულ შეაჩერებს ორგანიზაციის შემადგენლობის გაუარესების პროცესს და შექმნის სათანადო პირობებს ამ შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. საკანდიდატო ჯგუფი ორგანიზაციაში 35 პროცენტიდან დაეცა 33,3 პროცენტამდე. ამ კანდიდატების (500 კაცი) უმრავლესობა, რომლების საკანდიდატო სტაჟი უკანასკნელ ხნის განმავლობაში დასრულდა, გადაყვანილი იქნენ პარტიაში.

შინაპარტიული მუშაობა

შინა-პარტიული მუშაობის დარგში ორგანიზაციის პრაქტიკულ ამოცანებს შეადგენენ: ამ მუშაობის სწორი მოწყობა და გაცხოველება. შესწავლილი იქნა მუშაობის დაყენების მთელი რიგი დარგები და ფორმები, შეტანილი იქნა ცვლილება ამ ფორმებში და მუშაობის ეს ფორმულებიც გაფართოებული იქნენ. უჯრედების კომისიების ინსტიტუტი დაარსდა ყველა მსხვილ უჯრედებში, უჯრედების მიერ გამოყოფილია 84 პარტორგანიზაცია, უჯრედებზე მიმაგრებულ ქალთა ორგანიზაციებში სამუშაოდ გამოყოფილია 80-მდე კაცი. შემოღებულია მდივნების მოადგილეთა ახალი ინსტიტუტი. საბჭოთა და უმ. სასწავლებელთა მთელ რიგ უჯრედებში გატარებულია რეორგანიზაცია და ეს უჯრედები მოწყობილია საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას ახალი დებულების თანახმად.

უჯრედების მუშაობას გაუმჯობესება დაეტყო იმ მხრივ, რომ მეტი ყურადღება ექცევა დაწესებულებების და წარმოებების მუშაობის სამეურნეო საკითხებს. უნდა ითქვას, რომ უჯრედების მუშაობაში საერთო ხასიათის საკითხები და მსჯელობა უფრო და უფრო მეტ ადგილს უთმობს ამოცანათა პრაქტიკულ, საქმიან გადაწყვეტას პარტიის დირექტივების თანახმად. პარტიული დისციპლინა ორგანიზაციებში გაძლიერდა, კრებას ესწრება წევრთა 60—70 პროცენტი, მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის დროს - კი (გადარჩევა, ოპოზიცია) უჯრედის მთელი შემადგენლობის 80|90 პროცენტი. კონტროლის გაძლიერებამ პარტდატვირთვის შესრულებაზე, გააძლიერა კომუნისტების პასუხისმგებლობა მუშაობის ამ დარგშიაც. უჯრედების ცალკე ჯგუფები: საბჭოთა, უმ. სასწავლებლების, მილიციათა და საწარმოო მეტ ყურადღებას აქცევენ თავის წარმოების და დაწესებულების სპეციალურ პირობებს და ამ პირობებს უფარდებენ თავის მუშაობას.

მასიური მუშაობა

მასიური მუშაობა წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს რაიორგანიზაციის სუსტ მხარეს. საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას და საქ. კომ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის დირექტივები მასიური მუშაობის გაძლიერების შესახებ, ორგანიზაციის მიერ პრაქტიკულად ჯერ - ჯერობით განხორციელებული არ არის. უჯრედები უმეტეს შემთხვევაში იწვევენ დახურულ კრებებს. უპარტიო მასების მონაწილეობა უჯრედების ღია კრებებში უმნიშვნელოა. მუშების და მოსამსახურეების საერთო კრებების თვისობრივი დონე დაბალია, დასწრებაც სუსტია.

მთლიანად არ არის გამოყენებული საწარმოო თათბირები, როგორც მასიური მუშაობის ფორმებში, მაგრამ მიუხედავად ყველა იმ ნაკლულოვანებისა, რომელსაც ადგილი აქვს მასიურ მუშაობის საქმეში, პარტიულმა ორგანიზაციამ უპარტიო მუშების და მოსამსახურეების აქტივის მნიშვნელოვანი კადრები შემოიკრიბა თავის ირგვლივ. სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში ჩაბმულია 2.019 უპარტიო მუშა და მოსამსახურე. უკანასკნელ დროს მასიურ მუშაობის განვითარებას ძლიერ უშლიდნენ ხელს ზაფხული და ოპოზიციონერების ფრაქციული ხრიკები.

აგიტაცია და პროპაგანდა

თავის სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობაში რაიკომი მთავარ მიზნათ ისახავდა მასების პოლიტიკური დონეს აწევას და მათ აღზრდას ლენინიზმის მოძღვრების თანახმად. პარტიული ორგანიზაციის სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის ფორმები და შინაარსიც ამ მიზნებს ემსახურებოდენ. აღნიშნული ხნის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ დამუშავებული იქნა 5 საზოგადოებრივ - კულტურული ხასიათის თემა, რომლებიც განსაზღვრავდენ პარტიის ამოცანებს მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში, მასებში, კლუბის, მიტინგების და სხვ. საშუალებით, დამუშავებული იქნა 18 საზოგადოებრივ - პოლიტიკური ხასიათის თემა. კომპანიების ჩატარების დროს მოწყობილი იქნა მუშების და მოსამსახურეების 5 დემონსტრაცია; პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა სწარმოებს მოხალისე საზოგადოებების 21.547 წევრთა შორის; პროფესიონალურ კლუბების მუშაობაში ჩაბმულია პროფკავშირების 3.298 წევრი.

პარტგანათლება

წარსულ სამოსწავლო წლის განმავლობაში პარტგანათლება მიიღო 541 კაცმა. მიმდინარე წელს განზრახულია პარტგანათლების მიცემა 1.516 კაცისათვის 58 სამოსწავლო ერთეულის საშუალებით.

პარტიული განათლების საქმე არ არის მთლიანად გაშლილი დღემდის. აღნიშნულ საქმეში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს საჭირო მატერიალურ საშუალებათა უქონლობა და კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობა. ნებაყოფლობაზე გადასვლა მნიშვნელოვნად ახალისებს მთელ მუშაობას პარტგანათლების დარგში.

ქ. კუდრიავცევი.

შორს ჩვენი რიგებიდან

აზ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომ. დადგენილება ოპოზიციონერების შესახებ

სარქისის და სხვების გამორიცხვა პარტიიდან

ბაქო, 17 ოქტომბერი. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში შემოვიდა პარტიის რამდენიმე წევრის განცხადება, რომ დაახლოებით ოქტომბრის დასაწყისში ბაქოში არალეგალურად ჩამოვიდა ამხ. სარქისი არალეგალურ ფრაქციულ ანტიპარტიულ მუშაობის საწარმოებლად. ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა გაარჩია საქმე და გამოარკვია, რომ მართლაც სარქისი, დაახლოებით ოქტომბრის დასაწყისიდან ბაქოელ ოპოზიციონერების ჯგუფთან და პარტიიდან გამორიცხულებთან ერთად აწარმოებს ბაქოში ფრაქციულ მუშაობას. არალეგალურ მუშაობის მთელ რიგ მონაწილეთა და პარტიის წევრთა დაკითხვის შემდეგ ცენტრალური საკონტროლო კომისია დამტკიცებულად სთვლის, რომ 1) სარქისი, მიუხედავათ იმისა, რომ მას ჰქონდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მივლინების ბარათი ულიანოვსკის ორგანიზაციაში წასასვლელად, არალეგალურად ჩამოვიდა ბაქოში საკ. კომ. პ. (ბ) ცეკასთვის შეუტყობინებლად ფრაქციულ არალეგალურ მუშაობის წარმოების მიზნით. ბაქოში ყოფნის დროს სარქისი რამოდენიმე დღის განმავლობაში იმალებოდა და არ ატყობინებდა პარტორგანოებს თავის ჩამოსვლას. ამრიგად სარქისმა მოატყუა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა და ულიანოვსკის ნაცვლად ჩამოვიდა ბაქოში; 2) სარქისმა თან ჩამოიტანა დიდძალი არალეგ. ფრაქც. ლიტერატურა, კერძოთ სტამბაში დაბეჭდილი და გავრცელებისათვის აკრძალული პლატფორმა ოპოზიციისა. მთელ ამ ოპოზიციონურ ლიტერატურას სარქისი ავრცელებდა ბაქოს ორგანიზაციის ცალკე წევრთა შორის პარტიიდან გამორიცხულ ოპოზიციონერების საშუალებით; 3) სარქისის ინიციატივით, 11 ოქტომბერს საღამოს კანევსკის ბინაზე მოწვეულ იქნა არალეგალური ფრაქციული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ პარტიიდან გამორიცხული პირები მამედლინსკი, შაბარშინი ალექპერ ბაბაევი, იარ მამედი, პოპოვი, პარტიის წევრები კანევსკი, კრილოვა, ნადჟაროვა, დანიელიანი, მედვედევი და სხვები. ამ კრებაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა უპარტიო მამედლინსკი, სარქისმა გააკეთა მოხსენება ოპოზიციის პლატფორმისა და მუშაობის შესახებ. კრება მოწყობილი იყო კონსპირაციის ყველა წესების თანახმად. გამართული იყო მორიგეობაც კი კარებთან; 4) ბაქოში ყოფნის დროს სარქისი იწვევდა თავისთან პარტიის წევრებს, აწვდიდა მათ ანტიპარტიულ ლიტერატურას და აძლევდა დირექტივებს ფრაქციულ გამთიშველ მუშაობის საწარმოებლად. გამორკვეულია აგრეთვე, რომ სარქისი აძლევდა მათ დარიგებას შეეკრიბათ ხელმოწერები ოპოზიციის პლატფორმაზე; 5) აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე სარქისი არ უარჰყოფდა იმას, რომ დაესწრო კანევსკის ბინაზე მოწვეულ კრებას. მან განაცხადა, რომ ავრცელებდა და მომავალშიაც გაავრცელებს ოპოზიციონურ ლიტერატურას, უარი არ განაცხადა შემდგომ ფრაქციულ მუშაობაზე და, პირიქით, დაადასტურა, რომ აწარმოებდა და მომავალშიაც აწარმოებს ფრაქციულ მუშაობას. „ყოველთვის და ყოველ პირობებში არ არის მავნე ფრაქციული მუშაობა“, სწერს სარქისი თავის განცხადებაში აზერბეიჯანის კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის სახელზე. თუ რამდენად უდიდეს არაგულწრფელობამდე და სიცრუემდე მიდის ოპოზიცია თავის ბრძოლაში ლენინის პარტიის წინააღმდეგ, ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ ტროცკი და ზინოვიევი საკავშირო კომპარტიის (ბ.) ცეკას პლენუმზე აცხადებენ, რომ მზად არიან შესწყვიტონ ფრაქციული ბრძოლა, ტროცკისტი სარქისი მავნედ არ სთვლის ფრაქციულ მუშაობას პარტიაში. გამოვიდა რა ყოველივე ზემოხსენებულიდან, შესასრულებლად საკავშირო კომპარტიის მე-10 ყრილობისა და საკ. კ. პ. (ბ.) ც. კ. და ც. საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმის გადაწყვეტილებებისა, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა თავის 16 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა: გამთიშველ ფრაქციულ ანტიპარტიულ მუშაობისათვის **სარქისი**, პარტიის წევრი 1917 წლიდან, ინტელიგენტი, გამორიცხულ იქნას ჩვენი პარტიის რიგებიდან.

არალეგალურ ფრაქციულ კრების მონაწილე **კრილოვა ტროფიმოვა**, აზერბაიჯანის კომპარტიის წევრმა 1919 წლიდან, ფრაქციულ მუშაობისათვის პასუხისგებაში მიცემულმა ა. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ, მიუხედავათ ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაფრთხილებისა, არა თუ არ შესწყვიტა ფრაქციული მუშაობა, არამედ, პირიქით, მონაწილეობა მიიღო კანევსკის ბინაზე მოწყობილ არალეგალურ კრებაზე, ავრცელებდა ფრაქციულ ლიტერატურას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წინაშე თავი ეჭირა არაგულწრფელად და მალავდა თავის ანტიპარტიულ მუშაობას.

ნადჟაროვა, აზერბეიჯანის კომპარტიის წევრი 1920 წლიდან, კანევსკის ბინაზე მოწყობილ არალეგალურ კრების მონაწილე, კატეგორიულად უარჰყოფდა თავის მონაწილეობას, მიუხედავათ იმისა, რომ კანევსკიმ და მედვედევმა არა ერთხელ დაადასტურეს მისი მონაწილეობა ამ კრებაზე.

დანიელიანი პავლე ავეტის ძე, ა.კ.პ. წევრი 1918 წლიდან, მოსამსახურე, კანევსკის ბინაზე მოწყობილ არალეგალურ კრების მონაწილე; ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წინაშე თავი ეჭირა არაგულწრფელად და მალავდა თავის მონაწილეობას არალეგალურ ფრაქციულ მუშაობაში, მიუხედავათ იმისა, რომ კანევსკიმ და მედვედევმა დაადასტურეს მისი მონაწილეობა.

ყოველივე ამის მიხედვით, ვინაიდან ხსენებულმა ამხანაგებმა არ გამოიჩინეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინაშე სურვილი გაესწორებიათ მათ მიერ ლენინის პარტიის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და მთელი თავისი ყოფაქცევით ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში დაამტკიცეს, რომ მათ განზრახული აქვთ მომავალშიაც დაარღვიონ პარტიის ნება და მისი მთლიანობა, ა.კ.პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა საკავშირო კომპარტიის მე-10 ყრილობისა და საკავშირო კ. პ. (ბ.) ც. კ. და ც. ს. კომისიის უკანასკნელ პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულების მიზნით დაადგინა: გამთიშველ ფრაქციულ მუშაობისათვის, რომელიც მიმართული იყო კომუნისტური პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ, **კრილოვა**, **ნადჟაროვა** და **დანიელიანი** გამორიცხულ იქნან კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

კანევსკი, აზერბეიჯანის კ. პ. წევრი 1914 წლიდან, მის ბინაზე მომხდარ არალეგალურ კრების მონაწილე, ფრაქციულ ლიტერატურის გამავრცელებელი, ღირსია პარტიის რიგებიდან გამორიცხვისა, მაგრამ ვინაიდან მან განაცხადა, რომ შემდეგში აღარ აწარმოებს ფრაქციულ მუშაობას, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ დაადგინა გამოუცხადოს კანევსკის სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. იმ შემთხვევაში, თუ მან დაარღვია თავისი დაპირება ფრაქციულ გამთიშველ მუშაობის შეწყვეტის შესახებ, კანევსკი დააყენებს თავს კომუნისტური პარტიის რიგების გარედ.

ვინაიდან **მედვედევმა**, ა. კ.პ. (ბ) წევრმა 1905 წლიდან, კანევსკის ბინაზე მოწყობილ არალეგალურ კრების მონაწილემ, ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოიტანა განცხადება, რომელშიაც იმიჯნება ოპოზიციისაგან, ხსნის თავის ხელმოწერას 44-ის და 83-ის განცხადებებიდან და მავნედ და პარტიის გამთიშველად მიაჩნია ფრაქციული მუშაობა, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ დაადგინა საქმე მის შესახებ შესწყდეს.

აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი.

ოპოზიციის მორიგი მარცხი

(დუშეთი)

დუშეთის მაზრის მე-9 პარტკონფერენციას დაესწრო 75 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 20 სასტუმრო ბარათებით.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. თენგიზ ჯღენტის საანგარიშო მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო როგორც ადგილებიდან [illegible], ისე [illegible] სპეციალურად გამოგზავნილ ოპოზიციონერმა ამხ. გ. ლაფანაშვილმა და ორმა მისმა ადგილობრივ თანამოაზრემ.

მიუხედავათ მათი დემაგოგიური გამოსვლებისა და მიუხედავათ იმისა, რომ ლაფანაშვილმა სპეციალურად ღამით მოიარა სამი რაიონი დუშეთის მაზრაში ხმების შესაგროვებლად; ოპოზიციამ ვერ შესძლო ვერც ერთი ხმის მიღება და სამარცხვინოთ მორიგი დამარცხება იგემა კონფერენციაზე.

დელეგატებმა მათი ერთსულოვანი შეტევით ოპოზიციის წინააღმდეგ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ჩვენი პარტია ისევ მტკიცეთ სდგას მთლიანობის სადარაჯოზე.

კრებაზე წარმოდგენილი იქნა ორი რეზოლიუცია. ერთი ოპოზიციის მიერ. ოპოზიცია თავის რეზოლიუციაში სასტიკად ილაშქრებდა ცეკას წინააღმდეგ. ოპოზიციის რეზოლიუციას კონფერენციამ პასუხი გასცა იმით, რომ, ორის გამოკლებით, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც კონფერენცია მთლიანად იწონებს ცეკას მუშაობას და მოითხოვს პარტიის გამთიშველთა სასტიკად დასჯას.

როყვა.

ვგმობ ოპოზიციას

მე დავრწმუნდი გაზეთების და მოხსენებების საშუალებით, რომ ჩვენი ცეკა ადგია ნამდვილ—ბოლშევიკურ ლენინურ გზას, რომელიც მიიყვანს მშრომელ ხალხს საბოლოო გამარჯვებამდე. ოპოზიციის მოქმედების ისეთ ფაქტს, როგორიც არის უპარტიო ანტისაბჭოთა ელემენტებთან საქმის დაკავება, მე როგორც მუშა, ვერ მოვითმენ და ვერც ამოუდგები გვერდში ასეთ ხალხს მისთვის, რომ თებერვლის რევოლიუციის აქეთ ვდგევარ მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე, არ შემილახავს ლენინის ხაზი და არც შევლახავ ჩემ სიცოცხლეში.

ვგმობ ოპოზიციის შემცდარ გზას. მე ვდგები ისევ ჩემს ძველ გზაზე, და ხელს შეუწყობ პარტიასა და ცეკას ლენინის ხაზის სწორად გატარებაში. მოვუწოდებ ყველა ამხანაგებს, ბრმად ნუ გაჰყვებიან ოპოზიციის შემცდარ აზრებს.

დ. ავალიანი.

მისალმებანი

ს. კ. პ. (ბ.) ა. კ. საოლქო კომიტეტს

საქართველოს კომპარტიის გორის სამაზრო კონფერენცია სალამს გიგზავნით თქვენ ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში, ოპოზიციონერები, იმის ნაცვლად, რომ დაეხმარონ პარტიას, განაგრძობენ ფრაქციულ მუშაობას და იქამდეც კი მიდიან, რომ თავის მუშაობაში აბამენ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას. კონფერენცია სასტიკად ჰგმობს ოპოზიციონერების დეზორგანიზატორულ მუშაობას და იწონებს ინტერნაციონალის საკონტროლო კომისიის დადგენილებას ტროცკისა და ვუიოვიჩის კომინტერნიდან გამორიცხვის შესახებ და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას პრეობრაჟენსკისა, სერებრიაკოვისა და შაროვის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მე-15 პარტყრილობისათვის ბოლო მოეღოს ოპოზიციონერების ფრაქციულ მუშაობას.

გორის მერვე სამაზრო პარტკონფერენცია პირობას იძლევა, რომ სათანადო წინააღმდეგობას გაუწევს ოპოზიციონერებს და მიაღწევს პარტიის მთლიანობას რათაც არ უნდა დაუჯდეს.

გაუმარჯოს კომპარტიას და ბოლშევიკების ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

პრეზიდიუმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას

გ ო რ ი

გორის სამაზრო მერვე პარტიული კონფერენცია მხურვალედ გესალმებათ თქვენ. კონფერენცია სასტიკად გმობს ოპოზიციონერთა თავხედურ მოქმედებას და სდგას ლენინურ პარტიის ცეკას მთლიანობის სადარაჯოზე. გორის ორგანიზაცია თავის რიგების შემჭიდროვებით, ლენინურ პარტიასთან ერთად, სასტიკ ბრძოლას აწარმოებს გამთიშველთა წინააღმდეგ და მთლიანი რიგებით მივა მე-15 პარტყრილობამდე.

პრეზიდიუმი.

თ ე ლ ა ვ ი

თელავის მეათე სამაზრო პარტიული კონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის ბოლშევიკურ ცეკას, რომელმაც შესძლო ჩვენი პარტიის მთლიანობის დაცვით და ლენინურ ხელმძღვანელობით, სახალხო მეურნეობის განმტკიცება და სოციალისტური მშენებლობის მტკიცე ნიადაგზე დაყენება.

პრეზიდიუმი.

დ უ შ ე თ ი

დუშეთის მეცხრე სამაზრო პარტკონფერენცია, გიძღვნით მხურვალე სალამს და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას პარტიის ლენინური ხელმძღვანელობის განმტკიცების საქმეში. კონფერენცია აღგითქვამთ, რომ დუშეთის მაზრის კომუნისტები კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას სოციალისტურ აღმშენებლობის განხორციელებლად. კონფერენცია მთელი დუშეთის პარტორგანიზაციის სახელით აღგითქვამთ ერთსულოვან დახმარებას ყოველგვარ იდეურ მერყეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას და მის ფოლადისებურ სიმტკიცეს.

პრეზიდიუმი.

ბ ა ღ დ ა დ ი

ბაღდადის რაიონის პირველი კონფერენცია ესალმება საქართველოს ცეკას და აღნიშნავს, რომ სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა რესპუბლიკებში წარმატებით მიმდინარეობს ცეკას ლენინურ და მტკიცე ხელმძღვანელობით. ამ მუშაობას ხელს უშლის ანტისაბჭოთა ელემენტებთან ერთად პარტიაში შექმნილი ოპოზიცია.

კონფერენცია მოითხოვს სასტიკი ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ, ვინც ლენინურ გვარდიის რიგებს დარღვევით ემუქრება. ჩვენ გვწამს, რომ ცეკას პოლიტიკის გაგრძელება სრულ გამარჯვებამდე მიიყვანს პროლეტარულ რევოლიუციას. გაუმარჯოს ლენინურ ცეკას პარტიის მთლიანობას და კომინტერნს!

პრეზიდიუმი.

ახალციხე

საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის ორგანიზაციის მე-7 სამაზრო პარტკონფერენცია მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის თავის ხელმძღვანელს—საქ. კ. პ. (ბ) ცეკას:

ახალციხის სამაზრო პარტორგანიზაცია კიდევ ერთხელ აღუთქვამს რა საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას, რომ ის წინანდებურად მტკიცედ და ურყევად ატარებს ბოლშევიკური პარტიის უმრავლესობისა და ლენინური ცეკას სწორ პოლიტიკას, რომლის შეცვლასაც უშედეგოდ ცდილობენ ოპოზიციის თავაშვებული ბელადები, პარტკონფერენცია აცხადებს, რომ ის თქვენი მტკიცე ხელმძღვანელობით შესძლებს ორგანიზაციის წინაშე მდგარ ამოცანების შესრულებას.

პრეზიდიუმი.

ვანი (ქუთ. მაზრა)

ვანის სარაიონო პარტკონფერენცია ესალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და აღნიშნავს, რომ საერთაშორისო მდგომარეობის გართულების დროს პარტიის შიგნით ოპოზიციონური, ფრაქციული მუშაობა ასუსტებს ჩვენს ძალებს და პარტიას აყენებს ორი პარტიის შექმნის წინაშე. კატეგორიულად მოვითხოვთ ოპოზიციის წინააღმდეგ გადამჭრელ ზომების მიღებას. ღრმად გვწამს, რომ ცეკას ლენინური ხელმძღვანელობა ოქტომბრის რევოლიუციას მიიყვანს სრულ გამარჯვებამდე.

პრეზიდიუმი.

ქალთა შორის მუშაობა პირველ რაიონში

დელეგატ ქალთა მუშაობა მომავალ წლისათვის დიდათ უნდა განსხვავდებოდეს წარსულისაგან. ვინაიდან გასული წლის სადელეგატო კრებების ანგარიშებმა ნათლათ დაგვანახვეს, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ სადელეგატო მუშაობა მოისუსტებდა. ყოველივე ის ნაკლი, რომლის საშუალებითაც დელეგატური მაღალდონეობა ფერხდება, მომავლისათვის აუცილებლად უნდა იქნას გამოსწორებული, რისთვისაც აქედანვე უნდა მიიღოს ზომები თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ, რომ სადელეგატო მაღალდონეობისათვის იყოს გამონახული მუდმივი ბინა და შესაფერი ხელმძღვანელი დაყოფილი უნდა იქნეს დელეგატების შემადგენლობა ჯგუფებად მათი ცოდნის დონის მიხედვით. დელეგატები კი თავის მხრივ სისტემატიურად უნდა დაესწრნენ სადელეგატო კრებებს.

ქალთა შორის ამჟამად მეტი ხალისია მუშაობის, ეს დაგვანახვა თბილისის პირველი რაიონის დელეგატ-ქალების გადარჩევებმა. მუშაობაში ებმება აგრეთვე დიასახლისი ქალებიც.

ამ დღეებში ნაძალადევის მუშათა სახლში შესდგა ამავე სახლში მცხოვრებ ქალების კრება, სადაც აირჩიეს დელეგატები.

მუშათა სახლებში მცხოვრებნი ქალები უნდა იყვნენ ორგანიზაციულად გაერთიანებულნი და შეადგენდნენ ერთ მთლიან ოჯახს. ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც დიასახლისი ქალები ჩაებმებიან ქალთა ორგანიზაციებში.

ნ. ცვრიტიშვილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

პროფკავშირთა სახლი

ქუთაისი, 17 ოქტომბერი. ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის დღესასწაულის დღეს ქუთაისში გაიხსნება პროფკავშირთა სახლი. (ადს).

კურორტი ზინობიანი

თელავი, 17 ოქტომბერი. სოფ. ახალსოფლის და ზინობიანის გლეხთა კურორტის სეზონი დაიხურა. კურორტებზე ამ სეზონის განმავლობაში სამკურნალოდ მოვიდა 2.000 ავადმყოფი გლეხი. სამაზრო გლეხკომს, რომელმაც სასადილოები მოაწყო კურორტზე, დარჩა 1.000 მან. წმინდა მოგება. (ადს).

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები

სიღნაღი, 17 ოქტომბერი. მიმდინარე საბიუჯეტო წელში განზრახულია გაიხსნას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის 85 სკოლა. ამ სკოლებში სწავლას მიიღებენ 3.000 კაცი. შარშან წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლები დაამთავრა 2.000 კაცმა. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი
კურორტი ჯავაში

ცხინვალი, 17 ოქტომბერი. სოფ. ჯავას საუცხოვო კლიმატიური პირობები აქვს. აქ არის სამკურნალო მინერალური წყარო. გორისა და ონის გზატკეცილის მთავარი მაგისტრალი გადის ჯავაზე. ჯავა—საუცხოვო საკურორტო პუნქტია. სამხრეთ-ოსეთის ცაკმა დაადგინა მიიღოს ზომები ჯავაში კურორტის მოსაწყობად. გამოთხოვილია თანხები მინერალური წყაროების გამოსაკვლევად. (ადს).

ახალი ამბულატორია

ცხინვალი, 17 ოქტომბერი. სამხრეთ-ოსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ამბულატორიის ახალი შენობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ცაკმა დაამტკიცა 40.000 მან. რაოდენობით. შენობას აგებენ ცხინვალის ახალ ნაწილში. (ადს).

თოვლი

ცხინვალი, 17 ოქტომბერი. უკანასკნელ დღეებში სამხრეთ-ოსეთის მთებში მოსთოვა. სხვა ადგილებში წვიმიანი დრებია. (ადს).

წერილები

ზუგდიდი
მეტი ყურადღება საავადმყოფოს

ქალ. ზუგდიდში არსებობს 30 საწოლიანი სამაზრო ცენტრალური საავადმყოფო, რომელიც ემსახურება მაზრის 130 ათასზე მეტ მცხოვრებთ. საავადმყოფოს საექიმო დახმარების საქმე კარგად არის დაყენებული: საავადმყოფოს აქვს ტერაპევტიული, ქირურგიული და გინეკოლოგიური განოფილებები. ქირურგიულ განყოფილებაში კეთდება ყოველგვარი რთული ოპერაციები, რომელთა რიცხვი მიმდინარე წლის განმავლობაში 500-მდე აღწევს.

მოსახლეობა დიდის ნდობით უყურებს საავადმყოფოს. აქ ავადმყოფები მოჰყავთ, როგორც ზუგდიდისა, ისე მის მეზობელ მაზრებიდანაც, მაგრამ უადგილობის გამო ყველას მიღება და დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება.

საავადმყოფოს ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის შესაფერი შენობის უქონლობა. იგი მოთავსებულია ძველ დანგრეულ შენობაში, რომელსაც ვითომ გაუკეთეს ძირითადი შეკეთება, მაგრამ შენობა იმდენად მოძველებულია, რომ ვერავითარი შეკეთება ვერ უშველის.

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ შესახვევ ოთახში მუშაობის დროს ჩაინგრა იატაკი. იგივე შემთხვევა მოსალოდნელია საოპერაციო ოთახში და პალატებშიც. სახურავი ძალზე დაზიანებულია და წვიმის დროს ისე ჩამოდის წყალი რომ ავადმყოფებს უხდებათ თავის ლოგინის გადატან-გადმოტანა ერთი კუთხიდან მეორეში.

საავადმყოფოსათვის ახალი შენობის აგების საკითხი არა ერთხელ იდგა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე, მაგრამ მის დადებით გადაწყვეტას არაფერი ეშველა.

მომავალ საბიუჯეტო წელში მაზრას გადაწყვეტილი აქვს აგოს სასტუმრო, იმ მოსაზრებით, რომ უკანასკნელი გახდება შემოსავლის წყარო. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მაზრაღმასკომის ასეთი მოსაზრება არ არის მიზანშეწონილი. მაზრას პირველ რიგში ესაჭიროება საავადმყოფო და ამიტომ მთავარი ყურადღება საავადმყოფოსათვის შენობის აშენებას უნდა მივაქციოთ.

საჭიროა სამაზრო ხელისუფლებამ გაუწიოს ანგარიში შექმნილ მდგომარეობას და ამავე წელშივე შეუდგეს საავადმყოფოს შენობის აგებას. მართალია, ამას დიდი თანხები დასჭირდება. [illegible] სამაზრო ხელისუფლებას ამ საქმეში უნდა [illegible] დამზღვევი სალარო, რომელიც [illegible] ავადმყოფებს ათავსებს ამ საავადმყოფოში და რომელთა რიცხვი უდრის 40—50 პროც.

ამავე მიზნისათვის შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სესხი ბანკებიდან. მაზრაღმასკომმა უნდა ითავოს ეს საქმე.

აქტივისტი.

მალაროს კარი, დუშეთის მაზრა
დროა აილაგმოს

მალაროს კარის საექიმო პუნქტში, ფერშლის თანამდებობაზე მსახურობს ვინმე ხუბულური, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს ულარიბეს გლეხობას. ის წამალს, უფრო მეტად აძლევს თავის „ნათლიმამებს“, რომლებიც ბლომად მოიპოვება მალაროს კარში, და ან იმათ ვინც ძღვნად ქადას და წინწანაქრინს მწარე არაყით ბოთლს მიართმევს. ხშირად ავადმყოფი გლეხი ჩამოჰყავთ ცხენით 20 ვერ. მანძილიდან, მაგრამ ყურადღებასაც არ აქცევს, წამალს არ აძლევს და სხვა.

ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის რომ საექიმო პუნქტში ადგილი ჰქონდა მის ხუბულურისა მიერ მანდილოსნებისადმი უხეშად მოპყრობას. ამის გამო მასთან საწამლავად არც ერთი ქალი აღარ მიდის.

საჭიროა მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ დროით გამოგვიცვალოს ფერშალი და დაგვინიშნოს ისეთი, რომელიც გლეხობას დაეხმარება და საბჭოთა კანონებს უხეშად არ [illegible].

გლეხკორი მეთვალყურე.

გორის მაზრა, სოფ. ფხვენისი
მოგვაქციეთ ყურადღება

სოფელი ფხვენისი კულტურულად ძალიან ჩამორჩენილია. აქ არ არსებობსუ არც კოოპერატივი, არც ქოხ-სამკითხველო და არც სასწავლებელი, თავის დონეზე დაყენებული, სასწავლებლის შენობა ძალიან ძველია და მოითხოვს ძირითად შეკეთებას, გარდა ამისა სასწავლებელს არ აქვს საკმაო სამოსწავლო ხელსაწყო ნივთები, პარტები თითქმის სულ მთლად დამტვრეულია და სხვა. ამის გამო მოსწავლე ბავშვები იძულებული არიან დასტოვონ სასწავლებელი და [illegible] სწავლას.

საჭიროა ამ სოფელს მიაქციოს ყურადღება თემაღმასკომმა და მიიღოს ზომები სოფლის კულტურულად დასაწინაურებლად.

გლეხი ხაზრალი.

სოფ. ურიათუბანი, თელავის მაზრა
სახალხო სახლს ვაშენებთ

9 სექტემბერს, შესდგა სოფ. ურიათუბნის გლეხების საერთო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი ურიათუბანში სახალხო სახლის აშენების შესახებ. კრებამ დაადგინა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე საკლუბო თანხით საძირკველი ჩაუყაროს სახალხო სახლს და მას დაერქვას „ოქტომბრის რევოლუციის სახელობის სახლი“. სახლისათვის საჭირო ქვა და ქვიშა გლეხებმა უკვე ზიდეს.

ს. დალონდარიძე.

სოფლის ქრონიკა

— **სკოლა.** სოფ. ჯანდარაში (ყარაიაზის თემი) გლეხები აგებენ სკოლისათვის შენობას.

— **ლუდის ქარხანა.** ახალციხეში შეუდგნენ ლუდის ქარხნის მოწყობას.

— **ტრაქტორები.** აქამდე თელავის მაზრაში ითვლება 67 ტრაქტორი. ახლო ხანში დაარსდება ტრაქტორების შესაკეთებელი ქარხანა.

— **სასოფლო - სამეურნეო** ორკვირიული კურსები, რომელიც მოწყობილი იყო თელავის აღმასკომის მიერ, დაამთავრა 376 გლეხმა.

— **აგროპუნქტები.** სიღნაღის მაზრაში გაიხსნა 4 აგრონომიული ახალი პუნქტი.

— **თამბაქოს ნათესებს** წელს სიღნაღის მაზრაში უჭირავს 940 დესეტინა. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

— **კოოპერატივი.** საგარეჯოს კოოპერატივი ამჟამად აერთიანებს 1000 წევრს, საპაიო თანხა უდრის 35,000 მან.

— **ტელეფონი.** ობჩაში (შორაპ. მაზრა) შეუდგნენ ტელეფონის გაყვანას.

— **პროფსკოლა.** ახალსენაკში გაიხსნა პროფსკოლა, სადაც სწავლობს 25 ახალგაზრდა.

— **შრომის სკოლები.** სოფ. კურძუსა და ილორში გაიხსნა ორი 4 წლიანი შრომის სკოლა.

— **აგურის ქარხანა.** ახლო მომავალში ბანძაში ამუშავებული იქნა აგურის ქარხანა.

— **თოვლი.** 13 ოქტომბერს ზეკარის უღელტეხილზე ჩამოთოვა პირველად.

— **მოუსავლობა.** ჟინვალის თემში (დუშეთის მაზრა) წელს ცუდი მოსავალი იყო.

ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინის ნეშტის ჩამოსვენება

დღეს, დილის 6 საათზე ბათომის ნავთსადგურში მოასვენებენ სუმბათაშვილი-იუჟინის ცხედარს. ცხედრის შესახვედრად თბილისიდან გაემგზავრნენ რესპუბლიკის სახალხო მსახიობი **ნ. გოცირიძე**. მოსკოვის მცირე თეატრის და თამკავშირის კომიტეტის წარმომადგენელი ფედოროვი, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისა და განათ. კომისარიატის წარმომადგენლები. ბათომიდან ცხედარს თბილისში ჩამოასვენებენ დღესვე, საღამოს 7 საათზე. ამ დროისათვის სადგურზე შეიკრიბება განსვენებულის პატივისმცემლები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხუთშაბათს, დილის 10 ს. 40 წ. ჩქარი მატარებლით ცხედარი წასვენებული იქნება მოსკოვში. სადგურიდან ხელოვანთა სასახლეში ცხედრის ერთი დღით გადმოსვენება უდროობის გამო აღარ მოხდება.

ბათომი, 18 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს დილით გემ „იმერეთის დის“ საფრანგეთიდან ბათომში ჩამოსვენებული იქნება საბჭოთა კავშირის დამსახურებული მსახიობის სუმბათაშვილი-იუჟინის ნეშტი. ნეშტის შესახვედრად აჭარისტანის მთავრობამ შეადგინა საზოგადო კომიტეტი. დილის 11 საათზე ნეშტი გემიდან გადმოსვენებული იქნება უცხოეთის ნავთსადგურში, საიდანაც სამგლოვიარო პროცესია გაიმართება განათლების სახლისკენ. განათლების სახლში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი. საღამოთი ნეშტი გადატანილი იქნება სადგურზე თბილისში და შემდეგ მოსკოვში გასასვენებლად. (ადს).

საჩკომსაბჭოში

სამხედრო მოსამსახურეთა შემოწმება ინვალიდობის პენსიის მისაღებად

საჩკომსაბჭომ მოიწონა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დასკვნა ინვალიდობის პენსიის მისაღებად სამხედრო მოსამსახურეთა შემოწმების წესის შესახებ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი აღნიშნავს, რომ ჯანსახკომმა უკვე მოაწყო საექიმო საექსპერტო კომისიები ყველა მაზრაში. სამხედრო პირთა შემოწმების დროს, კომისიები არკვევენ ხოლმე, მათ შრომის უნარიანობის დაკარგვის ხარისხს და სრულიად არ ეხებიან იმ საკითხს, თუ რით არის გამოწვეული შრომის უნარიანობის დაკარგვა. ჯანსახკომი ფიქრობს, რომ არ არის საჭირო რაიმე ახალი დადგენილების შემუშავება, ვინაიდან ეს საკითხი მოგვარებულია 1926 წლიდან.

სამხედრო უწყებისათვის საცხოვრებელი ბინის შესახებ

პროექტი დადგენილებისა—ქალაქის სახლთმფლობელობაში სამხედრო უწყებისათვის საცხოვრებელი სივრცის მიკუთვნების შესახებ სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად—მოწონებულ იქნა შემდეგი შესწორებით: ა) მიეკუთვნოს სამხედრო უწყებას ის საცხოვრებელი რაც ფაქტიურად დაკავებულია სამხედრო მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა მიერ ამა დადგენილების გამოქვეყნების მომენტში და ბ) ჩაირიცხოს სამხედრო უწყებისათვის მიკუთვნებული აღნიშნული მუშა-მოსამსახურეთა საერთო 33 პროცენტიან საბინაო ფონდში.

ხსენებული პროექტი წარედგინა დასამტკიცებლად საქართველოს ცაკს.

ბაქო-ბათომის ნავთსადენის მოწყობა

საჩკომსაბჭომ დაამტკიცა პროექტი დადგენილებისა აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო გაერთიანებისათვის ბაქო-ბათომის ნავთსადენის მოსაწყობად საჭირო მიწების მიცემის შესახებ.

შეღავათების მინიჭება სოცდაზღვევის ორგანოებისათვის

საჩკომსაბჭომ მოიწონა პროექტი ა. კ. ცაკის და ს. კ. ს. დადგენილებისა სოცდაზღვევის ორგანოებისათვის სხვადასხვა შეღავათების მინიჭების შესახებ. ხსენებულ დადგენილების მიხედვით სოცდაზღვევის ორგანოები განთავისუფლებულ უნდა იქნენ ყოველგვარი ადგილობრივ გადასახადისა და გამოსაღებისაგან; ასეთივე შეღავათები მიენიჭება იმ დასასვენებელ სახლებს, სანატორიუმებს და ინვალიდთა დაწესებულებებს.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68), დანიშნულია გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. კრებაზე მოწვეულნი არიან აგრეთვე თბილისის ფაბრიკა - ქარხნებთან არსებულ კედლის გაზეთების თანამშრომლებიც. დღის წესრიგში სდგას: ამხ. ს. გოდაბრელიძის მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ.

მუშკორთა ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდენ სრულ 5 საათზე.

ტრამვაის დირექციისაგან

გაზ. „კომუნისტის“ 233 №-ში მოთავსებული იყო ცნობა ტრამვაის რონოდებში დღის 3 ნახ. საათიდან 5 საათამდე და ღამის 10-დან 11 საათამდე განსაზღვრულ რიცხვზე მეტი მგზავრების დაშვების შესახებ. ტრამვაის დირექცია ამის შესახებ გვაცნობებს შემდეგს: „რონოდების რიცხვის სიმცირის გამო დილის 9 ნახ. საათამდე, ნაშუადღევის ორიდან ოთხ საათამდე ხოლო ღამის 10-დან მოძრაობის დამთავრებამდე, ნება დართულია რონოდებში განსაზღვრული რიცხვზე მეტი მგზავრების დაშვება“

ტრამვის დირექტორი ფარნიევი.

ჩარჩ-დალალების წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სასტიკ ზომებს ღებულობს მოხეტიალე ჩარჩ-ვაჭრებისა და დალალებ-მაკლერების წინააღმდეგ, მათი რიცხვის შემცირებას საშველი მაინც არ დაადგა. პირიქით, ისინი დღით დღე იზრდებიან და ობობას ქსელივით იხლართებიან მყიდველისა და გამყიდველს შორის და განსაკუთრებით კი სოფლის გლეხებსა და თბილისის სპეკულიანტებს შორის.

ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმონი არიან ის წვრილფეხა ჩარჩ-დალალები, რომლებიც დარბიან ყოველ გზაჯვარედინზე, შუაღამიდან ელოდებიან გლეხებს ქალაქში შემოსავალ შარა-გზების დასაწყისებთან და თუ ჩაიგდეს ხელში რომელიმე გლეხი ტყავს გააძრობენ, აღვენებიან მას და როგორც კეთილის მსურველნი ისე დაუწყებენ დარიგებას იმის შესახებ, რომ თუ მან (გლეხმა) დალალს არ მიანდო თავისი საქონლის გაყიდვა, ისე თბილისში მუშტარს ვერ იშოვის. გლეხი ხშირად წამოეგება ხოლმე ამ ანკესზე და მის შიშით, რომ მას არ მოუხდეს ქალაქში სამი ოთხი დღით გაჩერება, სოფლიდან ჩამოტანილ საქონელს გასაყიდათ აძლევს დალალს, რომელიც გარდა იმისა, რომ გლეხს წონაში ატყუებს მყიდველის სასარგებლოდ, ფულსაც ართმევს გასამრჯელოს. გარდა ამისა დალალები ჩალის ფასად ყიდიან გლეხის საქონელს და საამისო გასამრჯელოსაც მყიდველისაგან ღებულობენ.

ასეთი დალალებით სავსეა თბილისის ბაზრები მოედნები, ბაკები და სხვა ასეთი ალაგები, სადაც ჩერდებიან სოფლიდან ჩამოსული გლეხები. განსაკუთრებით ავლაბრის ბაკებში, სადაც ყოველდღიურად უკანასკნელი ასი ურემი მაინც ჩამოდის სოფლის ნაწარმოებით დატვირთული, დალალებს ფეხს ვერ აუქცევთ. ეს ვაჟბატონები დაჩვეულები არიან სხვისი ოფლით თავის რჩენასა და გამდიდრებას. მათ არ შეუძლიათ პატიოსანი შრომა და ასეთი საშუალებით თავიანთი თავის გამოკვება.

თბილისის მილიციამ უნდა მიიღოს ზომები ამ ჩარჩ-დალალების ასალაგმავად და გლეხების ინტერესების დასაცავად, ხოლო კოოპერატიულ დაწესებულებებმა კი რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლები უნდა იყოლიონ [illegible] ბაზარზე გლეხებისაგან სოფლის წარმოების შესაძენად ამით ერთის მხრივ აიწევთ კოოპერაციის ნდობას გლეხობის თვალში, მეორეს მხრივ დავიცავთ გლეხების ინტერესებს და მესამეც თანდათანობით მოვსპობთ ჩარჩ-დალალებსაც.

ვ.

მილიციავ, მოაჭკვიანე

ორჯონიკიძის ქუჩა სახლი № 115 ეკუთვნის ვინმე ივ. ნარსიას. ეს ვაჟბატონი ათასგვარ ხრიკებს მიმართავს მცხოვრებთა შესავიწროვებლად და მათ ბინიდან გასასახლებლად. გარდა ამისა მოქ. ნარსია ლანძღვა გინებით და უშვერი სიტყვებით უმასპინძლდება მუშა მდგმურებს.

მილიციავ, მოაჭკვიანე სახლის პატრონი ნარსია.

საწერკალამი.

ვიდრე გვიან არ არის
(წერილი თელავიდან)

თელავის საავადმყოფოს შენობის ასაგები მუშაობა უკვე დაიწყო. ამჟამად აქ იმყოფება ცენტრიდან მოვლინებული ინჟ. ანდრეიანი, საავადმყოფოს ადგილობრივ გეგმის შესადგენად. საავადმყოფოს შენობის ასაშენებელი თანხა დაახ. 600—70 ათასი მან. მთავრობას გადადებული აქვს. საავადმყოფო აშენებული იქნება ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით. იგი თავის კონსტრუქციით და მოწყობილობით პირველი იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

სამაზრო აღმასკომის დადგენილებით საავადმყოფოს საფუძველი ჩაეყრება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე, მაგრამ მანამდე მაზრაღმასკომის თავმჯდომარის, ამხ. გ. ქურციკიძის თავმჯდომარეობით გამოყოფილია კომისია საავადმყოფოს შენობისათვის ადგილის ამოსარჩევად. კომისიას საავადმყოფოს ადგილად დასახული აქვს სამი ადგილი: ე. წ. „გიგოს გორა“, აბრეშუმის ქარხნის მიდამოები და ძველი საავადმყოფოს ადგილი.

„გიგოს გორა“, ნადიკვრის ახლოს მდებარეობს, ადგილი ძალიან კარგია შეიძლება გაშენდეს ბაღი, რომელიც აუცილებელია საავადმყოფოსათვის წყალიც ძლიერ ახლოსაა.

აბრეშუმის ქარხნის მიდამოც არ ჩამოუვარდება „გიგოს გორასა“. აქ უკვე გამოყვანილია წყარო. გარდა ამისა მის მახლობლად დასახლებულია ღარიბი მოსახლეობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

მესამე ადგილი არის ძველი საავადმყოფო, რომელიც მდებარეობს შუაგულ ქალაქში და წარმოადგენს ძალზე ცუდ ალაგს.

კომისიის წევრი ექიმები მომხრენი არიან საავადმყოფოს ამ უკანასკნელ ადგილზე აგების (ალბად ქალაქთან სიახლოვის გამო). მხოლოდ აღმასკომი კი განაპირა ადგილებში აპირობს საავადმყოფოს აშენებას.

ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხია. საჭიროა მისი ყოველმხრივ აწონ-დაწონვა და ქალაქის განვითარება-გაფართოების მხედველობაში მიღება. ამ მოსაზრებით აღმასკომის აზრი საავადმყოფოს შენობის ქალაქ გარეთ აშენებაზე სწორი და მიზანშეწონილია. გარდა ამისა ქალაქგარეთ უფრო საღი და სუფთა ჰაერია, ვიდრე ქალაქში, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს საავადმყოფოსათვის.

ვიდრე გვიან არ არის კომისიამ ყოველმხრივ უნდა აწონ-დაწონოს ეს საკითხი და საავადმყოფოს შენობის ადგილად აირჩიოს ისეთი ადგილი, რომელიც არ შეუშლის ხელს ქალაქის გაფართოებას. ასეთი ადგილი კი არის „გიგოს გორა“, და აბრეშუმის ქარხნის მიდამოები.

ვნ—ლი.

ასე ვმუშაობთ
(წერილი ჭიათურიდან)

ჭიათურის ქალაქის საბჭომ გააცხოველა საამშენებლო მუშაობა. ქალაქი დღემდე უწყლობას განიცდიდა. დღეს საბჭოს თაოსნობით გამოყვანილია წყალსადენი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობა. ამჟამად სწარმოებს ქვა-ფენილის დაგება, რომელიც ახლო მომავალში დასრულდება. შეაკეთეს გზები. შეუდგნენ საკლუბოს მოწყობას, ქალაქიდან პერევისის მაღაროებში გამოყვანილი იქნა ელექტრონის ხაზი 4 ვერსის მანძილზე და სხვა.

საერთოდ ქალაქის აღმასკომი არავითარ ძალას არ იშურებს ქალაქის გამშვენიერება-გაფართოებისათვის, რაზედაც დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ ჭიათურის მუშები. მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა აღმასკომმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშათა რაიონებს და მიიღოს ზომები ამ რაიონების გასამშვენიერებლად.

გ. ხვედელიძე.

ნება მოგვეცით

სამი წელიწადია არსებობდა მესამე უმუშევართა შრომის კოლექტივის სასადილო, სადაც თავს ირჩენდა 23 მუშა. მუშაობა მიმდინარეობდა ნორმალურად, რისთვისაც არა ერთხელ გამოუთქვამს კმაყოფილება მუშა-მოსადილეებს. კოლექტივი იყო შრომის ბირჟის მეთვალყურეობის და მზრუნველობის ქვეშ, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ბირჟამ ხელი აიღო აღნიშნულ სასადილოზე. ამის გამო მიუხედავათ იმისა, რომ არ იყო სასადილო დეფიციტიანი, 7 ოქტომბერს იგი დაიხურა, ვითომდა იმ განზრახვით, რომ ბირჟა ხელმეორედ აიღებდა თავის თავზე მის პატრონობას. მაგრამ ჯერ-ჯერობით არავის ვხედავთ პატრონს.

ამგვარად უმუშევართა არმიას მიემატა კიდევ 23 უმუშევარი, რაც უნდა მიეწეროს შრომის ბირჟის უყურადღებობას.

საჭიროა ამას ანგარიში გაუწიოს შრომის ბირჟამ და ან თავის თავზე აიღოს მისი პატრონობა ანდა ნება დართოს შრომის კოლექტივს სასადილოს გახსნისა, ამით საშუალება მიეცემათ კავშირის რამოდენიმე წევრს ირჩინოს თავი და ნაწილობრივ მაინც შეამციროს უმუშევართა რიგები.

ვნახოთ რა პასუხს მოგვცემს შრომის ბირჟა.

მუშკორი დაუნდობელი.

საზეიმო კრება

შაბათს, 15 ოქტომბერს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად შესდგა კლუბის წევრთა და მსმენელთა საზეიმო კრება. მოხსენებით გამოვიდა ამხ. იმედაძე, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეების ამბები და აუხსნა ის პირობები, რა პირობებშიც უხდებოდა ბრძოლა რუსეთის პროლეტარიატს.

დასასრულს მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირობებს და აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუციის გარეშე შეუძლებელი იყო, რუსეთის პროლეტარიატის განთავისუფლება ბურჟუაზიის ბრჭყალებიდან.

მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნა, ქართული და რუსული მხატვრული წარმოდგენები, რომლებმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

მუშკორი ჯადო.

კოოპერატივის სახელით ვაჭრობენ

23 სექტემბერს, თავისუფლების მოედანზე ერთ-ერთ ფართლის სავაჭროში რომელიც ეკუთვნის მოქ. ბულალიანცს შევიდენ გლეხები და იკითხეს კოოპერატივი. სავაჭროს პატრონმა უპასუხეს რომ კოოპერატივი აქ არისო გლეხებმა დაიჯერეს ვაჭრების სიტყვა და შევიდენ სავაჭროთ. გლეხებმა შეუვაჭრებლად მოაჭრევინეს ყველაფერი, რადგან კოოპერატივში ვაჭრობა დაუშვებელია. ამის შემდეგ შემთხვევით შევიდენ იქვე ნამდვილ კოოპერატივში, სადაც ისეთი საქონელი, რომელიც მათ იყიდეს აქ უფრო იაფია. გლეხები სასწრაფოდ დაბრუნდენ 1-ლ „კოოპერატივში“ და მოითხოვეს ნაყიდის უკან დაბრუნება. მაგრამ ვაჭარმა ფულის მიცემაზე უარი უთხრა. ასე მოტყუილებით გააძვრეს ტყავი ვაჭრებმა გლეხებს და გაისტუმრეს.

საჭიროა ასეთი გაიძვერა ვაჭრებს მოეთხოვოს სასტიკი პასუხი.

შალიკო მარნელი.

მეტ სარგებლობას მოგვიტანს

კარგა ხანი საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა დადგენილება დაწესებულებებში საქმის სახელმწიფო ენაზე წარმოების შესახებ. დადგენილება გატარებულია ცხოვრებაში. დაწესებულებების უმრავლესობა სახელმწიფო ენაზე აწარმოებს ყოველგვარ საქმიანობას. მაგრამ საზოგადოება „საწერ, კალამის“ დირექცია რატომღაც არ ემორჩილება ამ დადგენილებას. ქვითრებზე წარწერები ქართულია, მაგრამ შევსებული კი რუსულად არის.

„საწერ კალამის“ დირექცია უნდა დაემორჩილოს უმაღლეს ორგანოების დადგენილებას და მთელი საქმიანობა აწარმოოს სახელმწიფო ენაზე. ეს უფრო სარგებლობას მოგვიტანს ჩვენს მუშაობას.

კორიანთელი.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

ხელის მოწერა თბილისში

ასი პროცენტით

17 ოქტომბერს წითელ კუთხის დარბაზში თავი მოიყარეს სატყეო სამრეწველო ტრესტის და ხე ტყის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, რიცხვით 120 კაცმა. ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა სახ. ბანკის წარმომადგენელმა ამხ. **დევიძემ**.

მოხსენების გარშემო კრებამ მიიღო რეზოლიუცია. სადაც ნათქვამია, რომ არც ერთი კაცი არ უნდა დარჩეს უობლიგაციოთ. ჯერ-ჯერობით ხელი მოაწერა 122 კაცმა 3.050 მან. ღირებულების ობლიგაციაზე. ხელის მოწერა გრძელდება.

ნ.

გამსახლების ცენტრალურ საავადმყოფოში

გამსახლების ცენტრალურ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ა. კ. ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. **სირბილაძემ**.

მოხსენების ირგვლივ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს ყველა მუშა-მოსამსახურეებს არ დარჩენ უობლიგაციოდ გამოყოფილ იქნა კომისია, რომელიც უკვე შეუდგა ობლიგაციებზე კოლექტიურ ხელის მოწერას.

ს. დ—რი.

საქართველოს აგრეშუმის ტრესტში

17 ოქტომბერს თანამშრომელთა საერთო კრებაზე, რომელსაც 98 პროცენტი დაესწრო, ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **გ გოგოტიშვილმა**.

ერთხმად მიღებული იქნა დადგენილება, რომ თანამშრომლების 100 პროც. შეიძინოს სესხის ობლიგაციები.

ოცდათექვსმეტი თანამშრომელი იძენს 1025 მან. ობლიგაციას.

კ. ხ.

საქ. სტ. ცენტრ. სამმართველოში

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოში შექმნილია სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისია ა. რუხაძის (თავმჯდომარე), ვ. გეგელიას, დ. პაპალაშვილის, რ. ქაჯაიას და გ. ჭანიშვილის შემადგენლობით. კომისიამ სამმართველოში ჩაატარა თანამშრომელთა საერთო კრება და მიმართა ადგილობრივ მომუშავე ორგანოებს. ჯერ ჯერობით სამმართველოს 77 თანამშრომელმა მოაწერა ხელი 1.050 მან. ობლიგაციაზე. ხელის მოწერა გრძელდება. ადგილობრივ მიღებული ცნობების თანახმად ადგილობრივ მომუშავენი სესხზე ხელს აწერენ მთელი 100 პროცენტით.

თელავის მაზრაში

საქართველოს ფინსახკომში მიღებულია ცნობა, თელავის მაზრაში ინდუსტრიალიზაციის სესხის სარეალიზაციო მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

როგორც ცნობიდან სჩანს, მაზრაში სესხის რეალიზაციას ხელმძღვანელობს სპეციალური კომისია.

სესხის რეალიზაციის შესახებ დადებულია ხელშეკრულება: ბანკებთან, კოოპერატივებთან და საკრედიტო დაწესებულებებთან.

ხელის მოწერა სესხზე უკვე ჩატარებულია მთელი ასი პროცენტით. პარტიულ უჯრედებში, [illegible], ყველა დაწესებულების ადგილკომებში და ნაწილობრივ გლეხთა შორის.

ხელის მოწერა გრძელდება.

თემებში ხელის მოწერა დაიწყება ამ დღეებში.

თელავის მაზრისათვის გამოყოფილი თანხა—14.400 მან. რაოდენობით განაწილებული იქნება სავსებით მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა შორის და გლეხებისა და თავისუფალ პროფესიის პირთათვის საჭირო იქნება დამატებითი ობლიგაციების გამოყოფა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თელავის მაზრის მცხოვრებნი ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციას ერთსულოვნად ეგებებიან.

ბორჩალოს მაზრაში

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის ჩასატარებლად სამაზრო აღმასკომის მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია ომაროვის, ხანუმ ალიევის და ხოჯაინიდის შემადგენლობით. მიღებული ცნობების თანახმად სესხის რეალიზაციის საქმე წარმატებით მიმდინარეობს.

ქუთაისის ქალაქის ბანკში

თბილისის ქალაქის ბანკს ქუთაისის განყოფილებამ, ცენტრიდან მიღებული ცირკულიარული წინადადების თანახმად, მიმართა აღმასკომსა და ადგილობრივ მნიშვნელობის დაწესებულებებს, რათა მათმა თანამშრომლებმა ხსენებული განყოფილების საშუალებით მოაწერონ ხელი ინდუსტრიალიზაციის სესხზე. კოლექტიური იქნება ეს ხელმოწერა, თუ ინდივიდუალური. სესხზე ხელმოწერა უკვე დაიწყო და ნაყოფიერად მიმდინარეობს.

წითელ ჯარში

კამპანია დაიწყო

წითელ ჯარის ნაწილებში უკვე დაიწყო კამპანია ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. აღსანიშნავია, რომ როგორც წითელ არმიელთა მასა, ისე მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა ინდუსტრიალიზაციის სესხს ზედა თანაგრძნობით. ყველა ცდილობს შეიტანოს თავისი წვლილი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის საქმეში.

ნაწილში სისტემატიურად ეწყობა საუბრები და მოხსენებები სესხის მნიშვნელობაზე, კლუბების მიერ დამზადებულია სათანადო სააგიტაციო მასალა, როგორიც არის პლაკატები, ლოზუნგები და სხვა.

ეწყობა აგრეთვე მასიური საღამოები სესხის ირგვლივ. ამ საღამოებს აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან წითელ არმიელები ნათლად ეცნობიან სესხის მნიშვნელობას ჩვენი მეურნეობის აღორძინების საქმეში.

განსაკუთრებული მუშაობა სწარმოებს გრძელვადიან შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებთან. მათ ეძლევათ დავალება, თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოონ გლეხობაში სესხის ირგვლივ, რომ შეუწყონ ხელი სესხის გასაღებას.

წითელ არმიელები გზავნიან თავიანთ ხელით დაწერილ წერილებს სახლში და ურჩევენ მშობლებს და ნათესავებს შეიძინონ სესხის ობლიგაციები.

№ ქართულ მსროლელ ლეგიონში

№ ქართული მსროლელი ლეგიონის მეოთხე ასეულში შესდგა ასეულის საერთო კრება. დღის წესრიგში იყო მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. ლეგაშვილმა, რომელმაც კრებას გააცნო ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა.

მოხსენების შემდეგ დაიწყო ჩაწერა ობლიგაციების შესაძენად.

ხელის მოწერა ერთსულოვნად ტარდება.

გ. ხ—ძე.

ხელის მოწერა ადგილებზე

მუხრანი

პარტიულ კომიტეტის ინიციატივით შესდგა ს. მუხრანის პროფკავშირების და სოფლის მცხოვრებთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. უდენტმა. მან გააცნო კრებას ობლიგაციების შეძენის პირობები.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია რომელშიაც აღნიშნულია, რომ თვითეული საბჭოთა მუშაკი—პროფკავშირის წევრი ხელს მოაწერს სესხზე, კრებაზე იქნა გასაღებული დახლოებით 300 მანეთის ობლიგაცია.

ლ. ბ—რი.

სად: გორი

სადგ. გორის მუშა- მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციისა და ობლიგაციებზე ხელის მოწერის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზეიადაძემ. მომხსენებელმა მოკლედ გააცნო კრებას სესხის მნიშვნელობა და მოუწოდა ყველას ხელი შეუწყონ ობლიგაციების გავრცელებას.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება აღნიშნავს, რომ ყველა მუშა-მოსამსახურე ხელს შეუწყობს სესხის რეალიზაციას.

კრებამ გამოჰყო კომისია 9 კაცის შემადგენლობით. რომელიც უკვე აწარმოებს ობლიგაციებზე ხელის მოწერას.

აქაური.

ჭიათურა

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციისათვის დაარსდა რაიონული კომისია,

ადგილებზე წარმოება დაწესებულებებში, სადაც 40 კაცზე მეტი მუშა მოსამსახურეა. გამოყოფილ იქნა კომისიები,—ხოლო სადაც 40-ზე ნაკლებია, გამოყოფილი იქნა რწმუნებული.

ჩატარდა თათბირი, აღმასკომის უჯრედების მდივნების, ქარხანა-მაღაროების. ადგილკომის თავმჯდომარეების და პროფკავშირების მონაწილეობით.

ყოველგვარი წინასწარი მუშაობა დამთავრებულია.

ა. ბრეგვაძე.

ბორჯომში

ბორჯომი, 18 ოქტომბერი. აღმშენებელ მუშათა კავშირმა დაადგინა კოლექტიურად მოაწეროს ხელი ინდუსტრიალიზაციის სესხის 3.750 მან. ობლიგაციებზე; წყლის ჩამომსხმელი და საცობის ქარხნის მუშებმა დაადგინეს შეიძინონ 1.875 მან. ობლიგაციები. მიწა-ტყის კავშირის მუშებმა გადასწყვიტეს ხელი მოაწერონ 625 მან. ობლიგაციებზე (ადს).

ფოთში

ფოთი, 18 ოქტომბერი. ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე წარმატებით მიმდინარეობს. დღემდე ხელი მოაწერეს 6.095 მან. ობლიგაციებზე (ადს).

სესხის ქრონიკა

15 ოქტომბრამდე.

როგორც საქართველოს ფინსახკომში მიღებული ცნობებიდან სჩანს, აჭარისტანში 15 ოქტომბრამდე ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოწერილი თანხა გამოიხატა 18.380 მან. აფხაზეთში—10.200 მან., ქუთაისის მაზრაში—13.635 მან., შორაპნის—17.000 მან:, ქ. ფოთის—6.095 მან:, ოზურგეთის მაზრაში—14.355 მან., სენაკის—9000 მან., ზუგდიდის—13.000 მან, დუშეთის—655 მან., თელავის—8.305 მან:, სიღნაღის—480, ახალციხის—765 მან. და ახალქალაქის—1965 მან.

ამგვარად 15 ოქტომბრამდე ყველა ზემოდ ჩამოთვლილ მაზ. ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოწერილი თანხა უდრის სულ—113.835 მანეთი.

17.933 მანეთი

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს თანამშრომელთა შორის 10-დან 18 ოქტომბრამდე ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოწერილი თანხა უდრის 17.933 მან.

საქონლის სადგურში

18 ოქტომბრამდე ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოწერილ თანხა თბილისის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეების შორის უდრის 3.265 მანეთს.

ხელმოწერა გრძელდება;

2.690 მანეთი

ინდუსტრიალიზაციის სესხზე ა. კ. სასოფ.-სამ ბანკში და თბილისის საქონლის ბირჟაში ხელმოწერილი თანხა უდრის სულ 2.690 მანეთს.

სოცდაზღვევის გაფართოებული პლენუმი

მეორე სხდომა

პლენუმის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ლ. ელბაქიძის მოხსენება სოც. დაზღვევის დელეგატების ინსტიტუტის შემოღების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საკავშირო მთავრობის უკანასკნელი განკარგულებების თანახმად ახლო ხანში ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში შემოღებული იქნება სოც. დაზღვევის დელეგატების ინსტიტუტი.

ყველა ადგილკომებთან და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან არსებულ შრომის დაცვის კომისიები ირჩევენ სპეციალურ დელეგატებს, რომელთაც მუდმივი კავშირი ექნებათ გაბმული დაზღვევის ორგანოებთან და დაზღვეულთა შორის. დელეგატების უმთავრეს მოვალეობას შეადგენს—დაესწრონ სადელეგატო კონფერენციებს, სალაროების წარმომადგენელთა კრებებს და სრული ინფორმაცია მოაწოდონ დაზღვეულებს იმის შესახებ, თუ რა კეთდება შრომის დაცვის და დაზღვევის დარგში. ამასთანავე დელეგატებს ევალებათ დაუნდობელი ბრძოლა აწარმოონ სიმულიაციასთან, გააღრმავონ კულტმუშაობა დაზღვეულებს შორის და სხ.

პლენუმმა გამოსთქვა სურვილი, რომ დაჩქარებით იქნას შემოღებული საქართველოში ასეთი სისტემით მუშაობა.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. ლ. მაჩკევიჩის მოხსენება სოც. დაზღვევის კომიტეტის ბიუჯეტისა და შტატების შესახებ, მოხსენებაში გაშუქებული იყო სოციალურ დაზღვევის ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა, მომავალი მუშაობის პერსპექტივები და შტატების შემადგენლობა.

პლენუმის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ამხ. კ. სიტნიკოვის მოხსენება პენსიათა და დახმარებათა ნორმების შესახებ.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე კ. სიტნიკოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად გამომუშავებულია პენსიათა და დახმარებათა ახალი ნორმები. დახმარებათა ნორმა, თანახმად ამ დადგენილებისა განსაზღვრულია ერთით რაოდენობით მთელი საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც დანაწილებულია 6 ზოლათ. დახმარებათა რაოდენობაც ერთი მეორისაგან განსხვავდება მხოლოდ ზოლების მიხედვით.

საქართველო მიკუთვნებულია მე-2-ე მე-3 და მე-4 ზოლს. მეორე ზოლში შედის თბილისი და ჭიათურა, მესამეში—ბათომი და მეოთხე ზოლში სხვა ქალაქები. დროებით შრომის უნარის დაკარგვის დროს თანახმად უკანასკნელი დადგენილებისა დაზღვეულს ეძლევა დახმარება შემდეგი რაოდენობით: მეორე ზოლში (თბილისში და ჭიათურაში)— 168 მან. თვეურათ მესამე ზოლში—156 მან. და მეოთხეში—144 მან.

ბავშვის დაბადების წინ დახმარება მეორე ზოლში განსაზღვრულია 28 მან. მესამეში—26 და მეოთხეში—24 მან. სამარხი ფული—მეორე ზოლში, თუ გარდაცვლილი 10 წელზე მეტი—35 მან., მესამე ზოლში—29 მან. და მეოთხეში—27 მან. უმუშევრობისას, ამ ახალი წესების თანახმად დაზღვეულები დანაწილებული არიან 3 კატეგორიად. თბილისში პირველი კატეგორია ღებულობს 22 მანეთს .მეორე კატეგორიის უმუშევარი—18 მან. მესამე კატეგორიის 16 მანეთს.

კასების ბიუჯეტი და შტატები

გუშინ საღამოს პლენუმმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაავალა გაერჩია შტატებისა და კასების საბიუჯეტო საკითხები.

თბილისის მაზრის გლეხკომების კონფერენცია

დამთავრდა თბილისის მაზრის გლეხკომების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს პარტორგანიზაციების და აღმასკომის წარმომადგენლებმაც. პირველად კონფერენციამ მოისმინა ამხ. **ცომაიას** მოხსენება

თბილისის მაზრის გლეხკომების მუშაობის შესახებ

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ცნობების მიხედვით, თბილისის მაზრაში ამჟამად მუშაობს 78 გლეხკომი, რომლებიც აკავშირებენ 884 სოფლის მცხოვრებს. წევრთა რიცხვი 6.286 აღემატება. მთელი წლის განმავლობაში გლეხკომებს საწევრო და სხვა სახის გადასახადიდან შემოსვლიათ — 83.020 მანეთი და 7.887 ფუთი ხორბალი. ეს თანხა ნაწილობრივ გასესხებულია, ნაწილობრივ კი ღარიბ გლეხებზე არის დარიგებული.

საერთოდ წელს გლეხკომების შემოსავალი წარსულ წელთან შედარებით შემცირებულია, რადგან წისქვილების, ადგილ-მამულის შემოსავალი და სხვა ასეთი საშემოსავლო წყაროები გასული წლიდან გადარიცხულია სათემო აღმასკომების ბიუჯეტში.

მომხსენებლის ცნობით, ზოგ სოფელში გლეხკომის მუშაობა მოისუსტებს, რაც მიეწერება სამაზრო გლეხკომის შტატის სიმცირეს, თემპარტკომის და თემაღმასკომის სუსტ ხელმძღვანელობას და სხვ.

მეორე მომხსენებელი ამხ. **ბარსიაშვილი** აღნიშნავს, რომ თბილისის მაზრის გლეხკომების ნაკლს ისიც წარმოადგენს, რომ მის მუშაობაში ნაკლებად არის ჩაბმული მასწავლებლობა, გლეხი - ქალები და სუსტია პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა გლეხკომების მუშაობაზე, რასაც შედეგად მოსდევს ზოგიერთ სოფლებში გლეხკომების ქონების გაფლანგვა (საგარეჯო, პატარძეული, დუმანისი და სხვ.).

კამათი

სამაზრო გლეხკომების მუშაობის შესახებ გაიმართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა, რომლის დროსაც ოპონენტები აღნიშნავდენ გლეხკომის მუშაობის დამაბრკოლებელ მიზეზებს და მიუთითებდენ პრაქტიკულ ღონისძიებებზე გლეხკომების მუშაობის გამოსასწორებლად.

ადგილებიდან მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. **გვანცელაძის** მოხსენება, რომელიც მიღებულ იქნა ცნობად და სახელმძღვანელოდ. დასასრულ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია.

კონფერენცია გაგრძელდა ორ დღეს.

თათბირი სუბტროპიკულ კულტურის შესახებ

სოხუმი, 17 ოქტომბერი. დღეს სოხუმში გაიხსნა თათბირი სუბტროპიკულ კულტურის შესახებ. თათბირი მოწვეულია საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს სამეცნიერო ტეხნიკური სამმართველოს მიერ. სამმართველოს სახელით თათბირი გახსნა პროფესორმა არციბაშევმა, რომელმაც, მიესალმა რა დელეგატებს, აღნიშნა:

„ს. მ. უ. საბჭოს სამეცნიერო ტეხნიკურმა სამართველომ ერთი წლის წინედ გადასწყვიტა ამ კონფერენციის მოწვევა. ჩვენ სურვილი გვქონდა შევთანხმებოდით მრეწველობას, რომ სასოფლო მეურნეობა დაგვეყრდნობინა ახალ ნიადაგზე. ცალკე რესპუბლიკების მოთხოვნილების გამო, ამ კონფერენციას უნდა მისცემოდა ფართო ხასიათი, მაგრამ ვინაიდან მთელი რიგი ორგანიზაციებისა არ იყვენ მომზადებული (მათ არ წარმოადგინეს თავისი მოხსენებები) ჩვენ იძულებული გავხდით კონფერენციისათვის მიგვეცა აფხაზეთის მასშტაბის შესაბამი მნიშვნელობა. თათბირის წინაშე მდგომი საკითხები განხილულ უნდა იქნეს მრეწველობასთან დაკავშირებით, რომ გამომუშავებულ იქნეს საერთო გეგმა, გამონახულ იქნას თანხები სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის, გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ბანკის კრედიტი და დასახულ იქნას საცდელი საქმის ახალი ფორმები“.

პროფესორ არციბაშევის სიტყვის შემდეგ თათბირს მიესალმა აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ლაკობა**, რომელმაც აღნიშნა თათბირის მნიშვნელობა ახალი კულტურების განვითარების საქმეში. შემდეგ ამხ. ლაკობა შეეხო რა თათბირის დღის წესრიგს, უსურვა კონფერენციას, რომ მისი პრაქტიკული შედეგები შეიჭრას აფხაზეთის გლეხთა მასების ფართო ფენებში.

თათბირი შეუდგა საქმიან მუშაობას. დღის წესრიგში 20-ზე მეტი საკითხია (ადს)

სოხუმი, 18 ოქტომბერი. სუბტროპიკულ კულტურების შესახებ გამართულ თათბირზე სუბტროპიკული კულტურის დარგში საცდელი საქმის ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა პრაქტიკული ბოტანიკის სოხუმის განყოფილების გამგე პროფ. კოსტეცკი, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

„ამჟამად სუბტროპიკული კულტურის დარგში წამოჭრილია საკითხი იმ ტეხნიკური კულტურების განვითარების შესახებ, რომლებიც საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის. ეს საკითხი უნდა იქცეს საპროგრამო საკითხათ საბჭოთა კავშირის საცდელი დაწესებულებებისათვის. ამ საკითხის მიზანშეწონილად გადასაჭრელად საჭიროა, რომ სუბტროპიკული კულტურის ყველა საცდელმა დაწესებულებებმა მოაწყონ პერიოდიული თათბირები და შეიმუშაონ საერთო საპროგრამო ამოცანები. კვლევა-ძიებითი მუშაობის საწარმოებლად საჭიროა მრეწველობის მიერ საცდელი დაწესებულებების ფინანსებით უზრუნველყოფა და პერიოდიული ორგანოს გამოცემა, რომელიც სამსახურს გაუწევს სუბტროპიკულ მეურნეობას“.

ხარჯების შემცირება ს. მ. უ. ს.-ში

ს. მ. უ. საბჭომ გამოიმუშავა 1927—28 საბიუჯეტო წლის სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უდრის 210.000 მანეთს, წინააღმდეგ შარშანდელი 268.811 მანეთისა. აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა იძლევა ადმინისტრატიული, სამეურნეო და სხვა ხარჯების შემცირებას შარშანდელთან შედარებით 22 პროცენტის რაოდენობით. ხარჯთაღრიცხვა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაგზავნილი არის სახალხო კომისართა საბჭოში.

ამასთანავე ს. მ. უ. ს. მიერ დამატებითი სამუშაოების საწარმოებლად და ახლად დაარსებული განყოფილებების შესანახად გამოთხოვილია დამატებით 280.725 მანეთი, რომელიც მას ნავარაუდევი აქვს აიღოს ტრესტების შემოსავლიდან. აღნიშნულ თანხიდან შაქრის მრეწველობის მოსაწყობათ გორის მაზრაში, განზრახულია დაიხარჯოს 22.912 მანეთი. გეოლოგიურ გამოკვლევათა საწარმოებლად 184.000 მანეთი და დანარჩენი 73.813 მანეთი მოხმარდება ს. მ. უ. ს.-თან დაარსებულ ახალ განყოფილებების შენახვას. თუ ყველა ეს დამატებითი ხარჯები მიღებული იქნა მხედველობაში, მაშინ გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წლის ხარჯები იძლევა განსხვავებას 11,5 პროცენტით, ხოლო ფაქტიურად კი ყველა ხარჯები დაკლებული იქნება 22,7 პროცენტით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალი წარმოებების დაწყებით გამოწვეულ ხარჯებს.

ეკონომიურ საბჭოში

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, რათა მშენებელ მუშათა გადასამზადებლად შრომის სახალხო კომისარიატის ხაზით მოეწყოს მოკლევადიანი კურსები და ამისათვის საჭირო ხარჯი გაღებულ იქნეს უმუშევართა გადასამზადებელ ფონდიდან.

წინადადება მიეცა ყველა საამშენებლო ორგანიზაციას ზემოხსენებულ კურსების მიერ მივლინებული პრაქტიკანტების შრომის ხელფასის გასტუმრება თავის-თავზე მიიღონ.

ღარიბ გლეხთა ფონდი

ღარიბ გლეხთა მეურნეობის დასახმარებლად საქ. სას. სამ. ბანკმა გასულ საოპერაციო წელს გასცა გრძელვადიანი შეღავათიანი სესხი 275.000 მანეთის რაოდენობით. აღნიშნული სესხი გაცემული შემდეგი მიზნებისათვის: მუშა-საქონლის, მეწველ საქონლის და იარაღ-მანქანების შესასყიდათ, ვენახების, ხეხილის, ჩაის და თამბაქოს პლანტაციების და სხვა ინტენსიურ სას. სამ. კულტურულ მეურნეობათა აღსადგენათ და გასაშენებლათ. მთელი თანხა განაწილებულია შემდეგნაირათ: საქართველოს—32 პროც., აფხაზეთს—10 პროც., აჭარისტანს—4 პროც. და სამხრეთ-ოსეთს—4 პროც.

სესხი განაწილებულია ღარიბ გლეხების კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის. ინდივიდუალურ მეურნეებს მიეცათ 50 მან-დან 200 მანეთამდე, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებს 300 მან-დან 1.000 მან-მდე. ბანკის მიერ მიცემული იყო დირექტივა, რათა უპირატესობა მისცემოდათ კოლექტიურ ორგანიზაციებს. შეძლების დაგვარათ სესხი გაცემულ იქნა ნატურით. სესხის განაწილებაში მონაწილეობას იღებდენ სას. სამ. საკ. ამხანაგობები, აღმასკომები, გლეხკომები, ფინსახკომის და მიწათმოქმედების ადგილობრივი ორგანოები.

ფოსტა ხევსურეთში

ამიერ-კავკასიის ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელს საფოსტო ქსელი მოაწყოს საქართველოს მივარდნილ, ცენტრს დაშორებულ კუთხეებში და მათ შორის ხევსურეთშიც. ამ მიმართულებით გამომუშავებულია სათანადო ღონისძიებები და გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯი. მიმდინარე წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ხევსურეთში იმოგზაურა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ამხ. ყამარაულმა ამ მიზნით, რომ გამოერკვია საკითხი ხევსურეთის თუ რომელ პუნქტებთან არის შესაძლებელი სატელეფონო კავშირის დაწესება. სატელეფონო კავშირს ხევსურეთის დასაახლოებლად ცენტრთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ნოემბრის შემდეგ ყოველგვარი მისვლა-მოსვლა საურმე გზებისა და ბილიკების საშუალებით დიდი თოვლის გამო რამოდენიმე თვით წყდება. წინასწარი ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ პუნქტებშია შესაძლებელი სატელეფონო კავშირის გაბმა, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უკვე შეკრეფილი აქვს. მიმდინარე წელს იწარმოებს ამ რაიონის დეტალური გამოკვლევა და საკითხის დაწვრილებით დამუშავება.

10 წლის წინად

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

19 ოქტომბერი

დრ. მთავრობის წინააღმდეგ

პეტროგრადის გუბერნიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც უნდობლობას უცხადებს დრ. მთავრობას.

ასეთივე რეზოლიუციებია მიღებული მთელ რიგ ჯარის ნაწილების კრებებზე.

მზადება საბჭოთა მეორე ყრილობისათვის

ცაკის ბიუროს სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ნორმა წარმომადგენლობისა საბჭოების ყრილობაზე და ყრილობის დღის წესრიგი.

ბრძოლა „ანარქიასთან“

„მთავარ-სარდალ“ კერენსკის ბრძანებით, „მავნე მიმართულებისათვის“ დახურეს ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „მოლოტ“, რომელიც მინსკში გამოდიოდა. სტამბას რეკვიზიცია უყვეს.

დროებითი მთავრობის გაპარვის წინააღმდეგ

პეტროგრადის საბჭოს ჯარისკაცთა სექციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს მთავრობას მოსკოვში გადასვლის განზრახვისათვის. სექცია მთავრობის ამ განზრახვას უწოდებს დეზერტირობას და წინადადებას აძლევს მას „ან დასდვას ზავი ან თავისი ადგილი დაუთმოს სხვა მთავრობას“.

ცაკის ბიურომ გადასწყვიტა შეეკითხოს მთავრობას—მართლა განზრახულია, თუ არა პეტროგრადის ევაკუაცია. რიაზანოვის შეკითხვაზე—გაჰყვება, თუ არა ცაკი მთავრობას მოსკოვში, ცაკის ბიურომ განაცხადა, რომ „დროებითი მთავრობის გადასვლა ცაკისა და რესპუბლიკის დრ. საბჭოს დასტურის გარეშე შეუძლებელია“.

დროებითი მთავრობის სხდომაზე გამოირკვა, რომ „დემოკრატიული ორგანიზაციები წინააღმდეგობას გაუწევენ დროებითი მთავრობის გადასვლას მოსკოვში“ ამის გამო გადაწყდა დრ. მთავრობის ევაკუაცია გადაიდოს ნოემბრამდე.

სამხედრო სამინისტროში პალჩინსკის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი იმ კომისიის, რომელსაც დავალებული ჰქონდა პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნების ევაკუაცია. გადაწყდა ფაბრიკა-ქარხნების ევაკუაცია მთლიანად არ მოხდეს, რადგან ეს „დიდ დროს და ხარჯს მოითხოვს“. ამის მაგიერად საჭიროდ იქნა ცნობილი „დაკვეთების ევაკუაცია“—დაკვეთების გადაცემა პროვინციის ფაბრიკა-ქარხნებში.

ნაგვიანევი გადაწყვეტილება

დროებითი მთავრობამ დაშლილად გამოაცხადა მეოთხე მოწვევის სახ. სათათბირო. ამავე დროს გაუქმებულ იქნა სახ. საბჭოს იმ წევრების რწმუნებები, რომლებიც არჩევითი წესით შევიდენ საბჭოში.

ბოლშევიკები და „რესპუბლიკის საბჭო“.

შესდგა „რესპუბლიკის დრ. საბჭოს“ ბოლშევიკური ფრაქციის სხდომა ტაქტიკის შესახებ. გადაწყდა—საბჭოს გახსნაზე წაკითხულ იქნეს დეკლარაცია, რომელშიც სასტიკად იქნება გაკრიტიკებული დროებითი მთავრობის პოლიტიკა, რის შემდეგ ფრაქციამ დასტოვოს სხდომა.

„ნეიტრალური“ კოოპერატორები

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს კოოპერატორებს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს შექმნან ბლოკი „იმ სოციალისტურ პარტიებთან და ჯგუფებთან, რომლებიც იმყოფებიან ქვეყნის ენერგიული თავდაცვის, კანონიერების და წესრიგის სადარაჯოზე“. ყრილობა დაუშვებლად აღიარებს დამფ. კრებაში „[illegible] და ანარქიის წარმომადგენლების არჩევას“.

„დემოკრატიის“ საგზალი იმპერიალისტების კონფერენციისათვის.

საბჭოების ცენტ. აღმასრ. კომიტეტმა საბოლოო რედაქციით მიიღო რეზოლიუცია ომზე და ზავზე და ინსტრუქცია „მოკავშირეთა“ პარიზის კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებისათვის.

გლეხთა დეპუტატების **საბჭოების** ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს დილისა და საღამოს სხდომებზე ბევრი ჰქონდა დელეგატის გაგზავნის შესახებ მოკავშირეთა კონფერენციაზე. ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდენ. გადაწყდა მიმართონ სკობელევს თხოვნით გააცნოს ცენტ. კომიტეტს პროგრამა, რომლითაც ის იხელმძღვანელებს პარიზის კონფერენციაზე.

ბოლშევიკურ პარტიაში

„რაბოჩი პუტ“-ში გამოქვეყნებულია შემდეგი ცნობა: „სასწრაფო პარტიული ყრილობა დანიშნული 17 (30) (ოქტომბრისათვის) გადადებულია მცირე დროით“.

ნოვგოროდში შესდგა ბოლშევიკური ორგანიზაციების საგუბერნიო ყრილობა. შედგენილ იქნა სია დამფ. კრების წევრთა კანდიდატებისა.

„ცაკის უწყებების“ განცხადება

მთავრობის განზრახვის გამო მოახდინოს საბჭოების რევიზია,—„ცაკის უწყებებში“ მოთავსებულია ცნობა, რომ არც პეტროგრადის საბჭოსა და არც ცაკს არავითარი თანხა ხაზინიდან არ მიუღია.

ამიერ-კავკასიაში

(საქართველოს რევოლიუციონური მუზეუმის მასალებიდან)

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა

დილის სხდომაზე საორგანიზაციო საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ოკუჯავა, რომელიც თავის სიტყვის დასასრულში საჭიროდ თვლის კავკასიის მთლიან საოლქო ორგანოს შექმნას, რომელიც გააერთიანებს, როგორც ჩრდ. კავკასიის, ისე ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს და უხელმძღვანელებს ბრძოლას მასების დაპყრობისათვის.

ამავე სხდომაზე ამხ. ათაბეკოვი აკეთებს მოხსენებას პარტიული პრესის შესახებ.

ექვს ოქტომბრის საღამოს სხდომაზე ამხ. მალაქია ტოროშელიძე აკეთებს მოხსენებას ნაციონალურ საკითხზე.

მოწაფეთა გაფიცვა

გაიფიცენ თბილისის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ვაჟთა გიმნაზიების მოწაფეები. გაფიცვის მიზეზია—უფროს კლასების მოწაფეთა წარმომადგენლების არდაშვება პედაგოგიურ საბჭოში.

ამავე მიზეზის გამო გაიფიცენ ბათომის გიმნაზიის მოწაფეები.

მდგომარეობა ქუთაისში

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული გ. გიორგაძე სთხოვს ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს იარაღის გაგზავნას ქუთაისში, ვინაიდან მდგომარეობა ქალაქში კვლავ რთულია“.

ოქტომბრის ათი წლის თავისათვის

წითელ ჯარში

№ ქართ. მსრ. დივიზიის ნაწილების დაბრუნების შემდეგ ბანაკიდან საზამთრო ბინებზე, არჩეულ იქნა ოქტომბრის 10 წლის ზეიმის ჩამტარებელი კომისიები, რომლებშიაც შედიან მეთაურები და წითელარმიელები.

კომისიები უკვე შეუდგნენ სათანადო მუშაობას. შემუშავებულია წინასწარი მუშაობის და ზეიმის ჩატარების გეგმები.

წინასწარი მუშაობის დროს ყურადღება მიქცეულ იქნება ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობის გაშუქებას წითელ-არმიელთა მასაში. სკოლის გარეშე მუშაობის ფორმებით წარმოებულ იქნება საუბრები შემდეგ თემებზე: 1) თებერვლის რევოლუცია, 2) დროებითი მთავრობის მოღალატური პოლიტიკა, 3) ლენინ-ს როლი ოქტომბრის გადატრიალებაში, 4) კომპარტია ოქტომბერში, 5) ოქტომბრის გამოძახილი ჩვენში და სხვა.

ოქტომბრის დღესასწაულამდე მოხდება ყველა ნაწილებში ლენინის კუთხეების გადახალისება. გამოყოფილ იქნება ცალკე განყოფილება სახელწოდებით: „ოქტომბერი“, სადაც დაგროვილ იქნება ყველა მასალა, რომელიც ეხება ოქტომბერს.

დიდი მუშაობას აწარმოებენ ნაწილის კლუბები: მუშავდება სათანადო რეპერტუარი, სამხატვრო წრეები ამზადებენ პროგრამას საზეიმო საღამოებისათვის.

ნაწილის ბიბლიოთეკები აწყობენ ოქტომბრის ლიტერატურის გამოფენას და ადგენენ წიგნების სარეკომენდაციო სიებს.

სარედაქციო კოლეგიები თავისი მხრივ [illegible] დებენ მასალებს კედლის გაზეთების საიუბილეო ნომრებისათვის.

განათლების კომისარიატში

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად განათლების კომისარიატის დადგენილებით 50 სკოლასთან თბილისში მოეწყობა სასკოლო კოოპერატივები: მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი იქნება 500 ღარიბი მოწაფე; დუშეთის, გორის და სიღნაღის მაზრებში გაიხსნება სოფლის ახალგაზრდობის სკოლები; ქვემო-ქალის, მუხრანისა და ახმეტის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ღარიბ მოწაფეთათვის დაწესებული იქნება თითო სტიპენდია 10 მან. რაოდენობით თვეში; ქუთაისის ყაზბეგის და ტიბის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებთან ღარიბი მოწაფეთათვის გაიხსნება პანსიონი; თბილისში მოეწყობა სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ნაწარმოებთა გამოფენა; ოქტომბრის დღესასწაულზე მოწყობილ „მოსავლის დღეში“ მონაწილეობას მიიღებენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლები; ყველა თავის სკოლაში დღესასწაულზე მოაწყობენ თავის ნამუშევართა გამოფენებს; რკინის გზის მეორე სკოლაში მოწაფეებს მთელი წლის განმავლობაში მიეცემათ საუზმე: პირველ რაიონში ნაძალადევში 100 ბავშვისათვის გაიხსნება ახალი კერა; იმავე რაიონის მე-5 კერისათვის საფუძველი ჩაეყრება ახალ შენობას; შორაპანში 60 ბავშვისათვის გაიხსნება საბავშვო კერა; ოქტომბრის რევოლუციის სახელწოდება მიენიჭება რკინის გზის 5 სკოლას და 1 ინტერნატს. რომელშიაც დამატებით მიღებულ იქნება 10 ულარიბესი ბავშვი; გურჯაანში გაიხსნება 1 ოთხწლედი, სვანეთში გაიხსნება საბავშვო ბაღი; თბილისში გაიხსნება ახალი საბავშვო ბაღი; მცხეთაში მოეწყობა ბავშვთა ახალშენი, 100 ბავშვისათვის; მცხეთაში დაარსდება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა; მაზრებში 17 ქოხ-სამკითხველოებს მუშაობის გასაძლიერებლად დაურიგდებათ 300 მანეთი თითოს; ახალციხეში, სვანეთში და ახალქალაქში არსებულ ქალთა წრეებს საჩუქრად გაეგზავნებათ ხელით საკერავი მანქანები; სვანეთის კლუბს გადაეგზავნება საჭირო წიგნები და სურათები; 7 ნოემბერს გამოვა საბავშვო გაზეთის სპეციალური №-რი; მაზრებს დაეგზავნებათ პლაკატები და ლოზუნგები ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ, გადაღებული იქნება უნივერსიტეტის, სპეცტეხნიკ. და საფაბრიკო საქარხნო სკოლების შინაური ცხოვრებისა და მუშაობის გამომხატველი ფოტოგრაფიული სურათები და მოეწყობა სპეცტეხნიკუმების მოწაფეების ნამუშევართა გამოფენები.

ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის მუშაობა

ინვალიდთა კომიტეტს წარსულ საოპერაციო წლის განმავლობაში ერთხელ ჰქონდა მოწვეული პლენუმი, რომელზედაც გარჩეულ საკითხთა შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა: სავაჭრო ოპერაციების, ანგარიშ-წარმოების, წყაროების დასაგროვებელ ღონისძიებათა გამოძებნის და დახმარებათა გაცემის საკითხებს გამოირკვა, რომ აპარატის შენახვა წელიწადში ჯდება 15.000 მანეთამდე, ამავე ხნის განმავლობაში მაღაზიების ხარჯების ზედ-დართვით მთელი აპარატის შენახვა—35.000 მან.

საორგანიზაციო დარგში კომიტეტის მუშაობა, როგორც წარსულში, ისე ეხლა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. არ არსებობს კავშირი ავტონომიურ რესპუბლიკებში და სხვა ადგილებზე არსებულ დამხმარე კომიტეტებთან. უკანასკნელნი არ ემორჩილებიან ცენტრალურ კომიტეტს და არ უხდიან თავიანთ ფულად ვალდებულებებს.

ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის მოვალეობა დებულების თანახმად შეადგენს: გამოძებნოს და დააგროვოს ფინანსიური შესაძლებლობანი—ომის ინვალიდთა დასახმარებლად, გაუწიოს მატერიალური დახმარება და ხელმძღვანელობა იმ ორგანოებს, რომლებიც აწარმოებენ ომის ინვალიდთა დახმარების საქმეს, ჩააბას საზოგადოების ფართო მასები ამ საქმეში და სხვა.

კომიტეტის საშუალებათა შორის ყველაზე შემოსავლიანი იყო მარკების რეალიზაცია, —აქედან შემოსავალი უდრიდა მთელი შემოსავლის 80 პროც. ეს მანამდის, სანამ მარკები, გავრცელებას სავალდებულო ხასიათი ჰქონდა; ხოლო, როდესაც მან ასეთი ხასიათი დაჰკარგა, საერთო თანხის ბრუნვაში სრულიად უმნიშვნელო ადგილი დაიჭირა და თანდათან განიცდის დაქვეითებას.

კომიტეტის საექსპლოატაციო განყოფილებაში მთავარ საშემოსავლო წყაროებათ ითვლება ფქვილი და მარილი. ცხრა თვის განმავლობაში კომიტეტის სავაჭრო განყოფილებას გაუსაღებია: ფქვილი [illegible].284 კილო, მარილი—1.348.717 კილო. უკანასკნელ ხანებში, როგორც მარკების რეალიზაციის, ისე ფქვილით ვაჭრობის საქმე შესუსტდა. რადგან უკანასკნელის შემოტანა აკრძალული იქნა კომიტეტისათვის. ამ გარემოებამ კომიტეტის ფინანსიური მდგომარეობა გაამწვავა. თუ არა ფქვილის და მარილის გასაღება, სხვა სავაჭრო საგნები ვერ მისცემენ მას იმდენ შესაძლებლობას, რომ კომიტეტმა მუშაობა განავრცოს.

კომიტეტის საექსპლოატაციო განყოფილებას თავის არსებობის დღიდან სოც. უზრ. განყოფილებისათვის გადაუცია 44.673 მ. გასანაწილებლად ომის ინვალიდებს შორის, თვითონ კი დახმარების სახით უკანასკნელებისათვის გაუცია 4.890 მან. მთელი ჯამი საქველმოქმედო მიზნით გაცემულ თანხისა უდრის 56.403 მანეთს.

მომავალში კომიტეტს აქვს აზრათ: გააუქმოს ის დამხ. კომისიები, რომლებიც არ ამართლებენ თავის დანიშნულებას; შეიმუშაოს გეგმა დამხ. კომისიები მუშაობის მიზანშეწონილად წარმოებისათვის; დაიჭიროს მტკიცე კავშირი დანარჩენ რესპუბლიკების დამხმარე კომისიებთან მუშაობის შეთანხმებულად წარმოებისათვის; მტკიცედ დააყენოს მარკების გასაღების საქმე; საიმპორტო და სამრეწველო საქონლით და ნორმით ვაჭრობა წარსულ წლებთან შედარებით დააყენოს უფრო ფართო მასშტაბით და სხვა.

ანგარიშის წარმოების საქმე კომიტეტში მოიკოჭლებს; იცემა თანხები ხშირად ისე, რომ შემდეგ საჭიროა კომისიების შედგენა გაცემულ თანხების გამოსაძებნად.

კომიტეტის არსებობისათვის, რათა მან სათანადოთ გაუძლოს დაკისრებულ საქმეს, საჭიროა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებმა (სახკომსაბჭო, ფინსახკომი, შინავაჭრობის ორგანოები და სხვა) შეუწყონ ხელი.

გ. ლე—ლი.

მოუსავლობა სამეგრელოში

ზოგიერთი რაიონების გამოკლებით, სიმინდისმოკრეფა მთელს სამეგრელოში თითქმის დამთავრებულია. როგორც სენაკის და ზუგდიდის სამაზრო აღმასკომები იტყობინებიან, გლეხობა წლევანდელი მოსავლით ძალიან უკმაყოფილოა. ხანგრძლივმა წვიმებმა და საერთოდ ცუდმა ამინდმა მიმდინარე წლის ზაფხულზე ძალიან დააზარალეს სიმინდის ნათესები. მთიან ადგილებში ნათესები ალაგ-ალაგ წალეკა მოვარდნილმა ნიაღვრებმა, ხოლო დაბლობში სიმინდი ამოლპა ყანების დაჭაობიანების გამო. ასეთ ამინდს შედეგად მოჰყვა ის, რომ სამეგრელოს გლეხობა, რომელიც სიმინდით ჰკვებავდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და მოუსავლიან რაიონებს, წელს საშუალოდ ვერ შეაგროვებს ნახევარი წლის სარჩოსაც. გლეხკომები უკვე ღებულობენ განცხადებებს გლეხობისაგან დახმარების აღმოჩენის შესახებ. სენაკის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა ამ თავითვე მიიღოს განსაკუთრებული ზომები მოსალოდნელი სიმშილობის წინააღმდეგ. ამ მიზნით აღმასკომის მიერ უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები: გამოწერილია რამოდენიმე ათეული ათასი ფუთი სიმინდი.

ამავე დროს სამაზრო აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წლის შემოდგომისათვის გლეხობის მთიან ადგილებში დათესვინოს ქერი. საამისო მუშაობა უკვე სწარმოებს. სათემო აღმასკომებს და გლეხკომებს დავალებული აქვთ გამოარკვიონ იმ მეურნეთა რიცხვი, რომელთაც განზრახული აქვთ შემოდგომაზე ქერის დათესვა.

პირველ საჭიროების დასაკმაყოფილებლად აღმასკომს სათესლე მასალად გამოწერილი აქვს 5 ათასი ფუთი ქერის თესლი.

ქრონიკა

აჭარისტანის ცაკის მისალმებები:
საქ. სახკომსაბჭოს

აჭარისტანის ცაკის მეორე სესია მხურვალედ ესალმება საქართველოს უზენაეს ხელისუფლებას, რომლის ხელმძღვანელობით მთელი საქართველო და კერძოდ აჭარისტანი მრავალ კულტურულ სამეურნეო და ნაციონალურ წარმოებებს იდღესასწაულებს დიადი ოქტომბრის ათი წლის თავზე.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას.

ამ. კ. სახკომსაბჭოს

აჭარისტანის ცაკის მეორე სესია მხურვალე სალამს უგზავნის ამიერ-კავკასიის მშრომელთა უზენაეს ხელისუფლებას, რომლის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა მიაღწიეს დიდ კულტურულ ეკონომიურ და ნაციონალურ აღორძინებას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

ამხ. შ. მათიკაშვილი შვებულებაში

ცაკის მდივანი ამხ. შ. მათიკაშვილი 13 ოქტომბერს წავიდა შვებულებაში. ცაკის მდივნის მოვალეობის ასრულება დროებით დაევალა დ. აფციაურს.

ოქტომბრის ზეიმისათვის

ამიერ - კავკასიის რკინის გზებზე ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ზეიმის ჩასატარებლად გზათა კომისარიატმა გადასდო 3.600 მანეთი.

ოხრას მადანი

ციხისძირის თემში (აჭარისტანში) აღმოჩენილი იქნა ოხრას მდიდარი მადნები. ოხრა გამოსადეგია და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქიმიურ წარმოებებში. ამ მადნების დასამუშავებლად საგეგმო კომისია ადგენს გეგმას. ამ გეგმის მიხედვით ციხისძირში მოეწყობა მადნის დამმუშავებელი ქარხანა მუშათა საცხოვრებელი ბინები და სხ. ამჟამად სწარმოებს მადნის ბუდობების გამოკვლევა და მადნის თვისებათა შესწავლა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, გურიაში უკვე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა. მიმდინარე წელში გადასახადისაგან განთავისუფლებულია სიღარიბის გამო გურიის მეურნეობათა 71 პროცენტი. გლეხთა მეურნეობის საერთო შემოსავლიანობა შეფასებულია 2.050.405 მანეთად. მთელ მაზრაში გადასახადი წელს გაწერილია 36.000 მანეთის რაოდენობით.

ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან

კულტ-განათლების მთავარ სამართველომ შეიმუშავა ახალი გეგმა წ.-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად. ამ გეგმით 1927—28 სასწავლო წლის განმავლობაში მაზრებში პოლიტ-განათლების ხარჯზე გახსნილი იქნება 303 წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო ახალი სკოლა და 54 წ.-კ. მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლა.

კახეთის ფოტოგრაფიული სურათები

მიწათ-მოქმედების კომისარიატის მევენახეობის ინსპექტორის ამხ. ბიბილაშვილის ხელმძღვანელობით 14—15 ოქტომბერს ფოტოგრაფი ჟვანია აწარმოებდა კახეთის მიდამოებში სასოფლო მეურნეობის დარგში სხვადასხვა სიუჟეტების ფოტოგრაფიულ სურათების გადაღებას. გადაღებული იქნა შემდეგი ადგილები: მუკუზანის ზვარები 67 დესეტინის სივრცეზე; ჩუმლაყის სანერგეს საერთო სურათი 106 დესეტინის სივრცეზე; დამყნილ ვაზების სათბურები; ღვინის სარდაფები და სხ. ეს სურათები სათანადო დიაგრამებით გაიგზავნება საზღვარგარეთ ოქტომბრის 10 წ. თავზე განზრახულ საბჭოთა მიღწევების გამოფენაზე.

რეფლექსოლოგების საკავშირო ყრილობა

ჯანსახკომში მიღებულია მოწერილობა საკავშირო სახელმწიფო ფსიქონევროლოგიური აკადემიიდან, რომ დეკემბრის ბოლო რიცხვებში ლენინგრადში მოწვეულია რეფლექსოლოგის შემსწავლელ სამეცნიერო მუშაკთა საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე დასასწრებლად მოწვეულნი არიან მოკავშირე რესპუბლიკებში მომუშავე ყველა სამეცნიერო ძალები (პედოლოგები, დეფექტოლოგები, პედიატრები, ფსიქოტეხნიკები, ნევროპატოლოგები და სხვა).

საცდელი სროლა

ქალაქის საკომ[illegible] იტყობინება, მოქალაქეების საყურა[illegible] რომ დღეს, 19 ოქტომბერს მლაშე ტ[illegible] რაიონში იწარმოებს საცდელი საარტილერიო სროლა.

ახალი წიგნები

„სოფლის კომუნისტი“ № 10

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პ. (ბ) ცკ-ის ყოველთვიური ორგანო „სოფლის კომუნისტი“ № 10.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები:

დ. გვაზავა პარტიის მთლიანობა და ომის საფრთხე; **სერგო ჯაფარიძე**—სოფლის უჯრედების მდივნების თათბირის შედეგები; **თენგიზ ჟღენტი**—მომავალი პარტკონფერენცია; **გ.ბ—ლი**—ინდუსტრიალიზაციის სესხი; **ვლ. ორჯონიკიძე**—თემი და თემის ბიუჯეტი; **გ. ჯავახიძე**—სოფლის მეურნეობის აღორძინება და კომკავშირი.

პარტიული აღმშენებლობა: კ. ურბანოვიჩი—შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ, **კ.მელიქაძე**—შინაპარტიული ხელმძღვანელობა უპარტიო ორგანიზაციებზე, **ვ. იმედაძე**—როგორ უნდა ჩატარდეს ოქტომბრის 10 წლის თავი სოფლად.

საერთაშორისო მიმოხილვა: ალ პაპავა—საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები;

ადგილობრივი ცხოვრება: ს. ლომიძე—როგორ უნდა მუშაობდნენ უჯრედები სოფლად,; **დ. ორაგველიძე**—თვითგანვითარების საქმე სოფლად; **შ.პაპავა**—სასოფლო-სამეურნეო საღრიცხვო კამპანია; **მ. ბარამია** ადგილობრივ მუშაობის შემოწმება სენაკის მაზრაში;—და **ბიბლიოგრაფიები.**

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერლებს და გაიყიდება ყველგან.

◆ **ჟურნ. „შრომა“.** გამოვიდა პროფკავშირთა საბჭოს და სოცდაზღვევის ორგანოს „შრომას“ მორიგი ნომერი (№ 9). ჟურნალი მიძღვნილი აქვს ფაბრქარხკომების გადარჩევის მნიშვნელობას.

◆ **„რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია ჩინეთში“** ლოზოვსკის. გამოცემა „შრომა“-სი.

ფქვილის შემოტანა

პირველი ოქტომბრიდან—10-მდე „ხლებოპროდუქტმა“ საქართველოში შემოიტანა 2.095 ტონა ფქვილი, „კავხლებმა“—1.863 ტონა და „ზაკთიუზმა—162 ტონა. სულ 1-დან 10 ოქტომბრამდე შემოზიდულია 4.120 ტონა ფქვილი.

თბილისის ალმასკომში

◆ **ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე** გამოფენების მოსაწყობად ალმასკომმა გადასდო 1350 მანეთი.

◆ **რენტგენის კაბინეტები.** ჯანმრთელობის განყოფილება ამ დღეებში გერმანიიდან მიიღებს გაუმჯობესებულ რენტგენის კაბინეტს.

◆ **ჯარიმა.** ის მოქალაქეები, რომლებიც ქუჩებში არ დაიცავენ სისუფთავეს, დაჯარიმებულნი იქნებიან.

◆ **წყალსაქაჩავები.** კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ქალაქის მთიან უბნებში წყალსადენის გაყვანას და წყალსაქაჩავების მოწყობას

სახლების შეკეთება. საბინაო-საიჯარო ამხანაგობებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ შეაკეთონ სახლები.

◆ **ტყე.** სატყეო სექცია უახლოეს 5 წლის განმავლობაში თბილისის მიდამოებში გააშენებს 1000 დესეტინა ტყეს.

ჯანსახკომში

◆ **ექიმთა კონფერენცია.** ნოემბრის შუა რიცხვებში მოწვეულია საქართველოს ექიმთა მე-4 კონფერენცია.

◆ **ყვავილის წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის კომისარიატმა აჭარისტანს გადაუგზავნა 550 დოზა ყვავილის ასაცრელი იბრატი.

სხვადასხვა

◆ **რევოლიუციის მუზეუმი.** 20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე ღია იქნება საღამოობითაც 6—8 საათ.

— **საქართველოს მონადირეთა კავშირი** ხუთშაბათს, ა-წ. ოქტომბრის 20-ს, დისციპლინარულ სასამართლოს მიერ, საბჭოთა მუშაკების კლუბში ჟორესის (ყოფ. კიროჩნის № 3,) მოხდება კავშირის იმ წევრთა გასამართლება, რომლებმაც დაარღვიეს ნადირობის წესები საგარეჯოს აღკვეთილში. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

შემთხვევები

ხულიგნების თავდასხმა

17 ოქტომბერს, საღამოს ძველ კოჯორის გზაზე სასეირნოთ გამოსულ რუსულ მუშფაკის მსმენელებს გრიგოლ სანაკოევს და თამარა ალიკოვს თავს დაესხა ორი უცნობი პირი დანებით და მოინდომეს ქალის გაუპატიურება. შეშინებული სანაკოევი გაიქცა მილიციის დასაძახებლად. მილიციელის მოშველებამდე ბოროტმოქმედებმა ქალი აწვალეს, მაგრამ გაუპატიურება ვეღარ მოახერხეს და მიიმალნენ. ქალს წაართვეს პალტო.

—:—

◆ **ბავშის პოვნა.** 17 ოქტომბ. ღამით ეკლესიის შესახვევში მოქ. ნიკოლოზ ნადირაძემ იპოვა ახლად დაბადებული ბავშვი, რომელიც გადაიგზავნა ბავშთა თავშესაფარში.

◆ **ა.-კ. საბამბო კომიტეტში** ადგილკომის მდივანს ელენე ხაჩუკს მოჰპარეს საფულე.

◆ **ტრამვაის რონოდაში** 17 ოქტ. მარჩ ბუხმინდერს ამოაცალეს 161 მან. ფული და პარტბილეთი.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 17 ოქტომბერს მალაკნის ქუჩა № 54 გაქურდეს ვარდეგ აბრამიშვილის ბინა. წაიღეს 120 მან. ნივთები.

◆ **ტრამვაიდან ჩამოვარდნა.** მალაკნის ქუჩაზე ტრამვაის რონოდაზე შეხტომის დროს ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა სამუელ ამბროსიძე მინასაროვი.

◆ **ამიერ-კავკასიის რკ. გზელთა პროფკავშირის** შენობიდან ნიკოლოზ ივანესძე ფალავანდიშვილს მოჰპარეს პალტო.

◆ **დაჭრა.** 17 ოქტომბერს ვასილ ვართანოვმა დანით დასჭრა აბელ ბარმუსოვი. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

◆ **ქურდობა.** 17 ოქტომბერს მაგისტრალის ქუჩა № 5 კოსტა გათენაშვილის ბინიდან მოიპარეს 150 მ. ნივთები.

— ამავე დღეს კრილოვის ქუჩა № 11 გაქურდეს მარიამ ალიაშვილის ბინა.

◆ **მკვლელობა.** 17 ოქტ. ღამის 12 ს. სადგურის მოედანზე ბაღის კუთხეში უცნობმა დანით მოჰკლა კონსტანტი შენგელია. მიზეზი გამოურკვეველია. მკვლელმა მოასწრო მიმალვა.

◆ **შეპყრობა.** 17 ოქტომბერს ქურდობისათვის შეიპყრეს ლეონიდ პავლეს ძე ლევინი.

◆ **ოქროს საათი.** 17 ოქტომბერს პლატონ გოროგაძეს მოჰპარეს ოქროს საათი.

ხელოვნება

ვიოლონისტ ბეზროდნის კონცერტი

სახელმწიფო კონსერვატორიამ სკრიპკის კლასის პროფესორთა შემადგენლობაში მიიწვია მსახიობი ბეზროდნი, რომელმაც თავისი მუსიკალური განათლება დაამთავრა პროფ. კრეინთან. ბეზროდნი პირველად გამოვიდა თბილისში საკუთარი კონცერტით.

პროგრამის პირველი ნომრის—ბახის „ჩაკონის“ შესრულებისთანავე ნათელი გახდა, რომ ახალგაზრდა მსახიობს აქვს დიდი მუსიკალური ნიჭი, ტონის სიღრმე და გავლილი აქვს სერიოზული სკოლა. ამ ნაწარმოების („ჩაკონის“) პოლიფონია (რამდენიმე ცალკე მელოდია, რომელნიც ერთ ჰარმონიულ მელოდიაში ერთდებიან) და ბახის კლასიკური სტილი მშვენივრად იქნა შესრულებული. პროგრამის შემდეგი ნომრების (გენდელის, ბეთჰოვენის, მოცარტის, ბიზეს, სარაზატეს და შუბერტის ნაწარმოები) შესრულებამ საბოლოოდ დაადასტურა ის შეხედულება, რომ მსახიობს საკმაო მუსიკალური ნიჭი და მომზადება აქვს. მშვენივრად იქნა შესრულებული უძნელესი მუსიკალური პოემა შუბერტისა „ტყის მეფე“. კონცერტის წარმატებით ჩატარებას ძალიან შეუწყო ხელი მსახიობის ვიოლინომა, რომელიც დამზადებულია ძველი იტალიელი ხელოსანის გვადანინის მიერ. ეს ვიოლინი ბეზროდნიმ მოსკოვის სახელმწიფო ინსტრუმენტების საწყობიდან მიიღო. ბეზროდნი მეტად დიდი და ძვირფასი ძალა არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის. ფორტეპიანოს პარტია კარგად შეასრულა რეიმანის ქალმა.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა
ამხ. თოხაძის დანიშვნა

განათლების კომისარიატთან არსებულ სახელოვნო განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. თოხაძე.

—:—

— **აჭარისტანის სახ. აკადემიური** გუნდმა განაახლა მუშაობა. გუნდში ახალი წევრების მიღება იწარმოებს 31 ოქტომბრამდე.

— **აგიტპიესები.** პოლიტგანათლების მთავარ სამმართველომ გამოსცა აგიტპიესების კრებული.

— **მუშათა თეატრის რუსული დრამის** სეზონი გაიხსნება 20 ოქტომბერს.

— **ნალბანდიანის კონცერტი.** ახლო ხანში თბილისში გაიმართება ლენინგრადის კონსერვატორიის (ვიოლონჩელის კლასის) პროფ. ნალბანდიანის კონცერტები.

— **„სადკო“.** ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება: „სადკო“.

ავტომობილების კატასტროფების მიზეზები

გუშინ ადგილობრივი ტრანსპორტის ა.-კ. სამმართველოში შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი. დღის წესრიგში იყო დასმული საკითხი—ავტომობილების კატასტროფების წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებათა გამომუშავების შესახებ.

თითქმის ყველა ორატორები აღნიშნავდნენ, რომ კატასტროფების გახშირების მიზეზი არის შოფერთა შორის გამეფებული ლოთობა, ავტომობილთა მიმოსვლის სავალდებულო წესის დარღვევა, მოძრაობის აგენტების და მილიციის არასაკმარისი აქტივობა ამ სავალდებულო დადგენილების გასატარებლად ცხოვრებაში და სხ.

კატასტროფებს ხელს უწყობს აგრეთვე შოფერების დატვირთვა ზედმეტი სამუშაოთი: ისინი 8 საათზე მეტს მუშაობენ, რაც იწვევს მათ მოქანცვას.

გზებზე დაწესებული მეთვალყურეობა საგრძნობლად შეამცირებს კატასტროფების რიცხვს, რადგან შოფერები მოძრაობის წესებს უფრო მეტად ქალაქ გარედ მიმოსვლის დროს არღვევენ.

ზოგიერთმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ არ არის დამყარებული კავშირი ავტო-განყოფილებასა და ალმასკომს შორის. სათანადო ორგანიზაციები მოგვიანებით ატყობინებენ ავტოგანყოფილებას მომხდარ უბედურების შესახებ. ამ მოთხოვნილების შესრულება მილიციის მიერ საშუალებას მისცემდა ავტოგანყოფილებას შეემოწმებინა კვალიფიციური მუშაკები და ხელს შეუწყობდა კატასტროფების რიცხვის შემცირებას.

დაპატიმრება და დაჯარიმება არ უნდა წარმოადგენდეს ერთად ერთ საშუალებას კატასტროფების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საჭიროა ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირის ცენტრალურ გამგეობის ჩაბმა ამ საქმეში.

ცენტრალურ გამგეობამ უნდა დაამყაროს მტკიცე კავშირი „ზაკომესის“ ავტო-განყოფილებასთან.

დასასრულ თათბირმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომლებიც დაუყოვნებლივ გატარდება ცხოვრებაში.

კალოშები

რეზინო-ტრესტის განყოფილება მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში შემოიტანს 440.000 წყვილ კალოშს. საქართველოსთვის—308.000 წყვილს, აჭარისტანისთვის—28.000 წყ., აფხაზეთისთვის—40.000 წყ., სამხრეთ-ოსეთისთვის—2.000 წყ. სომხეთისთვის—57.000 წყ. და ნახიჩევანისთვის—5.000 წყ.

სასამართლო

იოსებ ქუთათელაძის საქმე

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა. ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს კერძო გრენიეროვების არსენ და მოსეს ოგანოვების დაკითხვა.

ირკვევა, თუ რატომ ასეთ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა „საქართველოს მეაბრეშუმეობის ღმერთი“ (ბრალმდებლის ირონიული გამოთქმა) ქუთათელაძე ოგანოვების სათესლე სადგურის მიმართ. ოგანოვებსა და იოსებ ქუთათელაძეს შორის არსებობდა მჭიდრო ურთიერთობა და კავშირი. იოსებისას ხშირად იმართებოდა სადილები ოგანოვების საპატივსაცემლოდ.

ოგანოვებს სათესლე სადგური ჰქონდათ თელავში. როგორც მოწმე მოსეს ოგანოვი განმარტავს, თელავში მათ ზედამხედველად იოსებმა გაუგზავნა თავისი ძმა გედეონ ქუთათელაძე. გედეონის ყველას გვეშინოდა,—ამბობს ოგანოვი.

მოწმეს აძლევენ შეკითხვას,—როგორ უნდა გავიგოთ სიტყვა „გვეშინოდა“? ან საერთოდ რა იყო მიზეზი ამ შიშისა?

მოწმე აცხადებს, რომ გედეონს რამოდენიმეჯერ გაულანძღავს ის, წაწეულა მისკენ საცემად საერთოდ უბრალო რამეზე იცოდა კაცის გალახვა,—აცხადებს მოწმე.

მოწმე განმარტავს, როგორ ტარდებოდა ზედამხედველობა ინსპექტორ ქუთათელაძის მხრივ და ცდილობს „არც მწვადი დასწვას და არც შამფური“.

საერთო შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ი. ქუთათელაძე საქართველოს მეაბრეშუმეობას თავის საგვარეულო მემკვიდრეობათ სთვლიდა. ძმა გედეონი და შემდეგ შვილი გიორგი იყვნენ მემკვიდრენი, რომელთაც თუ ვინიცობაა იოსებს ბედი უმუხთლებდა, ხელში უნდა დარჩენოდათ მეაბრეშუმეობის სადავე სათანადო „პროცენტული ანარიცხებით“.

ოგანოვებიც სთვლიდნენ მას „მეაბრეშუმეობის ღმერთად“ და სათანადო პატივსაც სცემდნენ მას.

მორიგი სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

რძლის მოწამვლა

(18 ოქტომბრის დილის სხდომა)

გრძელდება მოწმეების დაკითხვა. დარბაზი ისევ გაჭედილია ხალხით. ნახევარზე მეტს უადგილობის გამო ფეხზე უხდება დგომა. გასავლელ ადგილებშიაც სკამებს შუა ფეხზე დგანან და გულდასმით უსმენენ მოწმეების ლაპარაკს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოწმე ლიუბა მორდვინოვას დაკითხვა. მოწმე ლაპარაკობს, რომ მან ასწავლა განსვენებულ ელენე ერმოლოვას, თუ როგორ მზადდება შინაური წამალი მუცლის მოსაშლელად. მან კი თვითონ ამ წამლის დამზადება ისწავლა ვინმე მალაკნის ქალისაგან. მოწმის აზრით, ეს „წამალი“ არავითარ ზიანს არ აყენებს ორგანიზმს, რადგან მას თვითონ მიუღია ის მუცლის მოსაშლელად. „წამლის“ შემადგენლობაა: რაზმანინი, ზაფრანა, მუხის ქერქი და სხვ. ეს „წამალი“ ელენე ერმოლოვას ქალმა მიიღო 20 იანვარს, მაგრამ არ უმოქმედნია. მოწმისათვის ელენე ერმოლოვას უთქვამს, რომ მეორე დღეს მას დედამთილმა დაალევინა არაყში შეზავებულ ქინაქინა და ზაფრანა. რა დოზით მიიღო ეს ელენემ, მოწმე არ იცის, იცის მხოლოდ, რომ ამის შემდეგ განსვენებული ძალიან ცუდათ შეიქნა. გული წასვლია, წაქცეულა და ექიმების და წამლების საშუალებით მოუბრუნებიათ. შემდეგ ელენე ისევ კარგად გამხდარა, ფეხზე დადიოდა. შემთხვევის დღეს ქალის მშობლებიც ყოფილან კაზაჩენკოების ოჯახში საღამოს რვა საათამდე და ძალიან კარგს მდგომარეობაში დაუტოვებიათ თავიანთი ქალიშვილი.

მოწმე აცხადებს აგრეთვე, რომ ელენე ერმოლოვას ქალი ხშირად სჩიოდა თავის ბედზე. უკმაყოფილო იყო კაზაჩენკოების ოჯახში შესვლით. მას მუდამ ეჩხუბებოდნენ მამამთილი და დედამთილი. არ აძლევდნენ სასმელ-საჭმელსაც.

საქმე იქნამდე მივიდა, რომ თავისი გაჭირვება ელენე ერმოლოვამ შესჩივლა ქალთა განყოფილებას. ქალთა განყოფილებამ დაიბარა ელენეს ქმარი და დაადებინა ხელწერილი, რომ ის მშობლებს გამოეყოფოდა და ცალკე აცხოვრებდა თავის ცოლს, მაგრამ ეს მან არ შეასრულა, ელენემ განიზრახა გაყროდა ქმარს. ამ დროს ის მეორე შვილზე იყო ორსულად და ამ ხნის განავლობაში მოხდა მისი მოწამვლაც.

შემდეგ დაკითხულ იქნა მატრონე ერმოლოვა (ელენეს დედა). მოწმე აცხადებს, რომ შემთხვევის დღეს თავის ქმართან ერთად ის ეწვია თავის გათხოვილ ქალიშვილს ელენეს და დაჰყო მასთან საღამოს რვა საათამდე. მოწმის განცხადებით, ელენე ძალიან კარგად გრძნობდა თავს. სახლში დაბრუნების შემდეგ დაახლოვებით ღამის 12 საათზე მათ შეატყობინეს, რომ ელენე გარდაიცვალა. მოწმის განცხადებით, ეს სრულებით მოულოდნელი იყო მისთვის. როდესაც მივიდნენ და ნახეს მიცვალებული, უკანასკნელს არ ჰქონდა ბეჭდები, რომლებსაც რამოდენიმე საათის წინ ხედავდნენ მის ხელზე. ბალიშისათვის, რომელზედაც მიცვალებული ესვენა, პირი გამოეცვალათ. გარდა ამისა, მოწმეს მიცვალებულის ლოგინში უნახავს რაღაც ჩვრები. ყოველივე ამის გამო მოწმეს შეეპარა ეჭვი, რომ მისი ქალიშვილის სიკვდილი მათე და ანტონინა კაზანჩენკოების ბრალია.

მოხუცი დედა კანკალით მოუთხრობს სასამართლოს, როგორ აეწიოკებდნენ კაზანჩენკოები მის ქალიშვილს და როგორ მოუსპეს უკანასკნელებმა მას სიცოცხლე.

დამსწრე საზოგადოება ნერვიულობს. ისმის აღშფოთების ხმები. სხდომა წყდება საღამოს 7 საათამდე.

(საღამოს სხდომა)

საღამოს სხდომაზე მთელი საათნახევრის განმავლობაში გრძელდება გარდაცვალებულის ქმრის სერგო კაზაჩენკოს დაკითხვა. მოწმე აბნეულ და წინააღმდეგობით სავსე ჩვენებას იძლევა. ლაპარაკობს, რომ არავითარი უსიამოვნება ადგილი არ ჰქონია, და ამასთანავე ამბობს, რომ ქალთა განყოფილებაში მის წინააღმდეგ საჩივარი აღძრა მისმა ცოლმა. მოწმე ხშირად ისეთ გულუბრყვილოთ ჩვენებას იძლევა, რომ დარბაზში სიცილი ისმის.

დაკითხულ იქნა აგრეთვე ექიმი ზაკრჟევსკი.

რკინისგზებზე

მოძრაობის შეწყვეტა

17 ოქტომბერს ღამით ქერარ - ქიურდამირის შუა მიმავალ სამარშუტო მატარებლის ერთ - ერთ ცისტერნას გაუტყდა ღერძი და ცისტერნა გადავარდა ლიანდაგიდან. ხაზი დაზიანდა საგრძნობლად სამ კილომეტრზე.

მოძრაობა შეწყდა თერთმეტი საათის განმავლობაში.

შემთხვევის ადგილზე აჯიკაბულიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი და ხაზი შეკეთებულ იქნა.

ამ მიზეზის გამო სადგურებზე დაკავებულ იქნენ სახალხო მატარებლები № 7, 13, 14 და მთელი რიგი საქონლის მატარებლები.

კრედიტები პირველ კვარტალისათვის

გზათა კომისარიატმა ამ-კავკ. რკინისგზებისათვის 1927—28 წ. პირველ კვარტალისათვის გადასდო თანხა — 15.839.000 მანეთის რაოდენობით.

აქედან ხელფასზე დაიხარჯება 6.768.000 მანეთი, დამზღვევ სალაროს კულტმუშაობის, ადგილკომების და სხვა ანარიცხებზე 942.900 მანეთი, შეშის, შპალების და ხე - ტყის მასალის დამზადებაზე — 4.506.000 მანეთი.

აღმდგენლობით სამუშაოებზე სალიანდაგო განყოფილებაში — 835.000 მან., წევის განყოფილებაში — 196.000 მან., კავშირის და ელექტრო-ტეხნიკურ განყოფილებაში—23.000 ნავთსადენის განყოფილებაში — 300.000 მანეთი და საელექტროფიკაციო სამუშაოებზე — 25.000 მანეთი.

გზების საშემოდგომო გადაზიდვაზე დაიხარჯება 1.106.000 მან.

სამკურნალო მცენარეები

ქუთაისის აგრონომიულმა სადგურმა წელს საცდელათ გააშენა სამკურნალო მცენარე „შალფეი“. ეს მცენარე ჩვეულებრივად ხარობს თესვიდან ორი წლის შემდეგ. ქუთაისში კი გაიხარა პირველ წელსვე. ძლევაზე მოწეული იქნა 7 ფუთი „შალფეი“, რომელიც ხარისხითაც საუკეთესო აღმოჩნდა. ცხადია ქუთაისის მიდამოების ნიადაგი და ჰაერი საუკეთესო პირობებს წარმოადგენს ამ მცენარის მოსაშენებლად.

ეს მცენარე აფთიაქებში კილო იყიდება 1 მან. 60 კაპ. „შალფეის“ ნიმუშები გაიგზავნა საზღვარგარედ. სწარმოებს წინასწარი სამზადისი მომავალ წელში „შალფეის“ ფართოდ მოსაშენებლად.

კანაფი

კანაფის მეურნეობამ დასავლეთ საქართველოში ფართოდ მოიკიდა ფეხი. ქუთაისის მაზრაში კანაფის მეურნეობა დაიწყეს 1925 წლიდან. პირველ ორ წელში კანაფის მოსავალი ცუდი იყო უამინდობის გამო. მიუხედავად ამისა, გლეხებმა მაინც არ გაიტეხეს გული და წელსაც დათესეს კანაფი. ქუთაისის მაზრაში წელს კანაფი დათესეს 1000 დესეტინაზე და მოსავალი კარგი იყო. წელს კანაფი გაშენებული იყო ისეთ ადგილებზე, სადაც ჭაობები არ იცის. მოჭრილ კანაფს გლეხები ალბობენ მდინარეებში რასაც ბევრი მეურნე ვერ ახერხებდა ამას გარდა კანაფის სალ მდინარეებში დალბობა იწვევს მალარიის გავრცელებას. მშრალი კანაფი ორი მანეთით უფრო იაფი ღირს ფუთი.

ჭადრაკი

მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატის მე-16 ტურში მაკაგონოვმა მოუგო ხოლოდკევიჩს, რაბინოვიჩმა—გრიგორიევს, პავლოვ-პიანოვმა—ვილნერს, ბოტვინიკმა—სერგეევს, მოდელმა —რაუზერს და ფრეიმანმა—პერფილიევს. უშედეგოდ დამთავრდა ილინ-ჟენევსკის და კასპერსკის, სელეზნიოვის და როხლინის პარტიები. რომანოვსკი-ბოგატირჩუკის და დუზ-ხოტიმირსკი—ნენაროკოვის პარტიები გადაიდო რომანოვსკისა და ნენაროკოვისათვის სასარგებლო მდგომარეობაში. (ადს)

ნარევი

ნიანგების მოშენება

შეერთებულ შტატებში დიდი მოთხოვნილებაა ნიანგის ტყავიდან და კბილებიდან დამზადებულ საგნებზე და ამიტომ ნიანგების გაშენება ხელსაყრელ საქმეთ გადაიქცა.

ნიანგებს აშენებენ შტატებში, სადაც ჰავა ტროპიკულია (მაგ. ფლორიდაში ან კალიფორნიაში), სადაც ყოველთვის შეიძლება ადგილის შერჩევა მათ გასამრავლებლად.

რადგან ნიანგი ძლიერ ნელა იზრდება (ათი წლის ნიანგი ძლივს აღწევს ნახ. მეტრი სიგრძეს, რომ მიაღწიოს 3 ნახ. მეტრის სიგრძეს საჭიროა თითქმის 100 წელიწადი), ნიანგების ფერმებში ცოცხალი საქონელი ჩქარა იცლება და საჭირო ხდება ნიანგების შოვნა (დაჭერა) ლუზიანას და ფლორიდის შტატში გაფანტულ ჭაობიან ადგილებში.

ნადირობა ნიანგებზე ძლიერ სახიფათოა. მონადირე, დროულად, დღისით, ათვალიერებს ნიანგის თავშესაფარს, სოროს, რომელშიც ნიანგი იმალება. სოროში დებს გრძელ სარს, რომელსაც ნიანგი ავლებს კბილებს. მონადირე თავისი თანაშემწეების დახმარებით, მოათრევს გარეთ ნიანგს, რომელსაც სპეციალური მოწყობილობით სასწრაფოდ უკრავენ პირს. ხშირად ხდება, რომ სანამ პირს შეუკრავდნენ, ნიანგი მოასწრებს მონადირის ხელის ან ფეხის წაგლეჯას.

დაჭერილი ნიანგები მიჰყავთ ფერმებში. ფლორიდაში ან კალიფორნიაში, სადაც ისინი ზამთარშიაც კი არ აფარებენ თავს შლამს არამედ თავისუფლად თბებიან მზეზე, თუმცა მთელი ზამთრის განმავლობაში არაფერს სჭამენ.

ყველაზე საშიში არიან ნიანგები ივნისში, როცა მამლები „ეარშიყებიან“ დედლებს ზოგიერთ ბრაზიან მამალ ნიანგებს პირს უკრავენ, რომ ერთმანეთი არ დაგლიჯონ, ივლისში დედალი ნიანგები იწყებენ კვერცხების დებას, რისთვისაც თითეულ ფერმაში მოწყობილია შესაფერი ადგილები. უკანა ფეხებით დედალი ნიანგები აგუნდავებენ წნელს, ფურცლებს, მშრალ ბალახს და დებენ 30—60 მოგრძო კვერცხებს. მზე კი ასრულებს დანარჩენს. მაგრამ ხშირად ფერმერებს მიაქვთ კვერცხები და დებენ ინკუბატორში (გამოსაჩეკ აპარატში).

სამოცი დღის შემდეგ კვერცხებიდან იჩეკებიან პატარა ნიანგები, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა. დიდ მოვლას პატარა ნიანგები არ მოითხოვენ. გაფუჭებულ კვერცხების პროცენტი მცირეა.

მნახველების გასართობათ ფერმებზე იმართება მთელი წარმოდგენები ნიანგების მონაწილეობით: უჩვენებენ ნადირობას მათზე, გართვენას, ჰიპნოზს, სრიალს გორაკიდან და სხვა.

გაზრდილ ნიანგების დიდი ნაწილი იგზავნება საზვერინცებში და ზოოლოგიურ ბაღებში.

ნიანგების მოსაშენებელი ყველაზე დიდი ფირმა მოწყობილია ჯ. ჯეკსონვილის ახლო, ფლორიდაში. ამ ფირმაზე მუდამ მოიპოვება სხვადასხვა ასაკის 5.000 ნიანგი.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მომცეთ ნება თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი: გაზეთ „კომუნისტის“, ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, რომ პროკურატურაში შევიდა მ. მარიამიძის საქმე, რომელიც შეიცავდა ბრალდებას გათვალისწინებულს ს. ს.კ. 116 მუხ. 1-ლ ნაწილში. აღნიშნული საქმე გაირჩა მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს საჯარო სხდომაზე და სასამართლოს ხუთი დღის კვლევაძიებამ გამოარკვია, რომ მე გავხდი ცილის წამების მსხვერპლი.

როგორც ასეთი სასამართლომ უდანაშაულოდ მცნო და აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული ბრალდება, სახაზინო ფულების მითვისების შესახებ, მომხსნა.

მ. ი. მარიამიძე.

ოფიციალური რჩევა-დახმარება

სოფ. ყანჩაეთის მ/ახ. სოს. ტატუნაშვილს

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით მაზრის საადგილ-მამულო სასამართლოს კოლეგიას, თანახმად მიწის კოდ. მუხ. 24-ისა.

ქალ. თბილისის შუაგულ ნაწილში მე მაქვს ახლი ეზოთი სულ 197 კვ. საჟენი. აქვს თუ არა უფლება ქალაქის ალმასკომს ჩემს ნაკვეთიდან ჩამომიჭრას და მისცეს სხვას.

განათლების მუშაკთა კავშირის წევრი ვასილი ნაცვლიშვილი.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მე-96 მუხლისა, ქ. თბილისის შიდა უბანში (მიწის სარგებლობა) დაწესებულია ნორმად 200 კვად. საჟენი მიწა; შუა უბანში—300 კვად. საჟ.; გარეუბანში—500—600 კვ. საჟენამდე, ასე რომ თქვენი ნაკვეთი მიწა ნორმას არ აღწევს და ამიტომ იგი თქვენ არ უნდა ჩამოგერთვას.

კითხვა

სოფელში ა.-წ. 26 თებერვალს გავყიდე ხის სახლი. მყიდველმა სახლი დაარღვია და წაიღო. ის ალაგას ავაგე სხვა სახლი და ვცხოვრობ შიგ. შეუძლია თუ არა სახლის მყიდველს ისარგებლოს იმ ადგილით, სადაც მის მიერ ნაყიდი სახლი იდგა.

პეტრე სანიკიძე.

პასუხი

სახლის გაყიდვას არ აქვს არავითარი კავშირი მიწასთან. მიწის ყიდვა-გაყიდვა ანდა სხვა პირზე გადაცემა სასტიკად აკრძალულია, მიწის კოდექს. მუხლის 25-ის თანახმად. აქედან ცხადია, რომ თქვენი სახლის მყიდველის მოთხოვნა სრულიად უკანონოა და უსაფუძვლო. მიწა რჩება თქვენს სარგებლობაში და არ ჩამოგერთმევათ, თუ კი თქვენ მით სარგებლობთ დანიშნულებისამებრ.

ს. ბაქრაძეს

პასუხი

თანახმად ა.-კავკასიის ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 26 მარტის დადგენილების მუხ. 84—42-ისა, დროებითი მომუშავენი აღარ სარგებლობენ არც შვებულებით და არც საშვებულებო ფულადი კომპენსაციით (იხ. გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 1927 წ. 7 აპრილიდან № 1445).

კითხვა

12 წლის წინათ მე ჩავესიძე დათა კახეთელიძეს, შევირთე მისი ქალიშვილი ცოლად. 12 წლის გახმავლობაში ვმუშაობდი მის ოჯახში. 10 წლის შეუღლების შემდეგ გარდამეცვალა ცოლი და დამრჩა შვილები. თვით კახეთელიძის თანხმობით შევირთე ცოლად მეორე ქალი, ვისგანაც მეყოლა შვილები. კახეთელიძეს ეს არ ესიამოვნა და გამოგვყარა გარეთ. 4 თვის შემდეგ გარდაიცვალა კახეთელიძე და ჩემს ნამუშევარ ქონებას დაეპატრონა მისი ძმის შვილი ხიპია კახეთელიძე. გთხოვთ მომცეთ პასუხი, კანონიერია თუ არა ხიპია კახეთელიძის დაპატრონება ამ ქონებაზე.

რაჭის მაზრის ბარის თემ. სოფ. სამთისის მცხ. მიხ. ჩილუნაძე.

პასუხი

მიწის კოდექსის მე-40 მუხლისა და მის შენიშვნის თანახმად, ქორწინებით ან გარეშე პირის მეკომურათ მიღების წესით კომლში შესულ პირს იგივე უფლება აქვს კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, რაც ძირითად წევრს, ეკარგება მხოლოდ სხვა კომლში მიწის სარგებლობის უფლება. ასე რომ დათა კახეთელიძის სიკვდილის შემდეგ მიწა და ქონება გადადის თქვენზე, როგორც ამ კომლის კანონიერ წევრზე და არა ხიპია კახეთელიძეზე, რომელიც სრულიად უცხო პირია თქვენი ოჯახისათვის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ ამა წლის 20 ოქტომბერს (ხუთშაბათს) დილის 10 საათზე მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიუროს სხდომა.

ბიუროს წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის ალმასკომის შენობაში შესდგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის 1927—28 წლის მოწვევის დელეგატ-ქალების პირველი საზეიმო კრება,—ქალთა ორგანიზაციებისა და ქალთა კომისიების მონაწილეობით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს [illegible] დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპექტი 24, მესამე სართული) ხუთშაბათს, 20 ოქტომბერს, დილის ათ საათზე.

ლონგინოზ კალანდარიშვილი, დავით მახარაძე, ლეონ აკოპოვი, ილარიონ ანფიმიადი, ალექსანდრე ოჩიგავა, ალექსანდრე ჩიჩელაშვილი, დიმიტრი გამრეკელი, სერგო სარქისოვი.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე მყოფ პარტიის წევრ-კანდიდატ სტუდენტებს ევალებათ გატარდნენ რეგისტრაციაში.

რეგისტრაცია სწარმოებს ფაკულტეტის პროფკომის ბინაზე.

ლენრაიონის პ. მ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე შესდგება მეცადინეობა დელეგატურ კრებების ოთხივე ჯგუფის.

—

1. ქართული ჯგუფი იმეცადინებს პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში.
2. ქართული ჯგუფი—მე-6-ე უბნის კლუბში:
3. რუსული ჯგუფი—ძერჟინსკის სახ. კლუბში.
4. რუსული ჯგუფი—ორჯონიკიძის სახ. კლუბში.

ყველა ახალ არჩეულ დელეგატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) [illegible] ორგანიზაციის არსენალის [illegible] პაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 19 ოქტომბერს [illegible] საათზე [illegible] მუშაკის კაბინეტში შესდგება პირველი და მეორე საფეხურის პარტსკოლის ხელმძღვანელების თათბირი.

ყველა ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მიმღებ კომისიაში უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები.

ჭავთარაძე ლავრენტი უჯრ. № 32, გრიგორიანი მისაკ უჯრ. [illegible] პოდგორსკი ბორის უჯრ. № 57, ჩხიკ[illegible] მიხ. უჯრ: № 37, საბო პეტრე უჯრ. № 54, [illegible] დიმიტრი უჯრ. № 9, გრეჭელიუკი მიხეილ უჯრ: № 8; ჩიჩუა ქეთევანი უჯრ. № 23, შელეგია ილია უჯრ. № 23, ბეგაძე კონსტანტინ უჯრ. № 23, ხელაშვილი ბესარიონ უჯრ. № 48, სარქისოვი გრიგოლ უჯრ. № 10, ქურიძე გრიგოლ უჯრ. № 29, კოჩიაშვილი მიხეილ უჯრ. № 29, იასონ თათარიშვილი უჯრ: № 29, პატარაია ქსენია უჯრ. № 48, აფხაძე პარმენ უჯრ. № 67, ცქვიტინიძე შალვა უჯრ. № 23, იგნატოვი ეფ. უჯრ. № 20, სუკიასიან რუბენ უჯრ: № 22, პალაკიროვი პავლე უჯრ. № 15, სალუქვაძე არტემ უჯრ. № 13, შოშინი ალექსანდრე უჯრ. № 20, ლოლაევი გრიგოლ უჯრ. № 20, მარქაროვი არუთინ უჯრ. № 56, პოჭრომკინი ვერა უჯრ. № 33, ბასილაშვილი ილია უჯრ. № 29 ოსიპოვი რუბენ უჯრ. № 7, ლოვლათიანი სუმბათ უჯრ. № 4, ვიშნევეცკი ალექსანდრე უჯრ. № 8, ნადარეიშვილი ისაკ უჯრ. № 15, კრილოვი ალექსანდრე უჯრ. № 15, სტურუა დავით უჯრ. № 15; სატუნარი ივანე უჯრ. № 15, ცალქალამანიძე მიხეილ უჯრ. № 15, ჭაღჭანიძე ელენე უჯრ. № 17, ანანიაშვილი ივანე უჯრ. № 17, გურეცკი პოლიკარპე უჯრ. № 17, შონია ზინობი უჯრ. № 17, ნებურიშვილი ირაკლი უჯრ. № 17, გაჯი ზადე გამიდ უჯრ. № 18, ჭიჭინაძე ვლადიმერ უჯრ. № 37, ბერენდიუკოვი ვასილი უჯრ. № 20, ვასილიევი ივანე უჯრ. № 20.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ ხსენებული საზოგადოების გარდაცვალებულ საპატიო წევრის—რესპუბლიკის სახალხო მსახიობის

ალექსანდრე ივანეს ძის
სუმბათაშვილის (იუჟინის)

ცხედარს რკინის გზით მოასვენებენ ქ. თბილისში დღეს, ოქტომბრის 19-ს, საღამოს 7 საათზე. 6.

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: გრიშა (ზარდლუ) და მარიამ (მანია) ბებია და ბაბუა, მამიდები: მარგარიტა, კარალინა, ბიძიები: ბონდო და ალიოშა გაბილაიები, ბებიები: მარიამ და ეკა ლოლობერიძე, დეიდა: საშა, ბიძია სევერიან და დეიდაშვილი ანდრუშა გვიჩიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას 16 ოქტომბერს 4 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი შვილი

აჩიკო გაბილაია

რომლის დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 19 ოქტომბერს საღამოს 4 ნახ. საათზე ვერის სასაფლაოზე—გამოსვენება ვარდისუბნის ქუჩა № 3. 169

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მამა იოსებ გრიგოლისძე ზენაიშვილი, და სოფიო იოსებ ზენაიშვილის ასული ქმრით მელქისედეკ ვასილისძე ხუხუნაიშვილი შვილებით ნოდარით და რუსიკოთი, ბიძა სიმონ გრიგოლისძე, ბიძაშვილები კოწია სიმონისძე და გრიგოლ ფილიპესძე ზენაიშვილები თავიანთი ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 22 ოქტომბერს დილით შაბათს 12 საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ელენე იოსების ასული
ზენაიშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე ქ. ლანჩხუთში 178

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა ლიზა, ძმები: ვალოდია, დავითი და კირილე, და ალექსანდრა სიძე ალექსანდრე შენგელია ბიძა რაჟდენ დანელია მეუღლე შუშანათი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას 16 ოქტომბერს გარდაიცვალა თბილისის პირველი ეკონომიური ტექნიკუმის მეორე კურსის მოწაფე

ალექსი (ალიოშა) პოლიკარპეს-ძე
დანელია

რომლის დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 19 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე ქ. სამტრედიაში 180

გაზ. „კომუნისტი“

ხელის მოწერას გაზ. „კომუნისტზე“

ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში აწარმოებენ მხოლოდ „კომუნისტი“-ს კონტრ-აგენტები

თბილისი
ქუთაისი
ბათომი
ზუგდიდი
ოზურგეთი
ახალ-სენაკი
სამტრედია
ჭიათურა

ზესტაფონი
შორაპანი
ბორჯომი
ხაშური
თელავი
ხონი
სიღნაღი
აბაშა
ბაღდადი

გორი
ლანჩხუთი
სურამი
გურჯაანი
ყვარელი
აბასთუმანი
მანგლისი
კოჯორი
ტყიბული

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები ხელის მოწერას მიიღებენ მხოლოდ თავიანთი დაწესებულებების შენობაში და აუცილებლად ნაღდ ფულზე.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორის გამგე ა. სირაძე.

ფ. ტ. სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა.-კავკასიაში ვ. ქვანტალიანი

0—1

საქართ. საბჭ. და სავაჭ. მუშაკ. პროფკავშირის

საანგარიშო მეცნიერებათა

კურსები

ჩაწერა და ცნობების მიღება საღამოს 5—8 საათამდე დიდი ვანქის ქუჩა № 12 შრომის სკოლის შენობაში № 101

4—1—176 კურსების გამგე ა. ინწკირველი

ხორცით ვაჭრობის ამიერ-კავკასიის საზოგადოების

„ზაკმიასტორგ“-ის

მთავარი კანტორა

გადავიდა ახალ შენობაში

სომხის ბაზარი, № 62, „მერკურკრედიტ“-ის ყოფ. შენობა (ყოფ. მანთაშევის ქარვასლა). 6. 72

ქ. თბილისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ძოწუაშვილი

ამით აცხადებს რომ ის 21 ოქტომბერს 1927 წ. დილის 12 საათზე სახლში № 40 ლენინის ქუჩ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ნიკ. სუხიტაშვილის მოძრავ ქონებას: სასადილოს მოწყობილობას სასტ. მაგიდებს, ვენის სკამებს, სპილენძის ქვაბებს და სხ. შეფასებულს 226 მან. მოქ. სპირიდონ ხედაძისა და პავლე ფანჯარაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 22 სექტ. 1926 წ. თარიღით, № 4204 და 17 ნოემბ. 1926 წ. გაცემულ ბრძანებისა. 179

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 22 ოქტომბ. 1927 წ. დილის 1 საათზე სახლში № 5 ლენინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. სერგო კახიშვილის მოძრავ ქონებას: სპილენძის ქვაბებს, სხვადასხვა ფორმის ღვინის, ფრაკის დანა-ჩანგლებს და სხვ. შეფასებულს 314 მან., [illegible] კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილ. შრომის სახ. სასამართლოსაგან 6 სექტემბერს და 7 ოქტომბერს 1927 წ. თარიღით № 3246 და 3472 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 6. 76

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

მონოპოლურად მხოლოდ ჩვენს ეკრანზე მხატვ. სურათი

„გამცემი“

დადგმა ა. როომის.

ბავშვები 15 წლამდე არ დაიშვებიან

„ВУФКУ“-ს დიდი მხატვრული ნაწარმოები

„ალიმ“

ყირიმელ მოჯირითე

პარტერში ადგილები დანომრილია

უახლოესად მე-3 და მე-4 სერია ერთად

„მზის საცოლე“

რუფ. როლინის მონაწილეობით.

0—17 ნ. 1388

ანონსი: მალე [illegible] სურათი „ავი სული“

ქალაქის ლომბარდის საუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას, 30 ოქტომბერს ქალ. ლომბარდის შენობაში კეცხოველის ქ. № 8 დილის 12 საათზე საქფინკომის და საფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ქვემოთ ჩამოთვლილი სახლები.

არდევანიძე დავით სიმონის-ძე ალექსეევის ქ. № 7—15 ოთახი, დაფასება 5500 მ., ვალი 1706 მ. 90 კ., ზარაფოვი ზაქარია დავითის-ძე, ამაღლების ქ., 8, 35 ოთახი, იყიდება ნახ. ნაწილი სახლისა, ვალი 3071 მ., [illegible]-დავითაშვილი სოფიო ივანეს ასული, პარკოვის ქ. 29, 12 ოთახი, იყიდება ერთიმეოთხედი ნაწილი სახლისა, დაფასება 500 მ., ვალი 656 მ. 24 კ., ნაცვლიძე ივანე ზურაბის-ძე ზერმეტიევის ქ. 42, დაფასება 500 მან. ვალი 255 მან. 95 კ. ჩიჩოშვილი გიორგი ქიტესამძე საყდრის ქ. 12, 12 ოთახი, იყიდება ერთი მეოთხედი ნაწილი სახლისა, დაფასება 400 მ. ვალი 497 მ., ჩიქოვანი გიორგი იოსებისძე, არკადის შესახვევი 6, 18 ოთახი, დაფასება 600 მ. ვალი 566 მ. 97 კ. მარქაროვი ნიკოლოზ ივანესძე ენგელსის 23, 62 ოთახი, იყიდება ნახევარი ნაწილი სახლისა, ვალი 2724 მ. 75 კ.

სახლები გაიყიდება შეფასებიდან და დაცული იქნება 311 და 312 მუხლები სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა ვაჭრობაში მონაწილენი ვალდებულნი არიან საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე შემოიტანონ 10 პროც. შეფასებისა. 6. 77

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 21 ოქტ. 1927 წ. დილის 2 ს. სახლში № 95 და 43 ნიკოლოზის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის გრიგოლ ქეჩაყმაძის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, ტანსაცმლის შკაფს, ქურჭლეულობის შკაფს, წიგნის შკაფს, სასადილო მაგიდას, სკამებს, ხალს, კედლის საათს, ლამპას და სხ. შეფასებულს 463 მანეთად, საბჭოთა სავაჭრო კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მესამე [illegible] თამასუქისა, 13 ოქტ. 1927 წ. თარიღით, № 2377 გაცემულ. 6. 75

ექიმი
ა. დ. კიკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ბორჯომის“ პირდაპირ 25—7

მედიც. დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი.
დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარჯანის ქუჩასთან. შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე; ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბარნოვის ქ. № 5 მთავარი საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. 25—1

მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ვერიანას“ (ყოფ. [illegible]) № 8

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათ. ქალებს მიღება 2—3 საათ. კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დადიანის მოედ.), [illegible] მახლობლად. 25—1

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოს 5—8 ს.-დე. ქალებს 7—8 ს.-დე. ელისაბედის ქუჩა, № 13 | 25.

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღის ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაარსებული
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრო. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელადის ქუჩა (ყოფ. საპერის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შუაში 5—21

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს.-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს.-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარჯანის ქუჩასთან ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

დაკარგა ღვინის გასატანი ერთდროული მოწმობა 22 სექტემბერს 1927 წ. თარიღით № 278, ვიქტორ დავითის-ძე მაცაბერიძის სახელზე, ჩ. გ. 177

დაკარგა პირადობის მოწმობა, პურის საცხობის პატენტი, ხელწერილი 80 მანეთის, ხელმოწერილი სისო ნიკოლაიშვილის და 90 მ. ხელმოწერილი სერგო კახეთელიძის მიერ, ილიკო ფირანის-ძე გოროშიძის სახელზე, ჩ. გ. 182

დაკარგა რკინის გზელთა პროფკავშირის წიგნაკი № 20708 შიო ბიძინას-ძე ბიძინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 181.

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 62 მიხეილ სათირაშვილის სახელზე, ჩ. გ. 184

დაკარგა პირადობის მოწმობა № 611 მოცემული [illegible] მიერ და სააღრიცხვო ბარათი № 113 გაცემული [illegible] სახელზე, ჩ. გ. 184

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 89 გრიშა ოტიასძე [illegible] სახელზე, ჩ. გ. 186

დაკარგა საშუალო განათლ. მოწმობა № 103, მოცემული ცაგერის განყოფ. მიერ და სამხედრო პირადი წიგნაკი № 15 სიმონ გიორგის-ძის სახელზე, ჩ. გ. 184

დაკარგა სამხედრო ცნობა საარიცხვო წიგნაკი №№ 599,600,601; მიცემული [illegible] სახელზე, ჩ. გ. 183

დაკარგა პირადობის და ჯარის მოწმობა, მოცემული [illegible] სახელზე, ჩ. გ. 6. 74

დაკარგა ქუთაისის კომუნალური ბანკის 1925 წ. 14 აპრილის [illegible] 53 მან. [illegible] სახელზე, ჩ. გ. 6. 74

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68